ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი-კვირა

18 — 19 ივნისი, 2011 №143 (5524) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ მარკესი

8 ლარი

15 ივნისიდან




## ფინანსთა მინისტრმა თანამდებობა დატოვა

გვ.12

## თემურ შაშიაშვილი: 26 მაისის აქცია ნიკა რურუას ზონდერებმა დაარბიეს

გვ.3



## სააკაშვილი თანამდებობას მხედრიონის დახმარებით ინარჩუნებს



გვ.5



გვ.7

## ღვთისნიერად ცხოვრება ყველაზე დიდი ბედნიერებაა

## ქართულ და სომხურ ეკლესიებს ერთმანეთთან ვერავინ დააპირისპირებს

## მეგრელი კაცი ამერიკელებმა ცხარე კერძებით გამაკვირვეს

გვ.4



## იყო თუ არა გარეგინ მეორის ვიზიტი შედეგიანი

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.



## დეპუტატმა წურწუმიამ ხინკლის გაკეთება იცის

გვ.6

## ეს წელი ისტორიაში შევა, როგორც რეპრესიების წელი

## მე მიყვარს ავანტიურა

გვ.8

ქეთი ცხაკაია: მორჩილი მსახიობი არ არის

ISSN 1987-9385



## კვირის ქრონიკა









გვ.2

# შალამბერიძე რვიანს ზვარაკად შეეწირა

ამ კვირაში ოპოზიციური რვიანი კინაღამ დაგვეშალა, მისი დაშლის მიზეზი კი ალეკო შალამბერიძე შეიქნა. ამ უკანასკნელმა გაზეთ „ვერსიას" მისცა ინტერვიუ, სადაც ბევრ რამეზე ისაუბრა. მერე ისე მოხდა, რომ ქდმ გენერალ უჩავას შეადარა.

ეს გია უჩავა, არაოფიციალური ვერსიით, სახალხო კრებაში შეაგზავნა ხელისუფლებამ. ჰოდა, აბა, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა.

მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა, ლევან ვეფხვაძემ, პრესკონფერენცია გამართა და თავი გაინერვიულა. ამ ინტერვიუს გამო მან არ გამორიცხა, რომ ქდმ-ს რვიანი დაეტოვებინა.

ამის გარდა, მან შალამბერიძისგან ახსნა-განმარტებებიც მოითხოვა. მოგვიანებით ეს განმარტებები გაკეთდა და კონფლიქტიც ამოიწურა. თუმცა, ისე მოხდა, რომ შალამბერიძეს ხალხის პარტიის დატოვება მოუხდა. ეს პარტია რვიანის ფორმატში აქტიურად მონაწილეობს. სკანდალური ინტერვიუს მიმცემს ამ პარტიაში პოლიტიკური მდივნის თანამდებობა ეკავა.



პრესკონფერენციაზე შალამბერიძემ პარტიიდან წასვლის გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ არ სურს, ხსენებულ ინტერვიუსთან დაკავშირებით ატეხილმა აჟიოტაჟმა ბზარი გააჩინოს ე.წ. პოლიტიკური „რვიანის" ერთობაში.

— ჩემ მიერ გაზეთ „ვერსიაში" გამოქვეყნებულ ინტერვიუსთან დაკავშირებით ატეხილმა აჟიოტაჟმა შეიძლება ბზარი გააჩინოს რვიანის ერთობაში. მიმაჩნია, რომ მთელი პასუხისმგებლობა ამ ინტერვიუზე უნდა ავიღო პირადად მე. ეს არის ჩემი შეცდომა. მე ვარ ერთ-ერთი გულმხურვალე მხარდამჭერი რვიანის პროცესისა, ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და ამ ცივილიზებული გზით სააკაშვილის ხელისუფლების ჩამოცილებისა. არ მინდა, რომ ჩემი ინტერვიუ გახდეს მიზეზი ერთობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებისა. გამომდინარე აქედან, მე, როგორც „ხალხის პარტიის" პოლიტიკური მდივანი, მთლიანად ვაცნობიერებ რა პასუხისმგებლობას, ვიღებ გადაწყვეტილებას, დავტოვო პარტიის რიგები, რათა ჩრდილი არ მიადგეს „ხალხის პარტიას", რომელიც ყოველთვის იყო, არის და, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც იქნება ოპოზიციური ერთიანობის არა მხოლოდ მხარდამჭერი, არამედ ინიციატორიც, — განაცხადა შალამბერიძემ და დასძინა, რომ ამ ეტაპზე თავის სამომავლო პოლიტიკურ გეგმებზე საუბარი არ სურს, თუმცა ადასტურებს, რომ პოლიტიკაში რჩება.

შეგახსენებთ, რომ გაზეთ „ვერსიაში" დაიბეჭდა შალამბერიძის ინტერვიუ, სადაც ეს უკანასკნელი ყვება, „როგორ ეწინააღმდეგებოდნენ „ქრისტიან-დემოკრატები" რვიანის მხრიდან სამოქალაქო აქტიურობის დაწყებას". ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ვეფხვაძემ შალამბერიძეს ახსნა-განმარტებების გაკეთება მოსთხოვა და განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ რვიანის წევრები „ქრისტიან-დემოკრატების" მიმართ ეჭვის თვალით ყურებას გააგრძელებენ, ისინი რვიანში ყოფნის საკითხს გადახედავდნენ.

ყველაზე საინტერესო, იცით, რა არის ამ ამბავში? ეს სკანდალური ინტერვიუ ორშაბათს გამოქვეყნდა, ქდმ-მ კი განგაში 2 დღით გვიან ატეხა.

# ოპოზიცია ხორცის გაიაფებას ითხოვს

დღეს საქართველოში ყველაზე მთავარი პრობლემა ხორცი გახდა. ჩვენი ხელისუფლების წყალობით ეს პროდუქტი ისე გაძვირდა, რომ მისი წყალობით საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებამაც კი გვერდზე გადაიწია.

ხორცის გაძვირება რომ ხელისუფლების სინდისზეა, ყველა ხვდება. ხელისუფლება გვპირდება, რომ მალე ყველაფერი თავის ადგილას დადგება. ოპოზიციას ამისი არ სჯერა და ხელისუფლებისგან ხორცის დაუყოვნებლივ გაიაფებას მოითხოვს.



ამასთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია გამართა „ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ. მან ხელისუფლებას მოუწოდა, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ხორცზე ფასის დასარეგულირებლად.

პრესკონფერენციაზე დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ „ახალი მემარჯვენეები" ხელისუფლებისაგან რამდენიმე დღის განმავლობაში ახსნა-განმარტებებს და არგუმენტებს ელოდებოდნენ იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გაიზარდა ხორცის ფასები კატასტროფულად, თუმცა ხელისუფლება ამ საკითხზე არავითარ რეაგირებას არ ახდენს.

— ეს ხდება იმ ფონზე, რომ საქართველოში ლარის შემოღების დღიდან რეკორდულად მაღალი ინფლაციის მაჩვენებელი დაფიქსირდა. ივნისში ამოქმედდა სოფლის მეურნეობის სურსათის უვნებლობის სამსახურის გადაწყვეტილება, რომლითაც აიკრძალა ძროხის ხორცის გადამუშავება და რეალიზაცია და ხორცის გადამუშავების უფლება მიეცა მხოლოდ ორ სასაკლაოს — თელეთისა და ნატახტრის. თბილისში 11 ლიცენზირებული საერთაშორისო სტანდარტების სასაკლაოა, მაგრამ 11-დან მხოლოდ ორს მიეცა ხორცის გადამუშავების შესაძლებლობა, — განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, ბაზრის მონოპოლიზებამ ხორცზე ფასების კატასტროფული მატება გამოიწვია. გამყრელიძის თქმით, რამდენიმე თვის წინ, როდესაც ინფლაციის მაჩვენებელი 13,7 დაფიქსირდა, „ახალმა მემარჯვენეებმა" ხელისუფლებას ინფლაციის დასაძლევად ხუთპუნქტიანი სამოქმედო გეგმა შესთავაზეს, თუმცა, შეთავაზებული წინადადებებიდან ხელისუფლებამ არც ერთი არ გაითვალისწინა.

— ეს იყო ბიუჯეტში სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ბაზრის დემონოპოლიზაცია, ბიზნესტერორის შეჩერება. ეს გულისხმობდა დღგ-ს და აქციზის გადასახადის შემცირებასა და სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების ხელშეწყობას. ამ მიმართულებით არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა და მივიღეთ უფრო მძიმე სურათი, — განაცხადა გამყრელიძემ.

„ახალი მემარჯვენეები" ხელისუფლებას მოუწოდებენ, შეწყდეს ხორცის ბაზარზე მონოპოლიზაცია და შესრულდეს ის მოთხოვნები, რომლებიც მემარჯვენეებმა ხელისუფლებას წარუდგინეს.

— ჩვენი მოთხოვნაა, მოხდეს დაუყოვნებლივ დერეგულაცია. მიეცეს საშუალება, როგორც აქამდე ხდებოდა, ფორმა №2-ით, დაიკლას და მოხდეს ხორცის პროდუქტების რეალიზაცია, რაც ბუნებრივად გამოიწვევს ხორცზე ფასის დაკლებას. ის წინადადებები, რომლებიც ჩვენ დავაყენეთ, კიდევ უფრო აქტუალურია და მოვუწოდებ ორ მინისტრს, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკასაც, შემოსავლებსაც, ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს, კეთილი ინებონ, დასხდნენ ანტიინფლაციურ ნაბიჯებთან დაკავშირებით და მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილებები, — განაცხადა გამყრელიძემ.

ხორცთან დაკავშირებით ერთმანეთს პარლამენტის უმცირესობისა და უმრავლესობის ლიდერებიც შეებნენ. გიორგი თარგამაძისა და პეტრე ცისკარიშვილის დაპირისპირება სიტყვიერ შელაპარაკებას არ გასცილებია.

თარგამაძემ ხორცის ფასის მატება ომახიანად გააპროტესტა. ეს მან თელეთისა და ნატახტრის სასაკლაოებს დაუკავშირა. ნაციონალების წყალობით, საქონელი აქ თუ არ დაკლეს, ისე მისი ხორცი ვერ გაიყიდება.

ცისკარიშვილმა თარგამაძეს განუმარტა, რომ ეს მათ ოპოზიციის შთაგონებით გააკეთეს. თურმე ასე იმიტომ იქცევიან, რომ ჩვენ ჯანმრთელი ხორცი მივირთვათ. რა უნდა თქვა, ზრუნავს ეს ხელისუფლება ხალხზე.

# რას გადაეკიდნენ რობერტ სტურუას

რობერტ სტურუა რომ ბრწყინვალე რეჟისორია, ამას ვერავინ უარყოფს. თუმცა, იმის გამო, რომ ეს ხელისუფლება არ მოსწონს, მისი იგნორირება ხდება. ამაში მასაც მიუძღვის ბრალი. ის ხელისუფლებას სისტემატურად აკრიტიკებს. ეს კი ვის მოეწონება.

მისგან განსხვავებით, ზოგიერთი ხელოვანი ამბობს, რომ სააკაშვილი უფალმა გამოუგზავნა საქართველოს. ეს ხელოვანი ამის გამო ძალიან დაფასებულია. ამ ჩვენს ნაციონალებს სულ დაავიწყდათ მისი პრორუსულობა და ათასი მიქარვა.

რობერტ სტურუა კი ლამისაა მოღალატედ გამოაცხადონ. მასთან ბრძოლისთვის საინტერესო მეთოდი გამოიგონეს. ხელისუფლება ოპოზიციასთან ბრძოლისათვის ზონდერებს იყენებს, სტურუას წინააღმდეგ კი „მრავალეროვანი საქართველო" დარაზმა.

„მრავალეროვანმა საქართველომ" ცოტა ხნის წინ სტურუასა და რუსთაველის თეატრს ბოიკოტი გამოუცხადა, ახლა კი კულტურის მინისტრს მიმართა საგანგებო წერილით.

საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ რობერტ სტურუას მიერ გაკეთებულ განცხადებას რასიზმის გამოხატულებად მიიჩნევს და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკა რურუას ოფიციალური რეაგირებისაკენ მოუწოდებს. ამის შესახებ „მრავალეროვანი საქართველოს" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

— მიმდინარე წლის 13 მაისს ბატონმა რობერტ სტურუამ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართულ მის შემოქმედებით საღამოზე განაცხადა: „თუ რაღაც ჭირს საზოგადოებას და არ დავასახელეთ ეს დაავადება, ბუნებრივია, მისგან ვერც განვიკურნებით. რატომ გვიკვირს, რომ ადამიანები ვერ იტანენ სხვა ერის წარმომადგენლებს. ბუნებაში დევს რაღაც ისეთი, რასაც ჩვენ უნდა შევებრძოლოთ. დამალვით მხოლოდ ვითვალთმაქცებთ. წარმოიდგინეთ, ახლა რომ გითხრათ, თუ როგორ მიყვარს ზანგები. ხომ შეიძლება, ისინი სულაც არ მიყვარდეს, იმიტომ კი არა, რომ ზანგები არიან, იმიტომ, რომ ოდნავ უკან დგანან ჩემზე კულტურის მხრივ".

— საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანმა საქართველომ" თხოვნით მიმართა საქართველოს კულტურის მინისტრს, რათა მოეხდინა ოფიციალური რეაგირება რასიზმის გამოხატვის კიდევ ერთი ფაქტის თაობაზე, რომელიც გამოთქმულ იქნა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ბატონი რობერტ სტურუას მიერ, — ნათქვამია „მრავალეროვანი საქართველოს" განცხადებაში.

რასიზმის გამოვლინება მართლა ცუდი ამბავია, მაგრამ, საინტერესოა, ეს ამბავი მრავალეროვანმა საქართველომ ცოტა ხნის წინ რატომ არ გააპროტესტა. ერთ მშვენიერ საღამოს პრეზიდენტმა საბაჟოსთან დაკავშირებით პრეტენზიები გამოთქვა. ის შეშფოთებული იყო იმით, თუ როგორ ექცეოდნენ მებაჟეები საქართველოში შემომავალ მოქალაქეებს. სააკაშვილმა იკითხა, რა, ზანგები ვართო? ეტყობა, „მრავალეროვანი საქართველო" მხოლოდ სტურუას განცხადებების მოსმენაზეა ორიენტირებული.

შორენა მარსაგიშვილი

# ბალათურია საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს

პოლიტიკური პარტია „ქართული დასის" ლიდერმა, პარლამენტის ოპოზიციონერმა დეპუტატმა მედიაზე ზეწოლის ფაქტების გამოსაძიებლად პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის ინიციატივა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაექსპერტებს გააცნო.



როგორც ჯონდი ბალათურიამ შეხვედრაზე განაცხადა, ბოლო პერიოდში თავისუფალ მედიაზე, ასევე ცალკეულ ჟურნალისტებზე, რედაქციებზე, ტელეკომპანიებზე თავდასხმისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები მომრავლდა. ტელეკომპანია „იმედში" 2007 წელს სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრის ფაქტი დღემდე არ არის გამოძიებული. ასევე მიმდინარეობს საეჭვო შემოწმება „მედიაპალიტრაში", აჭარაში გამორთულია ტელეკომპანია „25-ე არხი", თავს დაესხნენ ტელეკომპანია „თრიალეთის" ხელმძღვანელს და ა.შ.

— შესაბამისი უწყებების მიერ ჟურნალისტებსა და რედაქციებზე ზეწოლის ფაქტების ნაწილზე გამოძიება დიდი ხანია დაწყებულია, თუმცა, დღემდე არავინ დასჯილა, ხოლო საქმეების ნაწილზე სისხლის სამართლის საქმე აღძრულიც კი არ არის, — აღნიშნა ჯონდო ბალათურიამ.

დეპუტატის თქმით, სწორედ ამის გამოა აუცილებელი პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც აღნიშნულ საკითხებს შეისწავლის. მისი მოსაზრებით, თუ ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები დაუსჯელი დარჩება, მედიისა და, საერთოდ, სიტყვის თავისუფლების დაცვის მხრივ არსებული მძიმე მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი იქნება.

# პუტინი საქართველოს გამო შეწუხებულია



ამ კვირაში რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა შვეიცარიის პრეზიდენტ მიშელინ კალმირეის საქართველოსთან შუამავლობისათვის მადლობა გადაუხადა.

ჟენევაში გამართულ შეხვედრაზე პუტინმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობა შუამავლის დახმარებით უწევს.

ამის შემდგომ პრემიერის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობაში შვეიცარიის შუამავლობაზე უარის თქმას არ აპირებს.

ისე, ამ პუტინს თუ ჩვენთან შუამავლის გარეშე უნდა ურთიერთობა, რატომ გვიწყობს ამდენ პროვოკაციას? ჩვენთან გადატრიალებებს გეგმავს და ავანტიურისტებს ხან — „რაგატკებით", ხანაც მოლოტოვის კოქტეილებით ამარაგებს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# *თემურ შაშიაშვილი:* 26 მაისის აქცია ნიკა რურუას ზონდერებმა დაარბიეს

## სააკაშვილი თანამდებობას მხედრიონის დახმარებით ინარჩუნებს

შორენა კოწოწაშვილი

**პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი პოლიტიკაში მყოფი არაკაცების წინააღმდეგ გამოდის და აცხადებს, რომ მათი დრო ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს. სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრის თქმით, საქართველო დაიპყრეს ამბიციურმა და უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებმა და ამას წერტილი უნდა დაესვას.**

— ეს არის არაკაცების საქართველო. არაკაცების საქართველოში წესრიგის დამყარება შეუძლიათ კაცებს. აი, ისეთ კაცებს, ძალიან ბევრი ციხეში რომ ჩასვა ამ ხელისუფლებამ, — აცხადებს თემურ შაშიაშვილი.

„თეთრების“ ლიდერი დღეს განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ამბიციასა და პასუხისმგებლობაზე პოლიტიკაში. მისი თქმით, ის რაზეც ქვემოთ ისაუბრებს, არ არის მიმართული არც მთელი რიგი პარტიებისაკენ, იმიტომ, რომ ამასაც აზრი არ აქვს. ეს მიმართვა ძირითადში მიმართულია ხალხისკენ, საქართველოს მოსახლეობისკენ, იმ ადამიანებისაკენ, რომლებიც ბედის უკულმართობის გამო არიან უცხოეთში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობენ.

— 26-მა მაისმა, გვინდა ჩვენ თუ არა ეს, უნდა თუ არა ხელისუფლებას, უნდა თუ არა ბევრს ოპოზიციაში, შეცვალა საქართველო. რაც დრო გავა, მით უფრო მეტად დავრწმუნდებით, რომ 26 მაისი საქართველოს ისტორიაში შეასრულებს ისეთივე როლს, როგორიც შეასრულა 9 აპრილმა. იმ ადგილის მსხვერპლი საქართველოსთვის სასიკეთოდ ბრუნდება. 26-მა მაისმა რომ შეცვალა საქართველო, ეს არის ხელისუფლების უგუნურების შედეგი. როგორც ჩანს, ზოგჯერ ხელისუფლების მიერ ჩადენილი უგუნურება ქვეყნისთვის კარგად ბრუნდება, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თემურ შაშიაშვილმა. მისი თქმით, რაც 26 მაისს რუსთაველზე მოხდა, უბრალო რამ არ იყო.

სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სამოქალაქო სექტორის საკმაოდ გაძლიერებას და სწორ მოქალაქეობრივ პოზიციებს, თუმცა მიაჩნია, რომ უფლებადამცველებისგან განსხვავებით, არასწორად იქცევიან გარკვეული ოპოზიციური პარტიები, ანუ ის პარტიები, რომლებსაც თავიანთი პოზიცია უფრო მეტად უნდა გამოეკვეთათ, მათ კი ამერიკული ფულების გამოყოფის გამო, ხელისუფლებასთან უფრო მეტი ჩახუტება ირჩიეს.

— დღეს ბრძოლის შეჩერება დანაშაულია ქვეყნის და ხალხის წინაშე. ერთი წუთით და წამითაც დანაშაულია ბრძოლის შეჩერება, როცა ქვეყანას ჰყავს ისეთი ხელისუფლება, რომელმაც ეს სისასტიკე ჩაიდინა და ამ სისასტიკის შემდგომ რაც გააკეთა. ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებსაც უნდა აელოთ ის დროშა, რასაც ჰქვია ამ მზაკვრული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის დროშა, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აააქტიურებენ და უხარიათ, რომ ინდივიდუალური მოლაპარაკების რეჟიმში შეიძლება გადავიდნენ ხელისუფლებასთან, რომელიც ასე სცემს და ასე სასტიკად ექცევა საკუთარ ხალხს, — განაცხადა თემურ შაშიაშვილმა.

მეცნიერების ანალიზის და სახალხო კრებაში გადამუშავებულ მასალებზე დაყრდნობით, „თეთრების“ ლიდერი აცხადებს, რომ „საქართველოს ყველაზე დიდი უბედურება დღეს არის უმაღლესი ამბიციის მქონე პოლიტიკოსი და უდაბლესი პასუხისმგებლობა. ამბიციური იბრძვის ხელისუფლებისთვის, ხოლო პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი — ხალხისა და ქვეყნისათვის. დღეს საქართველოს ჰყავს არნახული ამბიციის პრეზიდენტი და ხელისუფლება და ასეთივე არნახულად უპასუხისმგებლო პრეზიდენტი და ხელისუფლება“.

შაშიაშვილი აცხადებს, რომ პოლიტიკოსები უნდა იცნობდნენ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის მოსახლეობას გენოციდს უწყობს, რაც არის ტრაგედია.

— დღეს მხოლოდ იმ პოლიტიკოსთან ერთობას შეუძლია ქვეყნის გადარჩენა, რომლებიც იბრძვიან არა ხელისუფლებისთვის, არამედ იბრძვიან ქვეყნისა და ხალხისათვის. დღეს ასეთი რამის გაკეთება შეუძლიათ კაცებს. დღეს პოლიტიკაში კაცების დროა, ამ არაკაცების, ჩამშვებებისა და ლაჩრების ფონზე, რომლითაც ქვეყანა გაივსო. მე როდესაც ვთქვი, რომ გადარჩენა არის კაცებში, კაცურ პოლიტიკასა და იმაში, რომ ამ ჩამშვებებმა და არაკაცებმა ვერ მართონ ქვეყანა, მიხეილ სააკაშვილმა და ვანო მერაბიშვილმა საქართველოში მთავარი დასაქმების სამსახური შექმნეს — ჩაშვების ინსტიტუტი. ორი-სამი მანქანა დაყვება ერთ პოლიტიკოსს იმიტომ, რომ უსაქმურად არიან ესენი და პოლიტიკოსებს მიამაგრეს და უკან დაყვებიან, — აღნიშნა შაშიაშვილმა.

რა უნდა გააკეთონ კაცებმა? — ამ კითხვაზე „თეთრების“ ლიდერს ასეთი პოზიცია აქვს: მთელი ევროპა ქუჩაში გამოვიდა და საქართველოში არიან პოლიტიკოსები, რომლებიც უნდა დამთავრდნენ, რომ საქართველოში ქუჩა უნდა დამთავრდეს. ამ პოლიტიკოსების გასაგონად შაშიაშვილი აცხადებს, რომ ქუჩა არის დემოკრატიის ნიშანი მსოფლიოსთვის. მთელი ევროპა მდგომარეობის შეცვლისთვის ქუჩიდან იბრძვის.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, დროა გაირკვეს, ვინ არის რეალურად საქართველოს ნამდვილი მეგობარი ქვეყანა. სახალხო კრების წარმომადგენლები ამ საკითხის გარშემო სერიოზულად იმუშავებენ და საზოგადოებას მიაწვდიან ობიექტურ ინფორმაციას, რომელი ქვეყნების თამაშობენ საქართველოს მეგობარი ქვეყნის როლს. „თეთრების“ ლიდერის თქმით, ამის გარკვევა საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რათა ქვეყანამ წინსვლა და განვითარება ჰპოვოს.

ოპოზიციური ფლანგის წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ გააკეთა აქცენტი იმ უკიდურეს სიდუხჭირეზე, რომელშიც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს უწევს ცხოვრება და იმ სიცრუეზე, რომელსაც პრეზიდენტი ამ სიდუხჭირის გადასაფარად ყოველდღიურად იყენებს.

— პენსიონერის პენსია ყიდულობს 4-5 კილოგრამ ხორცს. ადამიანები, რომელ ხელისუფლებისთვის ბრძოლაზე ფიქრობთ და ლაპარაკობთ, ვინც ხედავთ, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდით. დღეს ნაციონალების ლიდერი მაია ნადირაძე 200 000 ლარს იღებს ხელფასის სახით წელიწადში. პენსიონერი — 1 000 ლარს წელიწადში. პენსიონერები მაია ნადირაძისთვის არსებობენ, თუ ნადირაძე უნდა არსებობდეს პენსიონერებისთვის? დღეს საქართველოში პრეზიდენტი სააკაშვილი აქებს და ადიდებს და სტანდარტების დამამკვიდრებლად თვლის კაგებეს გენერალ გენერალოვის წარმომადგენელ კობა ნაყოფიას. მისი შვილი, 22 წლის კაცი, 400-500 ათას ლარ ხელფასს იღებს თვეში. ეს არის იმაზე მეტი, ვიდრე მთელ ბოლნისში ყველა საბიუჯეტო დაწესებულებაში დასაქმებული პირი იღებს მთელი წლის მანძილზე. ანუ ყველა დასაქმებულის ხელფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე ბოლნისისათვის უცხო, ხორცმეტი — კაგებეს კაცი და გენერალ გენერალოვის წარმომადგენელი. ასეთ ქვეყანაში გინდათ ცხოვრება? — აცხადებს თემურ შაშიაშვილი და აპროტესტებს თურქების მიერ „ნამახვარჰესის“ მშენებლობას, რომელსაც მისი თქმით, არაერთი სოფელი და ქვეყნის ბუნება ეწირება. შაშიაშვილის თქმით, 14 სოფელი წყლის ქვეშ რჩება და ამაზე ყველა უნდა დაფიქრდეს.

— თურქები აშენებენ ისეთ ჰიდროსადგურს, რომლის 7 კილომეტრი იქნება სარკე წყლის, რომელიც შეცვლის საქართველოს; რომლის დაღვრის შემთხვევაში ნახევარ საათში ქუთაისი იქნება წალეკული თავის პარლამენტიანად. ეტყობა, ვიღაცას უნდა პარლამენტარებიც გააყოლოს თან და ამიტომ აშენებენ პარლამენტს ქუთაისში, — აღნიშნა შაშიაშვილმა და მიუთითა, რომ ქვეყანა დაღუპვის პირზეა და ამაზე განგაშია ასატეხი.

ჟურნალისტებთან საუბრისას „თეთრების“ ლიდერი შეეხო პრეზიდენტის გამოსვლას მოსწავლეების წინაშე და აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა უამრავი სიცრუე თქვა. შაშიაშვილის თქმით, პრეზიდენტი, რომელიც ასე ელაპარაკება ქვეყნის შვილებს, ის ამ ქვეყნის პრეზიდენტი არ არის.



ვისაც ასეთი პრეზიდენტი მოსწონს, ის უარს ამბობს ამ ქვეყნის შვილობაზე.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ივნისის ბოლოდან, ივლისის ჩათვლით, „თეთრების“ წარმომადგენლები თბილისის ყველა უბნის მოსახლეობას გააცნობენ საქართველოს გენოციდის შესახებ ინფორმაციას და ხალხს დაფიქრებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებენ.

შაშიაშვილის თქმით, იმ პარტიებისა და პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, რომლებიც იმ 96 მლნ-ის განაწილებას ელოდებიან, რომელიც ამერიკამ გამოყო საქართველოში დემოკრატიის განვითარებისთვის, გამოჩნდებიან პოლიტიკოსები, რომლებიც ოჯახ-ოჯახ ივლიან და მოსახლეობას ეტყვიან, ხალხო, მატყურა პრეზიდენტის ხელში ვართ; რომ ხელისუფლებაში არაკაცები არიან; და რომ ესენი ჩაშვების ინსტიტუტს აძლიერებენ ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

— ვიმეორებ, ბრძოლა ხელისუფლებისათვის იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობას გენოციდს უწყობენ; სადაც მოსახლეობას აჩოქებენ; სადაც ჩაშვების ინსტიტუტი გაძლიერდა; სადაც დასმენებზეა ლაპარაკი; სადაც ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსების ხელში აღმოჩნდა; სადაც ყველაფერი უცხოელებზე გაიყიდა და ქართველები აღარაფერს ვფლობთ, აი, ამ დროს ფიქრი ხელისუფლებაში მისვლაზე, ეს არის დანაშაული, — აცხადებს თემურ შაშიაშვილი და იმათ აკრიტიკებს, ვინც დღეს პრეზიდენტის სკამისთვის იბრძვის და ვისაც ოპოზიციიდან პრეზიდენტობის სურვილი აქვთ.

— ვისაც უნდა დღეს ამ ქვეყანაში პრეზიდენტობა, მე ნორმალური არ მგონია. აგრეთვე, ვისაც პრემიერმინისტრობა და ამ ხელისუფლებაში მისვლა უნდა. დღეს უნდა შეეხვეწო იმ ადამიანებს, ვისზეც შეთანხმდება საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომ ხელისუფლებაში მივიდეს და ხელი მოჰკიდოს საქმეს და არა თვითონ მირბოდეს. ვინც თვითონ მირბის ხელისუფლებაში მოსასვლელად, არაფრის გამკეთებელი არ არის. ამბიცია აქვს და უპასუხისმგებლოა, მაგრამ ვისაც შეუძლია საქმის გაკეთება, ის არ მიდის ხელისუფლებაში, რადგანაც იცის, იქ რა მდგომარეობაა, — აცხადებს შაშიაშვილი.

რუსთაველზე სისხლიანი ღამის ერთი-ერთი მონაწილე კვლავ პრეზიდენტის მხრიდან სიცრუის პროპაგანდაზე ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ ტყუის სააკაშვილი, როცა ამბობს, რომ 26 მაისს აქციის მონაწილეებს დამოუკიდებლობის 20 წლისთავის ჩაშლა უნდოდათ.

— მატყუარა ხარ, სააკაშვილო! შს სამინისტროს, უშიშროებას ჩაწერილი გაქვთ ყველაფერი. მაჩვენეთ, ვინ თქვა ასეთი რამ. ჩვენ ვამბობდით, აღლუმი უნდა შედგეს ტანკის გარეშე, სამხედრო ტექნიკის გარეშე, ხალხი უნდა გაერთიანდეს და იმ პრეზიდენტმა, რომელიც მიწაზე ფორთხავდა და დაწვა, მან არ მიიღოს აღლუმი. ბედნიერი ვარ, რომ ამ ხალხთან ერთად ვიყავი. ხელისუფლებაში არასდროს არ უნდა იყოს ხალხი, რომელიც ბრძოლის ველზე დაწვება. პრეზიდენტს მივმართავ, იტალიაში ტანკი გამოიყვანეს, როცა დამოუკიდებლობის 150 წლისთავი აღნიშნეს?! სამხედრო ტექნიკა ჰქონდათ? მაგრამ მშიშარა ხარ და ტანკის იმედი გაქვს, ძალის იმედი გაქვს, — აღნიშნა შაშიაშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, სააკაშვილს ძალიან უნდოდა კრება ნინო ბურჯანაძესთან დაეკავშირებინა. შაშიაშვილის თქმით, ის ბურჯანაძეს ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა და გარკვეულ საკითხებში ის ღირსეული პიროვნება აღმოჩნდა. შაშიაშვილი დარწმუნებულია, რომ ბურჯანაძე ამ ხელისუფლებას არ გაურიგდება და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— სააკაშვილს აწყობდა, რომ კრება არის ერთი პიროვნება და ამას ბევრი აყვა, მათ შორის პოლიტიკოსებიც. კახა შარტავა ამბობდა, რომ კრებას პროგრამა არ ჰქონდაო. ბატონო კახა, „ძველ თბილისში“, სათათბიროს კრებაზე თქვენ თვითონ თქვით, რომ ჩვენ გვაქვს მშვენიერი და კარგი პროგრამა, რომელიც შეადგინეს „თეთრებმა“ და შაშიაშვილმა, ასე თქვით თქვენ და ციტირებას ვაკეთებ, დღესვე მივიღოთ, დავამტკიცოთ და შევუდგეთ მის შესრულებას. ერთად განვიხილეთ კრების სქემა. აი, კრების სქემა, სადაც ერთ-ერთ პუნქტად წერია ბრძოლა საარჩევნო გარემოსთვის. ტყუიხართ თქვენ, პრეზიდენტის ჩათვლით, ვინც ლაპარაკობთ, რომ ჩვენ არჩევნები არ გვინდა. ეს სქემა დარიგებულია, აქვს ყველას: გუბაზ სანიკიძეს, კახა შარტავას, ზვიად ძიძიგურს და ყველას, ვინც უფლებამოსილება კრებაში შეიჩერა. ყველამ იცის ის პროგრამა, რომელიც იქ დარიგდა.

*— ბატონო თემურ, კახა შარტავა მატყუარაა?*

— შარტავა არის საჭირო კაცი, ღირსეული კაცი და ამიტომ მწყდება გული, თორემ ეს რომ ეთქვა ვანო მერაბიშვილს, მაშინ ამას არც შევეხებოდი. ყველა პოლიტიკოსზე მაღლა დადგნენ ძმები გაჩეჩილაძეები, ზაზა პაპუაშვილი, კახა კუკავა. ძალიან ღირსეულად მოიქცნენ. არაკაცების დოლია ქვეყანაში, მაშინ როდესაც, ამათი პარპაში უნდა დამთავრდეს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ ეროვნული სახალხო წარმომადგენლობითი კრება დაამთავრებს ამ ხელისუფლებაში არაკაცების პარპაშს.

*— არაკაცები ოპოზიციაში არ არიან?*

— არაკაცებს მე ვუწოდებ ხელისუფლებას. პირველი არაკაცები არიან სააკაშვილი და მერაბიშვილი. არაკაცებითაა სავსე ხელისუფლება. ოპოზიციაში ძალიან ბევრია ამის კანდიდატი და ძალიან ბევრი გააღრმავებს ამას, განსაკუთრებით ისინი, ვინც დაიწყებს ხელისუფლებასთან ინდივიდუალურ მოლაპარაკებას. ვინც ლაპარაკობს რვიანში, რომ ხელისუფლებასთან ინდივიდუალური მოლაპარაკების რეჟიმში გადავიდეთო, ისინი არიან ხელისუფლების მსტოვრები და ნაყიდები ვანო მერაბიშვილის მიერ. ამას ვამბობ პირდაპირ და გასაგებად.

*— არაკაცები ახსენეთ, არ ფიქრობთ, რომ თითოეული ასეთი პიროვნების მხილების დროა და მათი საქმიანობა ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს?*

— ამაზე მეტად მხილება, რაღა უნდა მოხდეს, რაც ვთქვით და რაც ყველამ იცის. ადამიანი დღეს რომ იტყვის, რომ ინდივიდუალურ რეჟიმში გადავიდეთ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებშიო, რვანი რომ ვართ, რვავე კი არ ველაპარაკოთ, ცალცალკე ველაპარაკოთო.

*— ანუ ახალი მემარჯვენეები რვიანის დაშლის და ხელისუფლებასთან გარიგების გზას დაადგნენ?*

— არა, დაშლაზე კი არ არის აქ ლაპარაკი. მე უბრალოდ გული მწყდება, რომ ეს ახლებისგან მოდის. მართლა ძალიან მწყდება გული. იმიტომ, რომ მე ვთვლიდი და მიმაჩნდა, რომ დავით გამყრელიძე სხვა მასშტაბში იქნებოდა პოლიტიკოსი. ჩვენ ათასჯერ მივმართეთ რვიანს და ვუთხარით, ხელისუფლებასთან ლაპარაკობთ და ჩვენთან რომ დაილაპარაკოთ, რა არის ამაში ცუდი. ჩვენ მზარ ვართ, სადაც გინდათ შევხვდეთ და დავილაპარაკოთ. ნახეთ რა ხდება, სააკაშვილი სადაც მიიწვევს, მიდიან, მაგრამ როდესაც ვეუბნებით გენოციდია და მოდით ამის ირგვლივ დავილაპარაკოთ, არ მოდიან ამაზე. იქ მიდიხარ, რატომ? — იმიტომ, რომ ამერიკელებმა 90 მლნ გამოყვეს დემოკრატიისთვის და თან ამერიკამ უთხრა, მე იმ პოლიტიკოსებთან ვიმუშავებ, ვინც ქუჩაში არ გადის. აი, ეს თანხა არის გასანაწილებელი?

*— ანუ ახლა ამ მილიონების გამო მიდის ოპოზიციის ამ ნაწილში ვაჭრობა?*

— რა თქმა უნდა. თან მე რომ მეგონა ქუჩის პოლიტიკოსები იყვნენ და ყველა აქციაზე იყვნენ ხალხის გვერდით, იგივე კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური დღეს ამ მოლაპარაკებებში არიან. ვიმეორებ, დემოკრატიულობის ყველაზე დიდი ნიშანი არის ქუჩა.

*— რვიანის წევრები აცხადებდნენ, რომ ვინც რევოლუციურად იყო განწყობილი, ისინი სააკაშვილის გაძლიერებას უწყობდნენ ხელს და ქუჩის აქციები ხელისუფლებას გააძლიერებდა. ახლა პირიქით ივვეთება?*

— ტყუილია ეს. არაფერს ისეთი დარტყმა არ მიუყენებია ამ ხელისუფლებისთვის, როგორც 26-მა მაისმა მიაყენა. მე რვიანს ვეუბნები, 26 მაისის შემდგომ თქვენ ხელისუფლებისთვის უფრო მეტი მოთხოვნები უნდა დაგეყენებინათ. დემოკრატია არ არის მარტო პასპორტის ის ფორმა, რომელზეც რვიანი საუბრობს. ვინმეს დაუწერია კანონი სახელმწიფო მოხელეების შესახებ? ჩვენ გვაქვს ასეთი კანონი. ძალიან კარგად ვიცი, ვინც 26 მაისს გვირტყამდა, ძალიან ბევრი სახელმწიფო მოსამსახურე იყო, გამგეობის მუშაკები და ნიკა რურუას ზონდერბრიგადების წევრები. პირდაპირ გვეუბნებოდნენ, გაზეთში ეს რომ დაწერე, ამიტომ ხდება ასეო. ვინც მე მელაპარაკებოდა სტატიებზე, ესენი ზონდერები იყვნენ. სამი წელია ვამბობ, ვისაც გინდათ ოპოზიციაში, უნდა დავწეროთ კანონი ოპოზიციის შესახებ. ჩვენ ვამბობთ, ერთი-ერთი მთავარია იყოს კანონი სახელმწიფო მოხელის შესახებ. პრაქტიკულად საქართველოში კანონი არ არსებობს, რომელიც მონობისაგან გაათავისუფლებს პოლიციელებს, სახელმწიფო მოხელეებს, სასამართლოს თანამშრომლებს, ჯარისკაცებს და ა.შ. მას შემდეგ, რაც 26 მაისს გააკეთა, ვის ჰგონია, რომ არჩევნებით წავა ეს ხელისუფლება?! მე ივნისის დასაწყისში ჩამოვაყალიბებ წერილს პუტინისადმი და ვეცდები ის მოსკოვში პრესკონფერენციაზე წავიკითხო. ამას წინასწარ გამოვაქვეყნებ განხილვისთვის. მგონია, რომ სააკაშვილი და პუტინი ერთმანეთის მიმართ ასეთი გადაძახილებით საკუთარ საქმეს იკეთებენ და საქართველოს ანგრევენ. პუტინი აცხადებს, რომ ქართველი ხალხი უყვარს, არადა, ის როგორც იქცევა, ეს ქართველების ზიზღს ადასტურებს.

*— დაბოლოს, ბატონო თემურ, თქვენ ახსენეთ, რომ კულტურის მინისტრის ზონდერები ურტყამდნენ აქციის მონაწილეებსო. რა გამოდის, სააკაშვილი მხედრიონის იმედადაა?*

— რა თქმა უნდა. მხედრიონი არც წასულა. სააკაშვილი ზის მხედრიონზე. სააკაშვილის ძალა არ არის პოლიცია. მას ამ პოლიციის ეშინია და პოლიციას აშინებს იმ ზონდერბრიგადებით.

# მეგრელი კაცი ამერიკელებმა ცხარე კერძებით გამაკვირვეს

ნანა მიშელაშვილი

**ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ წურწუმია ამბობს, რომ ბავშვობაში ლექსებს წერდა და, მესამე კლასიდან დაწყებული, ბოლო კლასის ჩათვლით, რესპუბლიკურ კონფერენციაზე პირველი ხარისხის დიპლომს იღებდა. ლექსების წერის გარდა, საკმაოდ კარგად ხატავდა და ხაზავდა.**

თემურ წურწუმია ირწმუნება, რომ სადილების მომზადება უპრობლემოდ შეუძლია და ამერიკაში მეგობართან ერთად ხინკალიც კი გააკეთა. ხინკალს ოსტატურად ბევრი ნაოჭიც გაუკეთეს და ამერიკელებიც გააკვირვეს.

როგორია თამადაა ფოთის მაჟორიტარი, როგორი ღვინო ურჩევნია საქეიფოდ და როგორი სასმისი უხდება სიყვარულის სადღეგრძელოს?

„ახალი თაობა" **თემურ წურწუმიას** ესაუბრა:

***— რამდენი შვილი გყავთ და შვილებიდან ხასიათით რომელი გგავთ?***

— სამი შვილი მყავს. ქეთევანი 17 წლის არის, შოთა-გიორგი — 13 წლის, თამარი — 9 წლის. ვაჟს პატრიარქმა დაარქვა სახელი — შოთა-გიორგი. შვილებს შორის ასაკობრივი სხვაობა 4-4 წელია. ყველა გვეუბნებოდა, რა კარგად გაგითვლიათო. არადა, ამ დროს მე და ჩემს მეუღლეს ნამდვილად არ გაგვითვლია, არც ერთხელ ექოსკოპიით არ გვიცდია შვილების სქესის დადგენა. ხასიათით სამივე შვილი მგავს. სამივე მშვიდი ხასიათისაა.

***— ემოციური არც ერთი არ არის?***

— არა, ოჯახში ემოციური არავინ არის. შეიძლება, ეს განაპირობა იმან, რომ მე ასაკით მეუღლეზე 16 წლით უფროსი ვარ.

***— რამდენი წლის იყავით, როდესაც ცოლი შეირთეთ?***

— 31 წლის ვიყავი, მარიამი 15-ის იყო.

***— ე.ი. 15 წლის გოგონა მოატყუეთ?***

— მთავარია, რომ თავად არ თვლის თავს მოტყუებულად.

***— ოჯახი ახლა ფოთში ცხოვრობს?***

— კი, ბავშვები ფოთში სწავლობენ. ორი შვილი სასულიერო სკოლაში სწავლობს.

***— შოთა-გიორგი სპორტზე დადის?***

— კალათბურთზე დადის.

***— რას იტყვით, როგორი კალათბურთელი გამოვა?***

— მწვრთნელი გოგი ცომაია და როლანდ გარუჩავაა, მათი რეკომენდაცია იყო, რომ კალათბურთზე მიმეყვანა. ასაკთან შედარებით, საკმაოდ მაღალია. მწვრთნელები ჩემი მეგობრები არიან და მთხოვეს, ადრე თუ კვირაში ორჯერ დადიოდა, ახლა სამჯერ იაროს და არდადეგების პერიოდში ყოველდღე ივარჯიშოს, თან ასაკით უფროსს ჯგუფში გადაიყვანეს. ძალიან არ მიყვარს, როდესაც პრივილეგიებს ავლენენ ჩემი ოჯახის წევრების მიმართ. მთელი ცხოვრება გავურბოდი ასეთ რამეს. ვეცდები, რომ ეს მიდგომა ბოლომდე შევინარჩუნო.

***— ეგ რა პრივილეგიაა, თუ ბავშვს ეხმარებიან...***

— მწვრთნელებმა მითხრეს, რომ შოთა-გიორგის მონდომებამ განაპირობა ასაკით უფროს ჯგუფში გადაყვანა და არა ჩემმა ფაქტორმა. ძალიან გამიხარდა, სულ რამდენიმე თვეა, რაც კალათბურთზე დადის და, როგორც მითხრეს, ამ ეტაპისთვის დამაკმაყოფილებელი შედეგები აქვს.

***— რომელი კალათბურთელი მოსწონს? თავისი იდეალი ჰყავს?***

— კი. სპორტის სასახლეში, როდესაც ჩვენმა ნაკრებმა ბელორუსის ნაკრები დაამარცხა, ამ თამაშმა და ემოციამ, როდესაც ნახევარი საათი დარბაზი სკანდირებდა — საქართველო, საქართველო, ძალიან აღაფრთოვანა. პირველად მაშინ მითხრა, მამა, კალათბურთზე შემიყვანეო. მანამდე ცოტა ხანი კარატეზე დადიოდა. რაღაცნაირად გაგვიჭიანურდა კალათბურთზე მიყვანა. იუმორის მატარებელი ბავშვია, რამდენიმე თვის წინ დამირეკა და მითხრა, მამი, სანამ არ გადამიფიქრებია, კალათბურთზე შემიყვანეო.

***— გამოდის, რომ გადაფიქრებამდე მოასწარით და კალათბურთზე შეიყვანეთ?***

— ასეა.

***— კარატეს თავი დაანება?***

— კი, თავი დაანება. შოთა-გიორგი ქართული ცეკვის ანსამბლში დადის.

***— კარგად ცეკვავს?***

— ნორმალურად, ასევე ძალიან კარგად გალობს, ჩემგან განსხვავებით, შესანიშნავი სმენა აქვს.

***— თქვენ მუსიკალური განათლება არა გაქვთ?***

— არა, რაზეც გული მწყდება. ჩემი მშობლების მხრიდან მცდელობა იყო, რომ მუსიკაზე მევლო, მაგრამ თავი ავარიდე.

***— მუსიკიდან ხომ არ იპარებოდით?***

— მუსიკაზე როდესაც მიშვებდნენ ან ვიპარებოდი, ან მასწავლებელს ისე ვაღიზიანებდი, რომ თავი მოვაბეზრე და იძულებული გახდა, გამოვეშვი.

***— სუფრასთან სიმღერის აყოლა არ შეგიძლიათ?***

— როგორ არა, შემიძლია. როგორც ყველა ქართველმა იმის ზონაწონა ვიცი, რა კატეგორიის მომღერლებთან მაქვს საქმე და სად შეიძლება ავყვე და სად — არა. ახლახან მეგობრებთან ერთად ლხინის სუფრაზე ვიყავი, ეს მარტო სუფრა არ იყო, ეს იყო ხელოვნების ზეიმი, ისე კარგად იყო შესრულებული ქართული ხალხური სიმღერები.

***— გოგონებს რა შეეხება, უფროსი შვილი სად სწავლობს?***

— უფროსმა ქალიშვილმა სამხატვრო სკოლა დაამთავრა. მას ბავშვობიდან აღმოაჩნდა ხატვის ნიჭი და მიდრეკილება. შესანიშნავად ხატავს.

***— მამის პორტრეტი დაუხატავს?***

— არა, ჯერ არ დაუხატავს.

***— ამის გამო გული ხომ არ გწყდებათ?***

— მართალი გითხრათ, პორტრეტებს ჯერ არ ხატავს. ძალიან უყვარს ნატურმორტის ხატვა, მულტფილმებიდან გმირების ხატვა. ეს კარგად გამოსდის. სიმღერით უფროსიც და უმცროსი ქალიშვილიც შესანიშნავად მღერიან. უმცროსი ცეკვაზე დადის და კარგად ცეკვავს.

***— თქვენ შეგიძლიათ ცეკვა?***

— ერთი კურიოზი შემემთხვა ცეკვასთან დაკავშირებით. ბავშვობაში ძალიან მაღალი ვიყავი. ცეკვაზე როდესაც მივედი, რამდენიმე მეცადინეობას დავესწარი. ყველას მეწყვილე ჰყავდა, მე მარტო ვცეკვავდი. ეს ცუდად მოქმედებდა, ანსამბლში ჩემი სიმაღლის გოგონა არ იყო. პედაგოგმა მთხოვა, რომ ამხანაგების წრეში ჩემი სიმაღლის გოგონა მომეძებნა. ჩემს კლასში ნამდვილად არ იყო ჩემი სიმაღლის გოგონა და სხვა კლასელებს ვერ ვკადრებდი, მეთქვა, ჩემი ხათრით წამოდი და იცეკვე-მეთქი. მარტო ცეკვა მომბეზრდა და თავი გავანებე.

***— რაც შეეხება ხატვას, თქვენც ხატავდით?***

— კი. სამხატვრო სკოლაში დავდიოდი, არეულობის დროს, 90-იან წლებში, ხაზვა-ხატვას ვასწავლიდი ერთ-ერთ სკოლაში. ჩემი შვილი ჩემზე უკეთესად ხატავს.

***— თქვენ რისი ხატვა მოგწონდათ?***

— პორტრეტების.

***— მეუღლის პორტრეტი დაგიხატავთ?***

— არა. ინსტიტუტში პირველ-მეორე კურსამდე ვხატავდი, შემდეგ — აღარ.

***— შეყვარებულობის პერიოდში ხომ არ ხატავდით?***

— არა. ხატვა მეექვსე-მეშვიდე კლასში დავიწყე და სტუდენტობის პერიოდამდე ვხატავდი.

***— ისეთი ნახატი გაქვთ, რომელიც მოგწონდათ?***

— მშვიდობის დღე იყო და კონკურსი ჩატარდა, ასფალტზე ფერადი ცარცით ხატვაში. ეს ის პერიოდია, როდესაც განიარაღება, მშვიდობა, მსოფლიო თემა იყო. მაშინ დავხატე მტრედის ფრთებს ამოფარებული დედამიწა. მერვე კლასში ვიყავი, კარგად მახსოვს, მესამე პრიზით დამაჯილდოვეს.

***— თქვენი ნახატები შენახული გაქვთ?***

— არა. მესამე კლასიდან მეცხრე კლასამდე ლექსებს ვწერდი. ის ლექსები მაქვს შენახული. მაშინ რესპუბლიკური კონფერენცია ტარდებოდა, მესამე კლასიდან ყოველ წელს ვმონაწილეობდი და პირველი ხარისხის დიპლომით მაჯილდოებდნენ.

***— ლექსებს მხოლოდ სკოლის პერიოდში წერდით თუ სტუდენტობის დროსაც?***

— სტუდენტობისას რამდენიმე ლექსი დავწერე. შემდეგ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა ის, რომ ლექსისთვის ვეღარ ვიცლიდი და არ განწყობა იყო. საკმაოდ რთულ პერიოდში მომიწია ფოთში საქმიანობა. ლექსი დაწერო მაშინ, როდესაც, შეიარაღებული ფორმირებები დათარეშობენ და ადამიანები იღუპებიან, ამის დრო და განწყობა არ არის.

***— რაც დეპუტატი ხართ, ლექსი თუ დაგიწერიათ?***

— ხუმრობით ხანდახან მეუღლეს გავეპასკვილები ხოლმე. პოეზიის მოყვარული მეგობრები მყავს, როდესაც ვიკრიბებით, ზოგი თავის ლექსს ამბობს, ზოგი — დიდი პოეტის.

***— მეუღლისთვის ლექსი დაგიწერიათ?***

— არა, მეუღლის მოყვანის პერიოდში ლექსებს უკვე არ ვწერდი. მეუღლემ იცის ჩემი დამოკიდებულება მისი პიროვნების მიმართ. ჩვენ 1993 წელს დავოჯახდით, პომპეზური ქორწილი არ გვქონია, ვიწრო წრეში აღვნიშნეთ. მაშინ ფოთში ისეთი ვითარება იყო, რომ ღამე ადამიანი შინ მშვიდობით მივიდოდა თუ არა, არავინ იცოდა. ჩემმა მეუღლემ შეძლო ის, რომ სამი ჯანმრთელი შვილი გაზარდა, რაც მთავარია, მშვიდები. მე რა ლექსი უნდა დავუწერო სამი შვილის დედას, რომ მის მიმართ ჩემი დამოკიდებულება ავსახო. ეს ყველაზე მეტად ჩანს პირად ურთიერთობებში.

***— რა ფაკულტეტი გაქვთ დამთავრებული?***

— საინტერესო ის არის, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი დავამთავრე, არადა, სკოლის პერიოდში ქართული ლიტერატურით ვიყავი გატაცებული. რატომღაც ფიქრობდნენ, რომ ფილოლოგი ან ისტორიკოსი გამოვიდოდი. დედის პროფესია ავირჩიე. დედა ინჟინერ-მშენებელი გახლდათ. დედა რესპუბლიკაში ცნობილი ხაზვის მასწავლებელი იყო. მან შეძლო, რომ ჩემთვის ტექნიკური საგნები შეეყვარებინა და განსაკუთრებით — ხაზვა. საკმაოდ კარგად ვხაზავდი. ხაზვა თითქოს ტექნიკური საგანია, მაგრამ შემეძლო, ხელოვნების დონემდე ამეყვანა.

***— ე.ი. პროფესიის არჩევის დროს დედამ იქონია გავლენა?***

— კი. მამა ისტორიკოსია. გენეტიკურად ჰუმანიტარული საგნებისკენ ვიყავი მიდრეკილი, მაგრამ ტექნიკური საგნების შეყვარება დედამ შეძლო. თანაც იმ დონეზე შეძლო, რომ პოლიტექნიკური ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დავამთავრე.

***— ოჯახი ახლა ფოთში ცხოვრობს. მეუღლის ან შვილების დაბადების დღე ხომ არ დაგვიწყებიათ?***

— არც მეუღლის და არც შვილების დაბადების დღე არ მავიწყდება.

***— როდესაც მეუღლეს საჩუქარს ჩუქნით, თქვენი გემოვნება მოსწონს თუ საჩუქარს გიწუნებთ?***

— საჩუქრებთან დაკავშირებით ჩემი შეხედულება მაქვს. ეს განსაკუთრებული მიდგომა არ არის, მაგრამ, იმით გამოიხატება, რომ ოჯახის წევრებს თავად ვაძლევ საშუალებას, საჩუქარი ამოირჩიონ. მირჩევნია, მათი გემოვნებით შევუძინო და არა ჩემი გემოვნებით. ეს ეხება ყველაფერს — სუნამოდან დაწყებული, ტანსაცმელითა და უბრალო აქსესუარით დამთავრებული. მათ იციან ჩემი შესაძლებლობა და ისეთ საჩუქარს არ მოითხოვენ, რასაც ჩემი ფინანსები ვერ გასწვდება.

***— თქვენ რა საჩუქარი მიიღეთ ბოლოს შვილებისგან?***

— წინა დაბადების დღეზე სამივე შვილმა პატარა ბუკლეტები მოამზადა, თავისი გაფორმებით. ყოველ წელს ვინახავ მათ ნაჩუქარ ბუკლეტებს. როცა გაიზრდებიან, შემდეგ ვაჩვენებ. სამივე თავად აფორმებს ამ ბუკლეტებს და რაც შეიძლება თბილ ტექსტს წერენ. მეუღლემ სუნამო მაჩუქა. არ ვიცი, სხვა ამას როგორ გაიგებს, მაგრამ საჩუქრები დიდად არ მხიბლავს.




***— თამადობა ხშირად გიწევდათ, როდესაც ფოთში საქმიანობდით?***

— მაშინაც მიწევდა და ახლაც მიწევს.

***— მკაცრი თამადა არ უნდა იყოთ...***

— არ ვიცი, მკაცრი და არამკაცრი თამადა როგორია. თამადა უნდა იყოს თამადა.

***— ანუ როგორი?***

— თამადას სუფრაზე მართვის სადავეები ხელიდან არ უნდა გაექცეს.

***— თქვენ მართვის სადავეები ხელიდან არასდროს გაგქცევიათ?***

— როგორც კი ეს დამემართება, არასდროს აღარ ვითამადებ. პირველივე შემთხვევაში, თუ ასეთი რამ დამემართა, აღარ ვითამადებ. ვცდილობ, რომ დიდ სუფრებზე არ ვიყო თამადა, ყველაზე კარგია, როდესაც 6-7 კაცში ხარ თამადა. ამ დროს ყველა ერთმანეთს უსმენს, ეფერება.

***— ზოგჯერ რომ არ უსმენენ სუფრის წევრები თამადას, ამის გამო არ ბრაზდებით?***

— ეს ძალიან ცუდად მოქმედებს, მაგრამ ეს ისეთი სფეროა, სადაც ადამიანს შენიშვნა არ უნდა მისცე.

***— საქეიფოდ როგორი ღვინო გიჩევნიათ?***

— თეთრი ღვინო, კახური ღვინო.

***— ღვინის დაყენება შეგიძლიათ?***

— დამიყენებია, მაგრამ სხვები ჩემზე უკეთესად აკეთებენ, მეგობრებთან ერთად ვაყენებ ღვინოს. ჩემი მეგობარი ამ სფეროში კარგად არის გათვითცნობიერებული და მას მივანდე ეს საქმე.

***— რამდენიმე დეპუტატმა დაიტრაბახა, რომ 6-7 ლიტრი ღვინის დალევა შეუძლია. თქვენ რამდენი ლიტრის დალევა შეგიძლიათ?***

— სუფრაზე სიტუაციას და განწყობას გააჩნია. არასდროს ვზომავ, რამდენის დალევა შემიძლია. ყოველ შემთხვევაში, სუფრიდან გაქცეული ჯერ არავის ვუნახივარ. დალევამ შეჯიბრების სტილი თუ მიიღო, მე შენზე მეტს დავლევ, ეს სუფრა აღარ არის. ეს, ალბათ, უფრო ღრეობაში გადადის. ძალიან არ მიყვარს, თუ ოდესმე თამადა ღვინის დალევას დამაძალებს. თუ ადამიანი ჯანმრთელია და განწყობაზეა, ქართველ კაცს სუფრაზე დაძალება არ უნდა დასჭირდეს.

***— განსხვავებული სასმისებით შეგისვამთ?***

— კი, განსხვავებული სასმისები მიყვარს.

***— მაგალითად, რით შეგისვამთ?***

— კრამიტით, ლამფის შუშით ან ქალის ფეხსაცმლით ნამდვილად არ დამილევია. ზოგჯერ იციან, რომ აიღებენ ქონიან ჭურჭელს და იმით სვამენ, არც ამით არ დამილევია. რატომ არ დავლევ ამით, იცით? იმდენი კარგი განსხვავებული სასმისია, რომ რატომ უნდა გაიწვალო თავი კაცმა. მე მიყვარს ჩვეულებრივი თიხის სასმისები, ბროლის ჭიქები, თანაც სხვადასხვა სადღეგრძელოს განსხვავებული სასმისით შესმა მიყვარს, მშობლების სადღეგრძელო სხვა სასმისით უნდა დალიო, სიყვარულის სადღეგრძელო სხვა სასმისით.

***— სიყვარულის სადღეგრძელოს როგორი სასმისი უხდება?***

— ნაზი, გათლილი ბროლის სასმისი. როდესაც სუფრის წევრები ერთმანეთს ჭიქას ჭიქაზე მიუჭახუნებენ წკრიალა ხმა უნდა ჰქონდეს. თუ საშუალება არის, მთელი სუფრა განსხვავებული სასმისებით შეიძლება დაილიოს. მე არ ვამბობ, რომ განსხვავებული სასმისი დიდი ტევადობის უნდა იყოს, შეიძლება განსხვავებული სასმისი ჩვეულებრივ ღვინის ჭიქაზე ნაკლები ტევადობის იყოს.

***— არყით ქეიფი როგორია?***

— არყის დალევა შეიძლება მომიწიოს, მაგრამ არყის მოყვარული არა ვარ. არც ვისკი არ მიყვარს. მე მიყვარს თეთრი, კახური ღვინო.

***— სადილების მომზადება იცით?***

— სხვა გზა არა მაქვს.

***— რა სადილის მომზადება გეხერხებათ?***

— განწყობის მიხედვით ყველაფერს ვაკეთებ.

***— ცომეულსაც?***

— მათ შორის, ცომეულსაც.

***— ხაჭაპური გამოგიცხვიათ?***

— კი. ხაჭაპურის გამოცხობაც შემიძლია და ხინკლის გაკეთებაც.

***— არ მჯერა...***

— ამერიკაში გავაკეთე ხინკალი.

***— ხუმრობთ თუ მართლა?***

— ამერიკაში ვიყავით 2004 წლის დასაწყისში. საქართველოდან 10 საკრებულოს თავმჯდომარე ვიყავით ოჰაიოს შტატში 24-დღიანი გაცვლითი პროგრამით და ოჯახში ვცხოვრობდით. ჩემთან ერთად ცხოვრობდა ყვარლის საკრებულოს თავმჯდომარე გოჩა შავგულიძე. მასპინძელებმა გვთხოვეს, რომ ქართული კერძი მოამზადეთო. მე და გოჩამ ვიფიქრეთ და ხინკალი მოვამზადეთ.

***— როგორი ხინკალი გამოგივიდათ? რამდენი ნაოჭი ჰქონდა?***

— ძალიან კარგი ხინკალი გამოგვივიდა, ნაოჭიც ბევრი ჰქონდა. ამერიკელებს ძალიან მოეწონათ. მათ თავიანთი მეზობლები გადმოიპატიჟეს და ხინკალზე დაპატიჟეს.

***— პილპილით მიირთვეს ხინკალი ამერიკელებმა?***

— კი. პილპილზე ამერიკაში ერთი საინტერესო ამბავი დამემართა, სამეგრელოდან ვარ და ცხარე საჭმელები მიყვარს. გამყიდველს ვთხოვე, ეჩვენებინა ცხარე სანელებელი რომელი იყო, ერთხელ ვიყიდე და არ გამოდგა ცხარე, მეორედ ვიყიდე, არ გამოდგა, შემდეგ ვუთხარი, რომ ყველაზე ცხარე რომელი იყო, ერთ სანელებელზე მიმითითა. ეს სანელებელი იმდენად ცხარე გამოდგა, რომ რამდენიმე საათი პირდათუთქული დავდიოდი. თარჯიმანს რომ ვკითხე, რა სანელებელი შევიძინე, მითარგმნა, ამ სანელებელს „ჯოჯოხეთის ალი" ერქვა.

***— მეგრელი კაცი ამერიკელებმა ცხარე სანელებლით გააოცეს?***

— საკმაოდ ცხარე სანელებლები იყო, თან „ჯოჯოხეთის ალი" ერქვა, რამდენიმე საათის განმავლობაში პირის ღრუში შეგრძნება დაკარგული მქონდა.

თეა მარხვაი ე

# ქართულ და სომხურ ეკლესიებს ერთმანეთთან ვერავინ დააპირისპირებს

## იყო თუ არა გარეგინ მეორის ვიზიტი შედეგიანი

**საქართველოში სომეხთა პატრიარქის ვიზიტი დასრულდა. გარეგინ მეორის ვიზიტი საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც ისტორიული, ისე შეაფასა. სომხური მედიის მტკიცებით კი, ეს ვიზიტი სომხური მხარისთვის ფიასკოთი დასრულდა. ყველამ იცოდა, რომ გარეგინ მეორე საქართველოში სომხური ეკლესიის სტატუსის განსაზღვრასა და სადავო ტაძრების გადაცემას მოითხოვდა. სამაგიეროდ, არავის ეგონა, რომ ანალოგიურ წინადადებას ქართული მხარეც დააყენებდა.**



ილია II-მ იმ ქართული ეკლესიების გადმოცემა მოითხოვა, რომლებიც სომხეთის ტერიტორიაზეა. ამის გარდა, ჩვენმა პატრიარქმა სომხეთში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიის ჩამოყალიბებაც მოითხოვა.

ჩვენმა პატრიარქმა განაცხადა, რომ სომხური ეპარქია საქართველოში იურიდიულ სტატუსს მიიღებს. იმავე სტატუსს მიიღებს ქართული ეკლესიაც სომხეთში.

როგორც ცნობილია, ისტორიული ლორეს ტერიტორიაზე რამდენიმე ქართული ტაძარია, მათ შორის, ალავერდის, ახტალის, ქობაირის და სხვა მონასტრები. მათი ნაწილი უმძიმეს მდგომარეობაშია და სასწრაფოდ მიხედვა სჭირდება.

სომხური მხარე ჩვენ ექვს ეკლესიას გვედავება. აქედან ერთი, სურბ-ნშანი, ახალციხეში მდებარეობს, დანარჩენი ხუთი კი — თბილისში. სურბ-ასტვაცაცინი და სურბ-მინასი ავლაბარშია, სურბ-ნშანი —ვერცხლის ქუჩაზე, ნორაშენი ლესელიძის ქუჩაზე და სურბ-გევორქი — ახოსპირელის ქუჩაზე.

სომხური მედიისგან განსხვავებით, ამ ვიზიტით აღფრთოვანებულია საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ვან ბაიბურთი. მისი მტკიცებით, ეს ძმური ვიზიტი ძალიან მალე გამოიღებს შედეგს.

რა შედეგს გამოიღებს ეს ვიზიტი, ვის უნდა ჩვენი ეკლესიების დაპირისპირება და რატომ არის გარეგინ მეორის საქართველოში ჩამოსვლა ისტორიული მოვლენა, ამის შესახებ ვან ბაიბურთი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ვან ბაიბურთი:**

— ეს ვიზიტი მართლაც მნიშვნელოვანია. ამასთან, მე ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ სომეხთა კათოლიკოსი ჯავახეთში 1894 წლის შემდეგ არ ყოფილა. ისე, რომ იცოდეთ, იმ პერიოდში სომხეთის პატრიარქი კონკრეტულად ახალქალაქში არ ჩამოსულა. ის თბილისშიც იმყოფებოდა. მოიარა საქართველოს მთელი რიგი რეგიონები. სომხეთში მიმავალმა ახალქალაქზეც გაიარა. ასე რომ, ეს გაზვიადებული შეფასებაა. სომეხი კათოლიკოსები საქართველოში ჩამოდიოდნენ 5 წელიწადში ერთხელ.

***— გარეგინ მეორეს საქართველოში ჩამოსვლა ცოტა შეაგვიანდა...***

— შეაგვიანდა. ის საქართველოს 2003 წელს სტუმრობდა, ბოლოს კი წინა კვირაში ჩამოვიდა.

***— რატომ დააგვიანდა ჩამოსვლა? ეს უმიზეზოდ არ იქნებოდა.***

— რაიმე მიზეზი ალბათ მართლა იქნებოდა. მასაც უამრავი საქმე აქვს და საქართველოს პატრიარქსაც. ამიტომ დააგვიანდა ეს ვიზიტი.

***— ამბობენ, ასე იმიტომ მოხდა, რომ საქართველოს საპატრიარქოსა და ეჩმიაძინს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო...***

— როგორ გეკადრებათ, ეს არის არასწორი ინფორმაცია. გარეგინ მეორეს საქართველოს პატრიარქთან ძალიან კარგი, თბილი, მეგობრული და ძმური ურთიერთობა აქვს. ასეთივე ურთიერთობები ჰქონდა ილია II-თან გარეგინ პირველსაც. თუ მკრეხელობაში არ ჩამომართმევენ, ერთი სახუმარო ისტორია უნდა მოვყვე ჩვენს პატრიარქებთან დაკავშირებით. ეს ძველი ამბავია. მოკლედ, ქართველი ჭიჭიკია და სომეხი სეროჟა შეხვდნენ ერთმანეთს. ეს ის დროა, როცა თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი დიდ წარმატებებს აღწევდა. წარმატებულად ასპარეზობდნენ ჩვენი კალათბურთელებიც. ჭიჭიკია ამ წარმატებებით ტრაბახობდა სეროჟასთან. უთხრა: საქართველოს სპორტში დიდი წარმატებები აქვს, სომხები კი არც ერთ სპორტის სახეობაში არ ხართ პირველები. სეროჟა დაფიქრდა და თქვა: ჩვენი პატრიარქი ვაზგენ პირველია, თქვენი პატრიარქი კი ილია II-ო.

***— ახლა რაღაცას იტყვის სეროჟა?***

— კმაყოფილი იქნება, იმიტომ რომ იმათი პატრიარქიც გარეგინ მეორეა და ჩვენი პატრიარქიც ილია II და ჩვენ შორის ძმური და მეგობრული ურთიერთობაა.

***— საქართველოს პრეზიდენტმა გარეგინ მეორის ვიზიტს ისტორიული უწოდა. თქვენც ისტორიულად აფასებთ?***

— ისტორიული ვიზიტია და სხვანაირად როგორ შევაფასო.

***— მაშინ ის გვითხარით, რატომ არის ეს ვიზიტი ისტორიული?***

— იმიტომ რომ 2003 წლის შემდეგ ჩვენს პატრიარქებს შორის შეხვედრა არ ყოფილა. მართალია, ეს შეხვედრა ობიექტური მიზეზების გამო არ შედგა, მაგრამ მაინც აუცილებელი იყო მათი შეხვედრა. ამდენად, ეს ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანია.

***— ამ ისტორიულ ვიზიტს წინ საკმაოდ დაძაბული ურთიერთობები უძღოდა. 2008 წლის ნოემბერში სომხეთში საქართველოს საელჩოს წინ აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები საქართველოს სომხური ეკლესიის მითვისებასა და კულტურულ გენოციდს სდებდნენ ბრალად.***

— ეს აქცია იყო. ვიღაცამ ასე ჩათვალა და გამართა აქცია. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მთელი სომხეთი ასე ფიქრობს. უმეტესობა ქართველებს თავის ძმებად მიიჩნევს. ამდენად, ეს აქცია ვერ ჩაითვლება პრობლემად. ჩვენს ეკლესიებს შორის პატარა გაუგებრობები არსებობს, რომლებიც აუცილებლად აღმოიფხვრება. ამას ეს ისტორიული ვიზიტიც შეუწყობს ხელს. დარწმუნებული ვარ, ის მცირე პრობლემები, რაც არსებობს, ძალიან მალე გადაიჭრება. ჩვენ შორის ძალიან კარგი ურთიერთობები იქნება. როგორც გავიგე, უკვე სომხური ეკლესიაც ემზადება ჩვენი ილია II-ის მისაღებად.

***— როდისთვის იგეგმება ეს ვიზიტი?***

— თარიღი ჯერ ცნობილი არაა. მთავარია, რომ ამაზე საუბარი დაიწყო. ეს ნიშნავს, რომ ილია II აუცილებლად ჩავა სომხეთში და ეს ვიზიტიც ისტორიული იქნება. ორივე მხარე მზადაა არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

***— გარეგინ მეორე საქართველოს საპატრიარქოსგან სომხური ეკლესიისთვის სტატუსის მინიჭებასა და სადავო ეკლესიების გადაცემას ითხოვს. იგივე მოთხოვნა წამოაყენა გარეგინ მეორესთან ჩვენმა პატრიარქმა. სომხეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ქართული ტაძარია, რომელსაც, როგორც ამბობენ, ეჩმიაძინი აქამდე ქართულ ეკლესიებად არ აღიარებდა.***

— არა, არა და კიდევ არა. ეჩმიაძინი მათ აღიარებს, როგორც მართლმადიდებელ ქართულ ეკლესიებს.

***— ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ეჩმიაძინი ოფიციალურად ქართულად მიიჩნევს.***

— როგორ არ ნიშნავს. ქართველები რომ ამ ეკლესიებში ლოცულობდნენ, ეს აშკარაა და ამას არავინ უარყოფს. ლორეს ალავერდში ქართველები დღემდე ლოცულობენ.

***— ეს ქართველები იქ ცხოვრობენ თუ აქედან ჩადიან?***

— იქ ცხოვრობენ.

***— ბევრნი არიან?***

— ცოტანი არიან. ისინი მართლმადიდებელ ეკლესიებში ლოცულობენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ სომხების ერთი ნაწილიც არიან მართლმადიდებლები. მე არა ვარ კომპეტენტური, რომ რელიგიურ თემაზე ლექცია წავიკითხო, მაგრამ რაღაცა განმარტებები აუცილებლად უნდა გავაკეთო. ჩვენს მედიაში რელიგიურ თემებზე არაკომპეტენტური ადამიანები წერენ. რელიგიური ურთიერთობები ძალიან საფრთხილო და ფაქიზი თემაა. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ქართულ მედიაში ამ თემებს მხოლოდ ისინი გააშუქებენ, ვინც კომპეტენტურია.

***— სომხური მედიაში ამ თემებზე კომპეტენტური ხალხი წერს?***

— მე ეგ არ მითქვამს. მე ჩვენს მედიაზე ვსაუბრობ და გული მტკივა, რომ უზუსტობები იპარება. მინდა, რომ ქართულ მედიაში ყველაფერი კარგად ეწეროს.

***— რა იწერება, ბატონო ვან, ასეთი არაკომპეტენტური?***

— როცა ჩვენი ქართველები სომხურ ეკლესიაზე საუბრობენ და წერენ მას გრიგორიანულად მოიხსენიებენ. ეს არის ისეთი უვიცობა, რომ არ ვიცი. ჟურნალისტმა, რომელმაც არ იცის ეს თემა, კარგად არ უნდა დაწეროს. მე არ ვიცი, საიდან მოიტანეს მათ, რომ სომხური ეკლესია არის გრიგორიანული. გრიგორიანები კი ცხოვრობენ სომხეთში, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეკლესიას გრიგორიანული ვუწოდოთ. არსებობს გრიგორიანული კალენდარი, რომელიც რომის იმპერატორმა მოიგონა და არა რომელიმე გრიგორიანმა. სომხურ ეკლესიას ოფიციალურად ასე ჰქვია — სომხური სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია. ეს ყველაფერი სომხური ეკლესიის ბლანკებზეც წერია. ვიცით, რომ არსებობს მართლმადიდებლების დიდი ოჯახი, სადაც შედიან ქართველები, ბერძნები, რუსები, ხორვატები, უკრაინელების ნაწილი, ბულგარელები, რუმინელები. არის მართლმადიდებლების პატარა ოჯახი, რომელშიც სომხები, ეთიოპიელები, ასირიელების ერთი ნაწილი და კოპტები შედიან. ამას რატომღაც ხაზს არ უსვამენ და სომხური ეკლესია რაღაც უცხო სხეულივით გამოჰყავთ.

***— მედიაზე რადგან ჩამოაგდეთ საუბარი, რას ფიქრობთ სომხური მედიის შეფასებებზე? ისინი წერენ, რომ საქართველოში გარეგინ მეორის ვიზიტი ფიასკოთი დასრულდა. რას ელოდნენ ისინი ამ ვიზიტისგან?***

— მე არ ვიცი, ვინ რას ელოდა. მე ვიცი, რასაც წერს სომხური პრესა. სომხური პრესა და ტელევიზია ამბობს, რომ ეს ვიზიტი იყო წარმატებული. ამას ამბობს მედიის 95 პროცენტი. მხოლოდ 5 პროცენტი წერს ფიასკოსა და უშედეგობაზე, დანარჩენები კი ამ ვიზიტით კმაყოფილი არიან. ყველა ძალიან კარგად აცნობიერებს ამ ვიზიტის მნიშვნელობას. ვიღაცას, როგორც ჩანს, ძალიან უნდა, რომ ჩვენს ეკლესიებს შორის მტრული დამოკიდებულება იყო.

***— ჩვენი ეკლესიების დაპირისპირება მართლაც სურთ ვიღაცებს, თუმცა, ასეთი რამეც მოხდა — გარეგინ მეორემ თავის მრევლს მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს საელჩოების წინ აქციების გამართვაზე მისცა კურთხევა.***

— საიდან იგებთ ამ ინფორმაციას, ან რატომ გჯერათ ასეთი რამეების? მე ნამდვილად არ მესმის.

***— საიდან ვიგებთ და ამის შესახებ სომხური მედია 2008 წლის შემოდგომაზე აქტიურად წერდა. ვეცნობი სომხურ მედიას.***

— ეს სწორედ ის მედიაა, რომელიც ამ ვიზიტის უშედეგობაზე. ეს ის მედიაა, რომელიც ამტკიცებს, რომ კომუნიკეს მოეწერა ხელი. ასეთი რამე არ მომხდარა.

***— რატომ არ მოაწერეს კომუნიკეს ხელი?***

— ეს ვიზიტი არ ითვალისწინებდა რაიმე კომუნიკეს გაფორმებას. ამის დროც არ იყო. უამრავი თემა იყო განსახილველი. ჩვენი პატრიარქი გარეგინ მეორეს ამდენი წლის შემდეგ შეხვდა და რა დროს კომუნიკე იყო. ისე, რომ იცოდეთ, გაჩნდა კომუნიკეს გაფორმების იდეა, ოღონდ ამისთვის დრო არ იყო. ეს იყო მეგობრობისა და ძმობის ვიზიტი.

***— როგორც ამბობენ, ჯავახეთში გარეგინ მეორის ვიზიტის დროს პატარა ინციდენტს ჰქონდა ადგილი.***

— არანაირი ინციდენტი არ ყოფილა. მე მათთან ერთად ვიყავი ამ ვიზიტის დროს. უამრავი ადამიანი მოდიოდა ჩვენს პატრიარქებთან შესახვედრად. პატივისცემასა და სიყვარულს გამოხატავდნენ. ასეთ ვითარებაში რატომ უნდა მომხდარიყო ინციდენტი. გიმეორებთ, არანაირი გაუგებრობა არ ყოფილა.

***— თუმცა მოძრაობა „ვირქის“ ლიდერი დავით რსტაკიანი ამბობს, რომ მას არ მისცეს უფლება, გარეგინ მეორეს დალაპარაკებოდა.***

— რაც შეეხება რსტაკიანს, გარწმუნებთ, რომ მას პატრიარქთან მისვლის სურვილი საერთოდ არ ჰქონია.

***— რატომ გგონიათ, რომ მას ამის სურვილი არ ჰქონდა?***

— ახალქალაქში მცხოვრები მორწმუნე ადამიანების თქმით, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მისი ქრისტიანობა.

***— რას ჰქვია კითხვის ნიშნის ქვეშ დგას?***

— იმას, რომ, როგორც მისი ნაცნობები ამბობენ, ეკლესიაში ნაკლებად დადის. რსტაკიანის გამოხდომებზე, სხვათა შორის, ის მედია წერს, რომელიც სომხური მედიის მხოლოდ 5 პროცენტს წარმოადგენს. არ გაინტერესებთ, რატომ ყვირის ეს მედია ასეა? იმიტომ, რომ ეს მათთვის მომგებიანია.

***— მომგებიანი რატომ არის?***

— ამ ვიზიტის უკულმა გაშუქებით სხვა რამის გადაფარვა სურთ.

***— რისი გადაფარვა სურთ?***

— ამ ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე რუსეთში, ქალაქ ადლერში ანდრანიკის ძეგლის დემონაჟი განხორციელდა. ის არის სომხეთის ეროვნული გმირი და, ამავე დროს, რუსული არმიის გენერალი. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა და ამის გადაფარვა უნდა იმ 5 პროცენტს.

***— სულ არ არის გაშუქებული ეს ამბავი?***

— ძალიან მსუბუქად გააშუქეს, თითქოს არაფერი მომხდარა.

***— რა ვიცი, ბატონო ვან, საქართველოში ვინმე სომეხს ფეხი რომ გადაუბრუნდეს, ამას საქართველოს ხელისუფლებას აბრალებენ.***

— მეც მაგას ვაპროტესტებ, მეც ამის გამო ვარ აღშოთებული. საკმარისია, საქართველოში ჩიტმა სომეხს თავზე ან პიჯაკზე უქნას რამე, რომ ერთი ამბავი ტყდება. ასეთ უმნიშვნელო წვრილმანებზე პრორუსული გაზეთები წერენ.

***— ისევ ეს რუსეთი, რას გვიშვრება ეს მოსკოვი...***

— იხუმრეთ და ასეა. გეუბნებით, ჩიტმა თუ ვინმეს რამე უქნა თავზე, ამაზეც ერთი ამბავი იტყდება.

***— რატომ ტეხენ მერე ამ ამბავს, არ იციან, რომ ჩიტის დასკინტლებამ ფული იცის?***

— ფული რომ იცის, ამას არ ამბობენ. საქართველოს ხელისუფლებამ არ უზრუნველყო თავისი სომეხი მოქალაქის უსაფრთხოებაო.

***— როგორ უნდა უზრუნველყოს, ჩიტებს პამპერსებს ხომ არ გაუკეთებენ.***

— შარზე არიან და უნდათ, ერთმანეთს წაჰკიდონ ქართველები და სომხები. ამ ყველაფერის უკან რუსეთი დგას. რსტაკიანმა ერთი ამბები ატეხა ამ ვიზიტთან დაკავშირებით, მისცა ინტერვიუები და ათასი რამეები თქვა. მისგან უკვე მიჩვეული ვართ ასეთ განცხადებებს. საინტერესო ისაა, რა ტიპის გამოცემები ბეჭდავენ მასთან ინტერვიუებს. არ გაინტერესებთ, როგორ არსებობენ ეს გაზეთები? აბა ერთი გაარკვიეთ.

***— თქვენ თუ იცით, გვითხარით, ვისი ფულით არსებობენ?***

— ვისი და რუსეთის ფულით. ამ რუსული ფულით დაფინანსებულ გაზეთებში ისეთი რამეები იწერება, კაცი განერვიულდება და თან გაიცინებს. ჯავახეთის რეგიონში ხელისუფლებამ გზები დააგო. ჩქაროსნული ტრასები გაიყვანა. ამით ყველა კმაყოფილია. აი, რსტაკიანი გამოვიდა და თქვა, რომ ასეთი გზები სომხების საწინააღმდეგოდ გაკეთდა.

***— მხედველობაში რა ჰქონდა?***

— მისი თქმით, ამ ტრასაზე ექვსი თვის განმავლობაში მოხდა 7 ავარია და დაიღუპა 15 კაცი. ამას, მისი თქმით, ქართველები სპეციალურად აკეთებენ, რომ სომხები მოსპონ. ასეთი განცხადებებს სერიოზულად არავინ მიიღებს.

***— დარწმუნებული ხართ, რომ არ მიიღებს?***

— დარწმუნებებული ვარ, იმიტომ რომ ვიცი სომხების განწყობა.

გულიკო ბალა ე

# ეს წელი ისტორიაში შევა, როგორც რეპრესიების წელი

## ინტერვიუ ზაქარია ქუცნაშვილთან

***— ბატონო ზაქარია, ხელისუფლებამ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით კანონის გამკაცრება გადაწყვიტა. როგორც ჩანს, მას სურს, მომავალში საზოგადოებრივი პროტესტის ახალი ტალღა კანონის გამკაცრებით გაანეიტრალოს, ანუ არ უნდა, კვლავ მასშტაბური აქციები იხილოს და პრევენციულ ზომებს მიმართავს. თქვენ როგორ აფასებთ ხელისუფლებას გადაწყვეტილებას კანონის გამკაცრების თაობაზე?***

— ეს ჯერ კიდევ ხელისუფლების სურვილია. ხელისუფლებას სურს, კიდევ უფრო გაამკაცროს კანონი. თუმცა, ამ საკითხზე პარლამენტს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ხელისუფლების სურვილი გამოიხატება ინიციატივებით, რომლის ავტორებმაც არ იციან, რომ ისინი არიან ავტორები. მე ამას დე ფაქტო ხელისუფლების რეაქცია დავარქვი. დე ფაქტო ხელისუფლების რეაქცია გამოვლინდა კანონის გამკაცრების სურვილში. 26 მაისის მოვლენებმა მას აღუძრა სურვილი, ჩვენს მოქალაქეებს გამოხატვის თავისუფლება კიდევ უფრო შეუზღუდოთ. რეაქციონერი სწორედ იმით განსხვავდება სხვა ადამიანებისაგან, რომ ის რეაქციას ახდენს. 9 აპრილის აქციას კანონში ცვლილებები მოჰყვა ქუჩის გადაკეტვასთან დაკავშირებით. 26 მაისის შემდეგ კი ხელისუფლების რეაქცია გამოჩნდა გამოხატვის თავისუფლების კიდევ უფრო შეზღუდვის სურვილში. საქმე გვაქვს დე ფაქტო ხელისუფლების კიდევ ერთ გამოხატულებასთან, რეაქციონიზმთან.

***— ხელისუფლების ეს რეაქციონიზმი რა შედეგამდე მიგვიყვანს?***

— გარკვეულ შედეგებამდე უკვე მისული ვართ. ჩვენ მისული ვართ იმ რეალობამდე, რომ ავტორიტარული და ტოტალიტარული სახელმწიფო მმართველობა გადაიზარდა რეაქციონიზმსა და ძალადობაში. ჩვენ ამას უკვე ვხედავთ. ეს, უბრალოდ, კარგადაა შენიღბული და ხშირ შემთხვევაში ადამიანებს ატყუებენ, არ აძლევენ ინფორმაციას, არ აჩვენებენ, რა ხდება, როგორ მიდის რეპრესიები. საუბედუროდ, 2011 წელი საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც რეპრესიების წელი, რადგან ეს წელი ამ კუთხით ყველაზე მასობრივი რეპრესიებით ხასიათდება.

***— წესით, რაც უფრო მეტია ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებაზე ზეწოლა, რაც უფრო მეტად შეავიწროვებს ხელისუფლება ხალხს, მით უფრო დიდი აღშფოთება შეიძლება მოჰყვეს ხალხისადმი ხელისუფლების ასეთ დამოკიდებულებას. ხელისუფლება ამას ვერ საზღვრავს თუ ყველაფერზე მიდის და აღარ აქვს მნიშვნელობა, ხალხი რას იფიქრებს და რა რეაქცია მოჰყვება მის ქცევას?***

— ხელისუფლებას თავისი რეპუტაცია დიდი ხანია არ ანაღვლებს. მას თავისი რეპუტაცია დაყვანილი ჰყავს იმაზე, ჩაატარებს თუ არა ისეთ ფორმალურ გამოხატულებებს, როგორიცაა, მაგალითად, აღლუმი. მიაჩნია, რომ ეს სახელმწიფოებრივი ღირსების გამომხატველია. ხელისუფლებას სახელმწიფოებრივი ღირსების გამოხატულებად მიაჩნია სახელმწიფო შენობების უკეთესად მოწყობა. მათი აზრით, სახელმწიფო შენობები უფრო უკეთესად უნდა იყოს მოწყობილი, ვიდრე — სკოლები, საბავშვო ბაღები ან თუნდაც კერძო დაწესებულებები. სახელმწიფოებრიობის გამოხატულებად მიაჩნია ის, რომ შეიძლება ჯარისკაცი მშიერი იყოს, მაგრამ კარგად ეცვას, ანუ ხელისუფლებისთვის ფორმალური ნიშნებია მისთვის განმსაზღვრელი და არა შინაარსობრივი ნიშანები. ეს სახელმწიფო ხომ მოქალაქეებისთვის არის შექმნილი და მოქალაქეების მსახური მათი ინტერესების გამომხატველი და დამცველი უნდა იყოს და არა მათზე ბატონობისა და მათი ძალაუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტი, მაგრამ ამ რეაქციონერი ხელისუფლების ამოცანაც სწორედ ისაა, ძალაუფლების შენიჩარჩუნოს და არ გაუფრთხილდეს იმას, რაც კარგა ხანია არ აქვს, ვგულისხმობ რეპუტაციას. ეს ცვლილებებიც ძალაუფლების შენარჩუნებას ემსახურება, რადგან 28 მაისის აქციამ დაარწმუნა იმაში, რომ ხალხი თავისუფლების წართმევას არ შეეგუება. ახლა მათი ამოცანაა, შექმნან ფიზიკური და სამართლებრივი ინფრასტრუქტურა, რომ 2012 წლის არჩევნების დროს მისთვის წინასწარ ხელსაყრელი გარემო შეიქმნას.

***— აშკარაა, რომ ამ კანონს მიიღებენ, ამ ინიციატივას კანონად აქცევენ. ამ დასკვნის გამოტანა ადვილად შეიძლება იქიდან გამომდინარე, რომ პარლამენტში სააკაშვილს მორჩილი უმრავლესობა ჰყავს. კანონის მიღებით საზოგადოებას შეაჩერებენ?***

— თუ საზოგადოება არ აპირებს შეჩერებას, ბოლოს და ბოლოს, მას მაინც მოუწევს თავისი პროტესტის გამოხატვა. ისმის შეკითხვა, სამუდამო პატიმრობის შემოღების დროს უნდა გამოვხატოთ პროტესტი თუ მხოლოდ არჩევნების ფალსიფიცირების დროს? ხომ არ სჯობს, სამუდამო პატიმრობის შემოღების დროს გამოვხატოთ პროტესტი ხმამაღლა და გულიანად, ვიდრე დაველოდოთ არჩევნებს და ფორმალურად წაგებული არჩევნების კვალობაზე დავიწყოთ პროტესტის გამოხატვა? ამიტომაც, ვფიქრობ, დაქსაქსული, ერთმანეთთან კინკლაობაში გადავარდნილი პოლიტიკური ჯგუფები ამ საკითხის ირგვლივ უნდა გაერთიანდნენ და შექმნან თემატური ერთობა იმისათვის, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისთვის სასურველი ინიციატივა, სამუდამო პატიმრობა პოლიციელის მანქანის თუ სახელმწიფო მოსამსახურის ოჯახის წევრის შეურაცხყოფის მიყენებისა და შეკრება-მანიფესტაციის უფლებების შეზღუდვის შესახებ კანონად არ იქცეს. ვფიქრობ, ეს საკმარისი თემაა, რომ შეიქმნას დიდი თემატური ერთობა პოლიტიკურ ჯგუფებს შორის. ამ საკითხში მაინც გამოხატონ სოლიდარობა. თუ პოლიტიკური ჯგუფები ამასაც გაატარებენ, მაშინ დიდი ალბათობით მათ მოუწევთ იმის გატარებაც, რაც არჩევნებზე მოხდება.

***— ე.ი. ხალხი ახლა იმის წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს, რომ წარმოდგენილი ინიციატივები კანონად არ იქცეს?***

— რა თქმა უნდა. სამუდამო პატიმრობის შემოღებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ უნდა გამოვიდეს პოლიტიკური ერთობა და არ უნდა მოგვერიდოს ამ საკითხთან დაკავშირებით ერთად დადგომა. ჩვენი ქართველი საზოგადოება იმით განსხვავდება ბევრი სხვა აფრიკული საზოგადოებისაგან, რომ ჩვენ პოლიტიკური ჯგუფები გვყავს. რადგან გვყავს პოლიტიკური ჯგუფები, მათ აქვთ მოვალეობა, გამოხატონ საზოგადოების სურვილები და მისწრაფებები. პოლიტიკური ჯგუფები რომ არ გვყავდეს, მაშინ ეს ამოცანა საზოგადოებრივ ჯგუფებს დაეკისრებოდათ, მაგრამ დღეს ჩვენ რამდენიმე ათეული პოლიტიკური ჯგუფი გვყავს. საზოგადოებრივი ჯგუფების ამოცანაა, მათ სამართლიან მოთხოვნებს მხარი დაუჭირონ, მაგრამ გამოხატულება, ავანგარდში დგომა პოლიტიკური ჯგუფების ამოცანაა თანამედროვე საზოგადოებაში და არა ის, ხალხო, თქვენ გადით და ჩვენ უკან მოგყვებითო. უკან დგომა წინ დგომით უნდა შეიცვალოს, რომ პოლიტიკური ჯგუფები გახდნენ მთავარი მებრძოლები ნებისმიერ პროცესში. ამიტომ სამუდამო პატიმრობის შემოღებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის თემა ყველა პოლიტიკურ ჯგუფს შორის თემატურ ერთობას მოითხოვს.



***— სამუდამო პატიმრობა ხომ აქამდეც იყო გარკვეული კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ახლა დამატებით, გარკვეულ დანაშაულზე სამუდამო პატიმრობის შემოღება რას ისახავს მიზნად?***

— სისხლის სამართლის კოდექსში შეაქვთ ცვლილება, რომლის მიხედვითაც პოლიციელზე, სახელმწიფო მოსამსახურის ან მათი ოჯახის წევრზე თავდასხმა ან ხელყოფა ისჯება სამუდამო პატიმრობით. ე.ი. გამოდის, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეზე თავდასხმა შეიძლება საერთოდ დაუსჯელი დარჩეს, რისი მოწმენიც ვართ ათეულ და ასეულ შემთხვევაში, როგორც ახლა რამდენ ადამიანს დაესხნენ ისინი 26 მაისს, ხოლო თუ ჩინოვნიკს ან მისი ოჯახის წევრს დაესხმებიან თავს, იქ შეიძლება სამუდამო პატიმრობა მიუსაჯონ. ასეთი დისკრიმინაციული ნორმები შემოაქვთ ჩვენს ცხოვრებაში.

***— როგორ ასაბუთებენ კონკრეტული გამკაცრებული ნორმის შემოღებას? სახელმწიფოზე თავდასხმასთან აიგივებენ თუ რატომ უნდა შემოვიჭრებდეთ ასეთი მკაცრი მუხლი?***

— დე ფაქტო ხელისუფლების აპოლოგეტებისთვის პოლიციელი — ეს არის სახელმწიფოს გამოხატულება. მოქალაქე კი არ არის სახელმწიფოს გამოხატულება, არამედ პოლიციელი. პოლიციელი ჩვენ იმისთვის გვინდა, მოქალაქე დაიცვას და არა იმისთვის, მოქალაქე შეზღუდოს. ამიტომ მოქალაქის უფლებების შეზღუდვაზე კი არ უნდა ვლაპარაკობდეთ, არამედ მოქალაქის უფლებების გაზრდაზე უნდა ვმსჯელობდეთ, მაგრამ ამათი ფილოსოფიით სახელმწიფოს დაცვა — ეს არის პოლიციელის ან ჩინოვნიკის დაცვა. ვერ აცნობიერებენ, რომ ერთიც და მეორეც მოქალაქის მსახურებისთვის, მისი დაცვისთვის გვჭირდება და არა მასზე ძალადობისა და უფროსობისთვის.

***— ნაციონალების ახალი ინიციატივები კონსტიტუციასთან შესაბამისობაში არის?***

— კონსტიტუციასთან შესაბამისობაში არ არის, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ კონსტიტუციური საჩივარი მომზადდეს, რიგი მოუწიოს და დავა გარჩეულ იქნეს, ამას 1-2 წელი სჭირდება. ამასობაში ორივე არჩევნები ჩაივლის. ამიტომაც ასეთი გეგმა აქვთ — ეს პერიოდი გადააგორონ და მიიღონ მაქსიმალურად ხელსაყრელი წინაპირობები არჩევნებისთვის. ამისთვის სამართლებრივ და ფიზიკურ ინფრასტრუქტურას ქმნიან. ფიზიკური ინფრასტრუქტურის შექმნას ემსახურება ის სულელური იდეის რეალიზაცია, რასაც ჰქვია პარლამენტის გატანა დედაქალაქის გარეთ, რისთვისაც 200 მილიონი გაისროლეს. ეს არის ჩვენი წინაპრების ხსოვნის შეურაცხყოფა. ჩემი და თქვენი წინაპრები თბილისისთვის იმიტომ იბრძოდნენ, რომ თბილისი სახელმწიფოს დედაქალაქი ყოფილიყო. სახელმწიფოს დედაქალაქობა ბევრი ადამიანის ერთად ცხოვრებით არ გამოიხატება. სახელმწიფოს დედაქალაქობა ნიშნავს, რომ ეს არის სახელმწიფოს უმაღლესი გადაწყვეტილების მიღების ადგილი. თუ თბილისი არ იქნა საქართველოს უმაღესი გადაწყვეტილების მიღების ადგილი — ბათუმი გახდა სასამართლოს უმაღლესი გადაწყვეტილების მიღების ადგილი, ხოლო ქუთაისი — საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი გადაწყვეტყილების მიღების ადგილი, მაშინ ისმება კითხვა, თბილისი რაღა ფუნქციის მატარებელი იქნება, ბევრი ადამიანის ცხოვრების ადგილი? რას ვაკეთებთ საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს? როგორ გამოვაცხადებთ საომარ მდგომარეობას ან საგანგებო მდობარეობას, თუ გორის ტრასა გადაკეტილი აღმოჩნდება? როგორ ჩავა პატივცემული 150 დეპუტატი ქალაქ ქუთაისში? თუ დეპუტატები ქუთაისში ვერ ჩავლენ, წარმოუდგენელია თუ არა მთავარსარდალს შეიარაღებული ძალების გამოყენების უფლება? კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ მხოლოდ პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს შეიარაღებული ძალების გამოყენების უფლება. სხვა შემთხვევაში შეიარაღებული ძალების ყაზარმიდან გამოყვანის უფლება არავის აქვს.

***— როგორც ჩანს, ხელისუფლებას სწორედ ასეთი ანომალიური სიტუაციის შექმნა უნდა. შეიძლება, ომის დროსაც არანაირ დახვედრას არ აპირებს მტერზე. სხვა შემთხვევაში, ასეთ ვითარებაში როგორ უნდა მოახერხოს პრეზიდენტმა კანონთან შესაბამისობაში მოქმედება საგანგებო და განსაკუთრებულ სიტუაციებში?***

— პარლამენტის გადატანა ქუთაისში, გარდა იმისა, რომ სამხედრო და საგანგებო სიტუაციების თვალსაზრისით არის საშიში, არამედ უაზრობაა ისტორიული სამართლიანობის თვალსაზრისით. ჩვენი წინაპრები რამდენიმე საუკუნე იბრძოდნენ, რომ თბილისი ყოფილიყო დედაქალაქი ან უმაღლესი გადაწყვეტილებების მიღების ადგილი და არა ბევრი ადამიანის ცხოვრების ადგილი. არის მესამე მომენტი, ეკონომიკური მიზანშეწონილობა — გადასახადის გადამხდელების რა ხარჯი, საშუალებები უნდა წარიმართოს 150 დეპუტატისა და 500-კაციანი პარლამენტის აპარატის მომსახურებისთვის. როცა მთელი მსოფლიო ადმინისტრაციული რესურსების შემცირებისკენ მიდის, ჩვენ ახალი ოფისების, ახალი აპარტამენტების, ახალი კაბინეტების მოწყობისაკენ გვაქვს აღებული გეზი. ამ ღარიბ საზოგადოებაში ასეთი ფუფუნების უფლება გვაქვს?

***— იქნებ სააკაშვილს უნდა, დეპუტატები შორს იყვნენ მისგან, რომ ნაკლები პრეტენზიები ესმოდეს. შეიძლება, რაღაცნაირად აწუხებენ პარლამენტის წევრები სააკაშვილს?***

— არა. არც 2005 წლის პარლამენტს და არც 2008 წლის პარლამენტს არანაირი დისკომფორტი ამ პრეზიდენტისთვის არ შეუქმნია. რომ ვთქვათ, სააკაშვილს პარლამენტის წევრები აწუხებენ, ამის გამო იშორებს და ქუთაისში აგზავნისო, სწორი არ იქნება.

***— იქნებ სააკაშვილს უნდა, მის სახელს რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილება დაუკავშირდეს და ამიტომ აკეთებს ამას. სხვა რა შეიძლება დაუკავშირდეს სააკაშვილის სახელს, ომი ვერ მოიგო?***

— აქ სხვა გათვლაა. როგორც გითხარით, სააკაშვილი სამართლებრივ და ფიზიკურ ინფრასტრუქტურას ქმნის. ფიზიკური ინფრასტრუქტურის გამოხატულებაა სწორედ პარლამენტის გადატანა თბილისიდან ქუთაისში. რატომ? არჩევნების გაყალბების შემთხვევაში კეტავენ გზებს და ადამიანებს საშუალებას არ აძლევენ, რომ ჩამოვიდნენ კახეთიდან, დასავლეთ საქართველოდან, სამცხე-ჯავახეთიდან, დასავლეთიდან დედაქალაქში. ასევე იქნება ახლაც. თბილისელების საპროტესტო ადგილად მხოლოდ თბილისი რჩება. ქუთაისში იმხელა ადამიანური რესურსი არ არის, რომ იქ 50-ათასკაციანი აქცია მოაწყო. მეორეც — გზას გადაგიკეტავენ, ქუთაისში ვერ ჩახვალ და პარლამენტის ინაუგურაცია, უფლებამოსილებაში შესვლა მშვიდად მოხდება და მერე იქნიე მუშტები. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ არალეგიტიმური არჩევნების გათეთრება მოახდინონ, ხოლო პროტესტის გამომხატველებს — საშუალება შეუზღუდონ. მაშინ არჩევნების მონაწილე ხალხი დადგება დილემის წინაშე, რომ არ დაუშვან გაყალბების გზით არჩეული პარლამენტის უფლებამოსილებაში შესვლა. ეს რომ არ დაუშვა, ქუთაისში უნდა ჩახვიდე და გააპროტესტო, სადაც, ელემენტარულად, არ ჩაგიშვებენ. ქუთაისში კიდევ ვერ მოძებნი იმ რესურსს, რომლითაც შეძლებ პოლიციელების ძალადობის შეკავებას.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ თემატური გაერთიანებები უნდა მოხდეს და პროტესტი გამოითქვას, მაგრამ, სამწუხაროდ, თემატური გაერთიანებები დღეს მხოლოდ მომავალი არჩევნებისთვის საარჩევნო გარემოს შექმნისთვის ხდება. არსებული ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის მხრიდან რამე სანიმუშო აქციების მოწყობა მოსალოდნელია?***

— თუ პოლიტიკური სპექტრი დროულად არ მიხვდა და დროულად არ ჩამოაყალიბებს თავის მოქმედებებს და ეს მოქმედებები ქმედით ღონისძიებებში არ გამოიხატება, მაშინ ჩათვალეთ, რომ ჩვენ შეიძლება მივიღოთ სიტუაცია, როცა ყველა პოლიტიკური ჯგუფი აღმოჩნდება ქართველი საზოგადოების თვალში და ხელისუფლება მიიღებს ყველაზე სასურველ შედეგს, რომელი სასურველი შედეგიც მას სურს, ანუ თვითონ თავისი რეპუტაცია არ ანაღვლებს, მაგრამ მიიღებს სიტუაციას, როცა ქართველ საზოგადოებას ეყოლება პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც არ იქნებიან პოპულარულები და არ მიიღებენ ხალხის მხარდაჭერას. ამიტომ ქმედითი მოქმედებების დაწყებაა საჭირო, რომ ამ პოლიტიკურმა ჯგუფებმა შეძლონ ხალხის მხარდაჭერის მოპოვება.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ღვთისნიერად ცხოვრება ყველაზე დიდი ბედნიერებაა

ნათია ხურცილავა

„ახალი თაობა“ გთავაზობთ ინტერვიუს **მამა თეიმურაზთან.**

***— მამა თეიმურაზ, 25 წლის ბრძანდებით. როგორ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ გამხდარიყავით მოძღვარი? ეს ხომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ხომ არ გქონდათ წინაპირობა, რომელიც ერთგვარი მაპროვოცირებელი აღმოჩნდა თქვენთვის?***

— ეს ყველაფერი თავისთავად მოხდა. თუმცა, ბავშვობიდან არ მქონია ოცნებად, მოძღვარი ვყოფილიყავი. ვიმეორებ, ეს ყველაფერი თავისთავად მოხდა. მე სპორტსმენი ვიყავი. ფეხბურთს ვთამაშობდი.

***— პროფესიულ დონეზე?***

— დიახ. ჩემთვის სხვა რამეზე ფიქრი წარმოუდგენელი იყო. ფეხბურთი პროფესიულ დონეზე უნდა მეთამაშა. კარიერას რომ დავასრულებდი, მერე მწვრთნელი უნდა გავმხდარიყავი. სხვანაირად წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. ფეხბურთი და მისი თამაში, მერე მწვრთნელობა იყო ჩემი დიდი ოცნება. სპორტში დარჩენას ვაპირებდი, რადგან ჩემი თავი ვერ წარმომადგინა სხვა სფეროში. ამისთვის ერთგვარად ოჯახმაც მომცა საფუძველი. მამა სპორტზე ძალიან არის შეყვარებული. ძმა რაგბის თამაშობს. ერთი სიტყვით, სპორტულ ოჯახში გავიზარდე. ისე არ ყოფილა, რომ ვინმეს ეკლესიამდე მივეყვანე. ჩემი ეკლესიასთან ურთიერთობა ცოტა სხვანაირად დაიწყო.

***— როგორ დაიწყო ეკლესიასთან თქვენი ურთიერთობა?***

— ჩემით მივედი.

***— წირვა-ლოცვას ესწრებოდით და ამან იქონია გავლენა?***

— მახსოვს, რომ ბავშვობიდან ჩემით ვლოცულობდი, არ ვიცი, ვინ მასწავლა, როგორ. ჩემით ვლოცულობდი, არ მახსოვს დეტალებში, რა ლოცვა იყო, პატარა ვიყავი. ტაძარში სიარულიც ჩემით დავიწყე, წირვას ვესწრებოდი.

***— მოძღვარი გყავდათ?***

— არა. შემდეგ ისე მოხდა, რომ საზღვარგარეთ მომიწია წასვლა ფეხბურთის გამო. არგენტინაში ვთამაშობდი, „დეპორტივომერლოში“. უცხოეთში წასვლამ და იქ მარტო ყოფნამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემს ეკლესიურობაზე. უცხოეთში ძნელი იყო ოჯახის გარეშე მარტო ყოფნა. ჩემთვის ძნელი აღმოჩნდა ახლობლების, ოჯახის, ქართველების გარეშე ყოფნა. შვიდი თვის შემდეგ აღმოვაჩინე არგენტინაში, ბუენოს-აირესში მართლმადიდებლური ტაძარი და იქ დავიწყე სიარული. კვირაობით დავდიოდი და ერთგვარ ნუგეშს ვპოულობდი. ვგრძნობდი, რომ ის, მართლმადიდებლური ტაძარი ძალას მაძლევდა, ასევე ვგრძნობდი, რომ ამის გარეშე შეუძლებელი იყო იქ ჩემი გაჩერება. სამშობლოს მონატრებას, მარტო, ოჯახიდან შორს ყოფნას ისიც ერთვოდა, რომ ხშირად მქონდა ტრავმები. წარმოიდგინეთ, ხარ უცხო ქვეყანაში და ვერც იმ საყვარელ საქმეს აკეთებ, რაც გინდა, რომ აკეთო. მივდიოდი ტაძარში და მთელ სიმშვიდეს იქ ვგრძნობდი, იქიდან ვიღებდი ძალას. ერთადერთი გამოსავალი ტაძარი იყო. შემდეგ ისე მოხდა, რომ ტრავმების გამო საქართველოში მომიწია დაბრუნება. რომ ჩამოვედი, მესამე ოპერაცია მუხლზე აქ გავიკეთე, მანამდე ორი ოპერაცია — არგენტინაში. ამის შემდეგ გადაწყდა, რომ თავი უნდა დამენებებინა ფეხბურთისთვის ამის გამო. მიუხედავად ამისა, მაინც მქონდა შემორჩენილი სურვილი, მწვრთნელი მაინც გამოვსულვიყავი, ისე მიყვარდა ფეხბურთი, მაგრამ, ისე მოხდა, რომ ტაძარს დავუახლოვდი ძალიან. ქვაშვეთის ტაძარში დავდიოდი, წირვა-ლოცვას ვესწრებოდი. ეს ის პერიოდია, როდესაც მოძღვარს ვარჩევდი.

***— რაც საკმაოდ რთულია...***

— დიახ. თუმცა, ესეც ძალიან თავისთავად მოხდა. მივედი მამა გიორგი ზვიადაძესთან. მაშინ მამა გიორგი ქვაშვეთის ტაძრის წინამძღვარი იყო. მისმა ქადაგებებმა ძალიან იმოქმედა ჩემზე, გავლენა მოახდინა. გავბედე და მივედი მასთან. ვერ აღგიწერთ, რა გრძნობა მქონდა თავიდან. არასოდეს დამავიწყდება პირველი აღსარება. ღმერთს ვთხოვ, რა განცდაც და გრძნობაც პირველი აღსარების დროს მქონდა, ის განცდა ყოველთვის მქონდეს. ზოგისთვის ის აღსარება დროთა განმავლობაში უფერულდება, ზოგისთვის — არა. თუ ადამიანს გათვითცნობიერებული აქვს კარგად, რისთვის მიდის და სად მიდის შეუძლებელია, რომ განცდების გარეშე ჩაიაროს. ვისაც აწუხებს თავისი ცოდვები, ვისაც აქვს განცდა, რომ ის ცოდვილია და უნდა მოინანოს ღვთის წინაშე, ეს, შეიძლება ითქვას, დიდი ბედნიერებაა.

***— როგორ მოხდა თქვენი მღვდლად კურთხევა?***

— უცხო ენების შემსწავლელ კურსებზე საზღვარგარეთ უნდა წავსულიყავი, მაგრამ, ისე მოხდა, რომ ვერ წავედი, ამ დროს მამა გიორგიმ სტიქაროსნობა შემომთავაზა, რაც ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო. ასე მითხრა — შეიმოსე. მახსოვს, გიორგობის მეორე დღე იყო, შევიმოსე ქვაშუეთში. მერე სულ ტაძარში ვიყავი, ვეხმარებოდი დალაგებაში, სხვა საქმეებში. იმ დროს ქვაშვეთის ტაძარში სამუშაოები იყო. ამან უფრო დამაახლოვა ეკლესიასთან, გავიცანი ბევრი მოძღვარი, მრევლი.

***— თქვენი გადაწყვეტილება მამა გიორგისთან ურთიერთობას, მის ქადაგებებს უკავშირდება?***

— რა თქმა უნდა. ყოველთვის ვმადლობ ღმერთს იმისთვის, რომ ქვაშვეთში მოვხვდი. მამა გიორგის მიუძღვის ძალიან დიდი წვლილი, რომ მე დღეს მოძღვარი ვარ. მაშინ მქონდა ურთიერთობა სტიქაროსნებთან, რომლებიც სასულიერო აკადემია-სემინარიის სტუდენტები იყვნენ. მათთან ურთიერთობას, მერე ჩემი მონდომებაც დაემატა, რომ ღვთისმეტყველებაში მიმეღო განათლება. ამან ბევრი შემძინა. გამიჩნდა სურვილი, რომ სასულიერო აკადემიაში ჩამებარებინა და ჩავაბარე კიდეც. იმ დროს მამა გიორგი პროტოპრესვიტერი გახდა და სიონის საკათედრო ტაძარში გადმოიყვანეს, მეც წამოვედი და იმის მერე ვარ სიონის საკათედრო ტაძარში.

***— სადაც მრევლიც გყავთ. რა პროცესია მოძღვრისთვის მრევლთან ურთიერთობა?***

**— მადლობა ღმერთს, რომ დღეს ვხვდები, გადარჩენის ერთადერთი გზა ტაძრისკენ მიდის, — ამბობს ყოფილი ფეხბურთელი, ახლა უკვე სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარი, მღვდელი თეიმურაზ მჟავანაძე.**



— პირველ რიგში, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. ადამიანები მოძღვარს, როგორც მხსნელს, ისე უყურებენ, მის სიტყვას იჯერებენ. მოძღვრის სიტყვას ძალიან დიდი ძალა აქვს. მოძღვარმა თავისი რჩევით, მითითებით, სიტყვით მრევლი სწორ გზაზე უნდა დააყენოს. ადამიანებს კონკრეტულ სიტუაციაში რჩევა-დარიგება სჭირდება, რის საკითხავადაც მოდიან და იღებენ ამ რჩევას მოძღვრისგან. ეს, რასაკვირველია, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. იმედია, ღვთის წყალობით და შეწევნით შევძლებ, ადამიანებს, რომლებიც მოდიან რჩევის საკითხავად თუ უბრალოდ გასამხნევებლად, მეც შევეწევი და დავეხმარები.

***— მკაცრი მოძღვარი ხართ?***

— ყველა ადამიანს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. გააჩნია ადამიანს. არიან ადამიანები, რომლებიც ძალიან შორს არიან ტაძრისგან, რწმენისგან, იმისგან, რასაც ქრისტიანული ცხოვრება ჰქვია. ამ შემთხვევაში ზედმეტი კანონი რომ დაადო, იმაზე მეტი რომ მოსთხოვო, რაც მას შეუძლია, ამ შემთხვევაში შეიძლება ეს ადამიანი საერთოდ წავიდეს ეკლესიიდან და ველარასოდეს დაბრუნდეს უკან ტაძარში. ეს, რასაკვირველია, ძალიან ცუდი იქნება. ამიტომ უმჯობესია, რომ ოქროს შუალედი იქნას მოძებნილი, რომ ადამიანებს თავიდან გაუადვილდეთ ტაძრისკენ მისასვლელი გზა, რომ ისინი არ დაბრკოლდნენ. მერე თანდათან ხდება რწმენაში გაძლიერება.

***— ადამიანები განსხვავებულები ვართ და, შესაბამისად, განსხვავებული მიდგომაა საჭირო...***

— ყველა ერთნაირი არ არის, ყველას განსხვავებული აზრი და შეხედულება და ცხოვრების წესი აქვს. ეს პიროვნებაზეა დამოკიდებული.

***— ჩემთვის მოძღვარი ექიმთან ასოცირდება, შეიძლება, ძალიან ცუდი შედარებაა, მაგრამ სულის ტკივილი ზოგჯერ შეიძლება უფრო მძიმე იყოს და, როგორც მკურნალთან, ისე მივიდეს ადამიანი. ამ დროს როგორია მოძღვრის როლი?***

— ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას, პრაქტიკას. მადლობელი ვარ იმის, რომ მამა გიორგისთან, მამა შალვასთან, მამა გიორგი სანამაშვილთან, მამა ლავრენტისთან, მამა ამირანთან და სხვა მამებთან, რომლებიც 20-25 წელია, რაც მსახურობენ, მიწევს ყოფნა. მათ, რასაკვირველია, მეტი გამოცდილება აქვთ და ეს მე მეხმარება, მათგან ბევრს ვსწავლობ. მოძღვარიც იზრდება, მოძღვარიც სწავლობს პრაქტიკასთან და გამოცდილებასთან ერთად.

***— ალბათ, რთულია, გულშემატკივრის როლიც დაგეთმოთ. თუ ახერხებთ ფეხბურთისთვის თვალყურის დევნებას, თუ გყავთ გუნდი ან ნაკრები, რომელსაც გულშემატკივრობთ?***

— მოძღვრობამ ისე გადამრთო, ისე გადავერთე ამ ცხოვრებიდან, რომ, ფაქტობრივად, დრო არ მრჩება. ისე, ათასში ერთხელ თუ ვუყურებ საქართველოს ნაკრების თამაშს. ჩვენი ქვეყნის ნაკრებს, რა თქმა უნდა, ვგულშემატკივრობ. ფეხბურთელი მეგობრები მყავს, რომლებთანაც მაქვს ურთიერთობა. მე მაინც ვცდილობ, რომ ისინი ტაძარში მოვიყვანო, გავუზიარო ის, რასაც ჰქვია ქრისტიანულ საიდუმლოებასთან ზიარება.

***— რადგან თეთრ სამღვდელოებას წარმოადგენთ, მოგვიყევით თქვენი ოჯახის შესახებ...***

— დაოჯახებული ვარ, მყავს მეუღლე და ხუთი თვის შვილი.

***— თუ გყავთ გამორჩეული წმინდანი, რომელიც განსაკუთრებულად გიყვართ?***

— მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხატს. ძალიან დიდ ძალას და შემწეობას ვგრძნობთ მათგან. პირადად მე როდესაც მქონდა პრობლემები ყოველთვის წმინდა ნიკოლოზს ვთხოვდი შემწეობას და ისიც მეწეოდა ხოლმე. ჩემი აზრით, ყველა ადამიანს ჰყავს თავისი გამორჩეული წმინდანი, რომლისგანაც განსაკუთრებულ შემწეობას გრძნობენ. ტაძარში მოსვლიდანვე წმინდა ნიკოლოზის დაუჯდომელს ვკითხულობდი და ვგრძნობდი, როგორ მეხმარებოდა.

***— ისე, ქართველებს განსაკუთრებით უყვართ წმინდა ნიკოლოზი...***

— დიახ, ნამდვილად უყვართ გამორჩეულად. ასევე, რასაკვირველია, დედა ღვთისმშობელი, რომლის წილხვედრი ქვეყანაც არის საქართველო. საქართველოში მართლაც გამორჩეულია მარიამ ღვთისმშობლის როლი. სხვადასხვა ხატი არსებობს დედა ღვთისმშობლის. სიონში ვმსახურობ და არ შემიძლია არ გამოვყო სიონის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც სიონის ტაძარში ბრძანდება, რომელსაც ძალიან დიდი ისტორია აქვს. მისგან ძალიან დიდი შემწეობა მოდის. ასევე სიონში არის წმინდა კირიონის, წმინდა ამბროსის საფლავები, ასევე წმინდა იოანე მანგლელის საფლავი, რომლებისგანაც დიდ შეწევნას ვგრძნობ.

***— მამა თეიმურაზ, რას ურჩევთ ახალგაზრდა მრევლს, რომლებმაც ახლა დაიწყეს ეკლესიური ცხოვრება?***

— ყველა ადამიანი ვალდებულია, დაფიქრდეს, რისთვის ცხოვრობს, რა არის ჩვენი ცხოვრების არსი და აზრი. არიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ, მაგრამ არ უფიქრდებიან, რისთვის ცხვორობენ, რა უნდათ, რატომ გაჩნდნენ, რა არის მათი დანიშნულება და ფუნქცია. ყველა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს ეს, ყველა უნდა დაუფიქრდეს და საკუთარ თავს დაუსვას ეს კითხვები. ადამიანების ნაწილი ცხოვრობს იმისთვის, რომ გაერთოს და მხოლოდ სიამოვნება მიიღოს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია. ყოველთვის უნდა ჰქონდეს ადამიანს გაცნობიერებული, რომ დღეს ვართ, მაგრამ შეიძლება ხვალ აღარ ვიყოთ, რომ წარვდგებით უფალთან, ხომ უნდა ვიცოდეთ, როგორები წარვდგებით, მართლები თუ მტყუანები. რაც შეეხება რჩევას, რა თქმა უნდა, ყველას ვურჩევდი, ტაძარში მოვიდნენ, ნახონ მოძღვარი, რომელსაც გაესაუბრებიან და მისგან მიიღებენ რჩევა-დარიგებას. ადამიანს მოძღვარი ეხმარება ცხოვრების წარმართვაში, როგორ უნდა იცხოვრო სწორად, რომ არ იყოს ცდუნებებით, სავსე ადამიანის ცხოვრება, რომ არ იყოს ბოროტი ძალები მის ირგვლივ, ამიტომ საჭიროა ეკლესიაში მოსვლა. ადამიანისთვის აუცილებელია აღსარება და ზიარება. აღსარება ადამიანს უნდა აკეთილშობილებდეს, უნდა ასუბუქებდეს. ვისაც სტკივა და აწუხებს თავისი ცოდვები, ის აუცილებლად გათავისუფლდება აღსარების შედეგად. აუცილებელია ზიარება. ამაზე დიდი სიწმინდე არ არსებობს ქვეყანაზე. ამიტომ ყველა ვალდებულია, ხშირად ეზიარებოდეს, ხშირად ამბობდეს აღსარებას. პატიოსნად, ღვთისნიერად ცხოვრება ყველაზე დიდი ბედნიერებაა. მთავარია, ადამიანი ღმერთთან იყოს. ეს არის ჩვენი მიზანი.

***— მამა თეიმურაზ, როდესაც ადამიანი აღსარებას იტყვის და ტაძრიდან მსუბუქად გამოვა, მან შეძლო, რომ გულწრფელად მოინანია?***

— დიახ, როდესაც ადამიანი გულწრფელად მოინანიებს და ის შეძლებს, რომ ამის შედეგად გათავისუფლდეს, ის მიტევებული გამოვა ტაძრიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, არის შედეგები, როდესაც აღსარება მხოლოდ ფორმალურად ხდება. ჩამოწერენ ქაღალდზე და გადასცემენ მოძღვარს, მაგრამ, თუ ადამიანი არ განიცდის თავის ცოდვას, თუ შენი ცოდვა არ გაწუხებს, თუ ამ დროს არ გტკივა, მაშინ რა აზრი აქვს ასეთ აღსარებას. აღსარების დროს ადამიანი საკუთარ თავში უნდა იხედებოდეს. მან უნდა იცოდეს თავისი ცოდვები, აწუხებდეს და სტკიოდეს. ბევრი ადამიანის დამოკიდებულებაა, ცოდვას ჩავიდენ, არა უშავს და მერე ამას აღსარებაში ვიტყვიო. რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებულება ძალიან ცუდია. ადამიანი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, ცოდვას განერიდოს და განეშოროს, ცოდვას უნდა მოვერიდოთ.

***— აღსარების დროს აღმსარებლის გულწრფელობა მოძღვრის დამსახურებაა თუ ეს ადამიანის გადაწყვეტილებაა?***

— მოძღვარზეც ბევრი რამეა დამოკიდებული, მაგრამ, რასაკვირველია — ადამიანზეც. ბევრი ამბობს, ვერ ვიხსნები, ამ მოძღვართან არ შემიძლია საუბარიო. თუმცა, მოძღვრებიც ადამიანები ვართ და ყოველთვის ერთსა და იმავე მდგომარეობაში არ ვართ. თუ ადამიანმა მოინდომა, ყველა მოძღვართან შეძლებს გახსნას და თავისი გულისტკივილის მოყოლას. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ, მართალია, აღსარებას მღვდელს ვაბარებთ, მაგრამ პირველ რიგში — ღმერთს. მღვდელი შუამავალია ადამიანსა და ღმერთს შორის. პირველ რიგში, ვიმეორებ, ღმერთს ვაბარებთ აღსარებას. ღმერთი ყოველთვის ხედავს და ყოველთვის ისმენს ადამიანისას.

***— ის, რასაც ეძებდით, იპოვეთ, ტაძარში მშვიდად გრძნობთ თავს?***

— რა თქმა უნდა. სანამ ტაძარში მოვიდოდი, ცხოვრებას სულ სხვანაირად ვუყურებდი, მაგრამ ვხვდები, რომ ვიპოვე ის ჭეშმარიტება, რომელიც აუცილებელია. ტაძარი ყველა ადამიანისთვის აუცილებელია. იყო დრო, ამას ვერ ვხვდებოდი, სანამ არ მოვედი ეკლესიაში. მადლობა ღმერთს, რომ დღეს ვხვდები, ერთადერთი გადარჩენის გზა ტაძრისკენ მიდის. არის ისე, რომ ადამიანებს რაღაც ძალიან გვინდა, მაგრამ იმაზე არ ვფიქრობთ, ეს ჩვენ გვჭირდება თუ არა. მე ჩემი თავი ფეხბურთის გარეშე ვერ წარმომედგინა, მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის, რა არის ჩვენთვის უკეთესი. მადლობა ღმერთს, რომ ტაძარში მოვედი!

# მე მიყვარს ავანტიურა

ეკა ირემაშვილი

**მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ქეთევან ცხაკაია ყველაზე პრესტიჟული თეატრალური პრემია „დურუჯის" ერთ-ერთ ნომინაციაში — საუკეთესო მსახიობი ქალი — გამარჯვებული გახდა. ჟიური შოთა რუსთაველის თეატრის მსახიობის ნანუკა ხუსკივაძის ხელმძღვანელობით, რომელშიც დრამატურგი ბასა ჯანიკაშვილი და თეატრმცოდნეები მაკა ვასაძე, მიშა კალანდარიშვილი და ნიკა წულუკიძე შედიოდნენ, წარდგენილ ხუთ ნომინანტს შორის არჩევანი სწორედ ქეთევან ცხაკაიაზე შეაჩერა.**



## ქეთი ცხაკაია მორჩილი მსახიობი არ არის

მსახიობმა ნომინაციაში გამარჯვება ბესო კუპრეიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლით „ჩემი ჰამლეტი" მიიღო, რომელიც მარჯანიშვილის თეატრისა და თითების თეატრის ერთობლივი ნამუშევარია. ნომინაციაში გამარჯვებასთან ერთად, მსახიობი თეატრალური პრემია „დურუჯის" ორგანიზატორების მიერ დაწესებული ფულადი პრემიით 2 ათასი ლარითაც დასაჩუქრდა.

მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვების იმედი არ ჰქონდა, მსახიობი სულ გრძნობდა, რომ ეს სპექტაკლი მის შემოქმედებით ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს ითამაშებდა. როგორც ქეთი ამბობს, მსგავსი თეატრალური პრემიები და თეატრის სამყაროს წახალისება აუცილებელია, რომ შემოქმედ ადამიანებს მეტი სტიმული ჰქონდეთ და კიდევ უფრო მეტი იმუშაონ, რათა მაქსიმალური სითბო და სიყვარული აჩუქონ თავის ერთგულ მაყურებელს.

ქეთი ცხაკაია ლევან წულაძის სტუდენტია. მისი და პედაგოგის ურთიერთობა უკვე ათეულ წლებს ითვლის. „თეატრალურ სარდაფში" დაწყებული მათი თანამშრომლობა დღეს უკვე მარჯანიშვილის თეატრში გრძელდება. თეატრალური სარდაფი ქეთისთვის ყველაზე ლამაზი მოგონებაა, რადგან სწორედ აქ შექმნა ოჯახი ზურაბ გაგლოშვილთან და სწორედ თეატრალური სარდაფის გახსნისას დაიბადა მისი შვილი ნიკოლოზი, რომელიც უკვე 13 წლისაა. მსახიობი ბედნიერია, რომ თითქმის ყველა თეატრის სპექტაკლებში აქვს ნათამაშევი და უამრავ რეჟისორთან უმუშავია. არ არის წუნია და მიაჩნია, რომ არც აქვს უფლება ვინმე დაიწუნოს.

მსახიობი ოცნებობს კინოში თამაშზე, თუმცა ბედნიერია, რომ ელდარ და გიორგი შენგელაიების ფილმებში მცირე ეპიზოდები მაინც შეასრულა. მონაწილეობას იღებს ქართული სერიალების შემქმნელთა მიერ გამოცხადებულ კასტინგებშიც, თუმცა მისი თქმით, არ უმართლებს და იწუნებენ.

**ქეთი ცხაკაია:**

— რომ გითხრათ, თეატრალურ პრემია „დურუჯზე" დიდი მოლოდინი მქონდა გამარჯვებისა-მეთქი, არ ვიქნები მართალი, თუმცა ძალიან გამიხარდა, რომ ხუთ ნომინანტს შორის საუკეთესოდ მიმიჩნიეს. ძალიან ცუდად გავხდი, ეს ჩემთვის ორმაგი პასუხისმგებლობაა. პირდაპირ გეუბნებით, შინაგანად ისე განვიცადე, ცუდად გავხდი. იქვე რომ კითხულობენ ნომინანტთა სიას, მეტი ღელვაა. წინასწარ ვიცოდით, ვინ იყვნენ ამ ნომიანციაზე წარდგენილნი — ნანა ფაჩუაშვილი, ნატო მურვანიძე, ახალგაზრდა მსახიობები. ძალიან კარგია, რომ ასეთი პრემიები გაიცემა და თეატრალური დაჯილდოება არსებობს. ეს ნებისმიერი თეატრალისთვის დიდი სტიმულია, გინდა გამარჯვებულისთვის და გინდა ნომინანტისთვის. მსახიობს, რეჟისორს და შემოქმედ ადამიანს, აუცილებლად სჭირდება წახალისება. არ მეგონა, ასეთი თეატრალური დაჯილდოებები თუ არსებობდა სხვა ქვეყნებში, მაგრამ დათო ბუცხრიკიძემ მითხრა, რომ გერმანიაში წითელ ხალიჩებს უგებენ თეატრალური სამყაროს წარმომადგენლებს და საკმაოდ სერიოზული თეატრალური დაჯილდოებები ტარდებაო. თეატრი ძალიან ცოცხალი არსებაა და მას სხვანაირი მხარდაჭერა სჭირდება. „დურუჯი" იგივე კონკურსია, სადაც იბრძვი ამა თუ იმ ნომიანციაში გამარჯვებისთვის. ეს ყველაფერი იმდენად ცოცხალია, რომ ვერც ერთი კინოდაჯილდოება და კინოფესტივალი ვერ შეედრება. მგონია, ქვეყანაში, სწორედაც რომ თეატრალური მიმართულებით, ბევრი წახალისებები უნდა იყოს. გამიხარდება, თუკი სხვა თეატრალური პრემიებიც დაწესდება, მათი საპრიზო ფონდი კიდევ უფრო დიდი იქნება. თეატრის სამყაროს სტიმულირებისთვის ეს ძალიან აუცილებელია.

***— თუ ჰქონდა თქვენთვის მნიშვნელობა, ვინ იყო ჟიურიში?***

— ამას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და მიმაჩნია, რომ საკმაოდ კომპეტენტური ჟიური იყო. ჟიური ჟიურია, მაგრამ მაინც მგონია, რომ ხალხი ბევრს წყვეტს. რადგან წარდგენილი ვიყავი და მომანიჭეს „დურუჯი", ძალიან ბევრს ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ მისი პრესტიჟულობა კიდევ იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ მიკერძოებები არ უნდა იყოს. უნდა არსებობდეს გამარჯვებულთა გამოვლენა დამსახურებისთვის, წახალისებისთვის. რა მაგარია, როცა ახალგაზრდა რეჟისორს გადასცემენ 10 ათას ლარს, რომლითაც ის ახალ სპექტაკლს დადგამს. ამბობენ, ვითომ ძნელია, საქართველოში მიკერძოების გარეშე რამის გაკეთებაო, მაგრამ არა, არ უნდა იყოს არანაირი მიკერძოება და არანაირი ანგარიშის გაწევა. კარგია ისიც, რომ „დურუჯს" კერძო კომპანია აფინანსებს და არავითარი თეატრალური კავშირები მის გვერდით არ დგანან.

***— ქეთევან, დადის თეატრში მაყურებელი?***

— ბევრი ამბობს, დადის კი თეატრში მაყურებელიო? დიახაც, რომ დადის. ახლახან ჩაუტარებიათ სოციოლოგიური გამოკითხვა და აღმოჩნდა, რომ თეატრში 6 პროცენტი დადის. არ მინდა მაყურებელი ინტელექტუალებად და არაინტელექტუალებად დავყო, მაგრამ მინდა ის 6 პროცენტი იყოს ის მაყურებელი, რომელსაც თეატრი მართლა ძალიან უყვარს. ადამიანის არსებობისთვის ხელოვნება მთავარი მაცოცხლებელი ძალაა. როგორც უნდა იყოს დაფასებული მხატვრობა, მუსიკა, ქანდაკება, ისევე უნდა იყოს თეატრი და შემდეგ კინო.

***— მაყურებელთა მხოლოდ 6 პროცენტი ცოტა არ არის?***

— ძალიან ცოტაა, მაგრამ ალბათ გააჩნია თეატრებს და კიდევ იმ პერიოდებს, რომლებიც ქართულმა თეატრმა გამოიარა. ომის პერიოდის შემდეგ თეატრებმა ფიზიკურად არსებობა შეწყვიტეს, ხალხი ფიზიკურად ვერ მოდიოდა თეატრში, ტრანსპორტი არ იყო, რომ თეატრში მოსულიყვნენ. თვითონ თეატრსაც არ შეეძლო არსებობა, იმიტომ, რომ განათება არ ჰქონდა და ელემენტარული პირობები არ გააჩნდა. რაიონებში აღარ იყო თეატრები, ადრინდელი ყველაფერი დაინგრა. ამ ყველაფრის მოგვარებას და აღორძინებას კი დრო სჭირდება. თეატრი აუცილებლად უნდა წახალისდეს იმისთვის, რომ მას მიეცეს სტიმული, რომელიც მგონია, რომ კინოსთვისაც დიდი სტიმული იქნება. ამას მსახიობებიდან გამომდინარე ვამბობ.

***— თეატრალურში გამოცდებზე დავდივარო, მითხარით. დამკვირვებელი ხართ?***

— დიახ, თეატრალურში დამკვირვებლად ვარ და ძალიან ბევრი აბარებს. იცით როგორი მონდომება და შემართება აქვთ? რაღაც პერიოდში თითქოს არ იყო თეატრალურში ამხელა ნაკადი. საოცრად მონდომებული ახალგაზრდები არიან და ეს ფაქტი უზომოდ მახარებს.

***— თქვენი პროფესია დაფასებულია? ბევრი ამბობს, იპოლიტე ხვიჩია ან ზურა ყიფშიძე ჰოლივუდში რომ ყოფილიყვნენ, სათანადოდ იქნებოდნენ დაფასებულიო...***

— ამ გამოთქმას არ ვეთანხმები. მაშინ ზურა ყიფშიძეც და იპოლიტე ხვიჩიაც ამერიკაში უნდა დაბადებულიყვნენ და იქ უნდა ემოღვაწევათ. იპოლიტე ხვიჩია მგონია, რომ სათანადოდ ნამდვილად არის დაფასებული. 13 წლის არის ჩემი შვილი და გიჟდება იპოლიტე ხვიჩიაზე, მის ფილმებზე, ყველა ფილმი აქვს მისი მონაწილეობით ნანახი. გადაცემაც არის ხოლმე მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და ყოველთვის უყურებს.

***— ჰამლეტის როლის შესრულებაზე ქართველ მსახიობ მამაკაცთა უმეტესობა ოცნებობს. როგორია ქალი ჰამლეტი?***

— ეს ყველაფერი რეჟისორის გადაწყვეტა იყო — ქალი ჰამლეტი. ეს სპექტაკლი უკვე 24-ჯერ ვითამაშე და ყოველ ჯერზე ზუსტად ისევე ვნერვიულობ, როგორც პრემიერის დროს. დროთა განმავლობაში ვხვდები, რომ პასუხისმგებლობა მიორმაგდება. ამ სპექტაკლში ჩემთან ერთად თოჯინები თამაშობენ და ერთგვარი მიკროსამყარო გვაქვს შექმნილი. მგონია, რომ ამ მიკროსამყაროსთვის ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა ის, რომ მთავარი როლი — ჰამლეტი ქალს ეთამაშა.

***— რატომ, მამაკაცი მსახიობი ამას ვერ შეძლებდა?***

— როგორ ვერ შეძლებდა, უკეთესიც იქნებოდა, მაგრამ წავიკითხე, რომ ერთ-ერთმა რეჟისორმა ჰამლეტის როლი როკ მომღერალს ათამაშა და ამაზე ერთი ამბავი ატყდა, როკ მომღერალს როგორ ათამაშე ჰამლეტიო. მივხვდი, რომ ამ რეჟისორს მთავარი როლისთვის ისეთი ტიპი სჭირდებოდა, რომელსაც პროტესტი აქვს, მაგრამ თვითონ არის ისეთი, რომელსაც არ უნდა ბრძოლა. მისი აზრით, ჰამლეტს სქესი არ აქვს, ქალსაც შეუძლია ითამაშოს და კაცსაცო. ასე ვფიქრობ მეც. ჩემამდე ქალებს აქვთ ნათამაშევი ჰამლეტი. ბესო კუპრეიშვილმა ეს სპექტაკლი დადგა ინგლისში და ჰამლეტი ინგლისელ მსახიობ ქალს ათამაშა. ეს ჩანაფიქრი ბესომ უკვე სამჯერ განახორციელა, ინგლისამდე ბალტიისპირეთშიც დადგა ჰამლეტი, ასევე თოჯინებით და იქ მთავარი — ჰამლეტის როლი — მოხუც მსახიობ ქალს მისცა.

***— გიყვართ ასეთი ავანტიურა?***

— საერთოდ, მიყვარს ავანტიურა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს სულაც არ არის ავანტიურა. ეს არის ძალიან სერიოზული რამ. ის თემები, რაც არის ჰამლეტში, არ არის მარტო მამაკაცური. ყოფნა-არყოფნა ქალსაც ეხება და მამაკაცსაც. იმდენად ზოგადსაკაცობრიოა ეს ყველაფერი, რომ პირიქით, ძალიან საინტერესოა ამ როლის თამაში. ამაზე ადრე ჟურნალისტმაც მკითხა და ვუთხარი, რომ ამ როლს ყველა მსახიობი ქალი ითამაშებს.

***— გინდათ თქვათ, რომ ამ როლში განსაკუთრებული არაფერია?***

— არაფერი განსაკუთრებული არ არის, უბრალოდ, ეს როლი ძალიან საინტერესო და მომხიბვლელია.

***— რეალურად შესაძლებელია, რომ თქვენი სპექტაკლის პერსონაჟის მსგავსად დამლაგებელი დადგეს სცენაზე და ჰამლეტი ითამაშოს?***

— ესეც ბესოს მოფიქრებულია. სანამ ამას დავიწყებდით, იმდენს მელაპარაკებოდა დამლაგებელზე, შემდეგ ვფიქრობდით, იქნებ მოხუცი მსახიობი იყოს და შემდეგ შევიდეს ჰამლეტშიო. ბოლოს რომ შევჩერდით დამლაგებელზე, ჩარჩოები ჰქონდა, ორ თვეში გავაკეთეთ სპექტაკლი და სულ არ მეცალა ამ დამლაგებლებისთვის, სულ ვებუნებოდი, ან დამაცადე, ან დამანებე თავი-მეთქი. ამ სპექტაკლში ასეთი პირობაა — ცოცხლად შენს გარდა არავინ თამაშობს, შენს გარშემო არიან მხოლოდ თოჯინები. დრამატურგიულად ასეთ მოცემულობაში ჰამლეტის თამაში არის ძალიან არასწორი. იქ აუცილებლად წინაპირობა უნდა იყოს აბსოლუტურად განსხვავებული, რომ ამ სამყაროში შეხვიდე. თანამედროვე რეალობაში კინოშიც და ყველგანაც, თუ შექსპირს უახლოვდებიან და სხვა პირობითობაა მოცემული, ცდილობენ, სხვა წინაპირობა მიუსადაგონ ამას. მგონია, რომ ეს სწორი დრამატურგიული სვლებია.

***— ხომ შეიძლება რეალურადაც ბევრი სცენის მუშა ან მართლა დამლაგებელი ოცნებობდეს სპექტაკლში თამაშზე?***

— ამაში გასაკვირი არაფერია. ბესო სულ მეუბნებოდა, ქეთი, ძალიან გთხოვ, მიდი დამლაგებლებთან და დაელაპარაკეო, ვითომ როლი უკეთ რომ გამეთავისებინა. ყველას ვიცნობ ჩემი თეატრის დამლაგებლებს, თან არ ვარ ისეთი ადამიანი, მართლა ყველას ვიცნობ და მიყვარს. ესენი არიან ადამიანები, ვინც მართლა თეატრით ცხოვრობენ, შეიძლება ჩვენ მსახიობები არ ვცხოვრობდეთ თეატრით, მაგრამ ამ თეატრში მართლა არიან ადამიანები, რომლებიც მარტო თეატრით ცხოვრობენ და ფანატურად უყვართ თეატრი. ძია კაკოა ჩვენს თეატრში და მგონია, რომ დაბადებიდან ამ თეატრშია და მისთვის ეს თეატრი ყველაფერია, ეს მისი დიდი სამყაროა, ის ნამდვილად შეეზარდა თეატრს. ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ სპექტაკლში არის ძალიან გამართლებული სვლები და ვთვლი, რომ როგორც კაცს შეუძლია ითამაშოს ეს როლი, ისე ქალსაც. ყველა ადამიანს ჰყავს თავისი ჰამლეტი — მეც, თქვენც და სხვასაც. ყველა თავისებურად კითხულობს შექსპირის ყოფნა-არყოფნის პრობლემას. არასოდეს დამავიწყდება, ერთმა მუსიკათმცოდნემ მოცარტზე გააკეთა მოხსენება და ასე დაამთავრა გამოსვლა — ყველაში უნდა ცოცხლობდეს მოცარტი და ამით ხელოვნება გაიმარჯვებსო. ასევეა რაღაც ნაწარმოებები, რომლებიც მუდამ ცოცხლობენ შენში, შეიძლება მოგწონდეს, შეიძლება არა, მაგრამ ეს არის დიდი შენაძენი როგორც ქალისთვის, ასევე კაცისთვის.

***— ქართულ ფილმებსა და სერიალებში იღებთ მონაწილეობას?***

— დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას, მაგრამ არ მიღებენ. ერთხელ გადამიღო გიორგი შენგელაიამ პატარა ეპიზოდში „მიდიოდა მატარებელში" და ერთხელ ბატონმა ელდარ შენგელაიამ. ძალიან სასიამოვნო მომენტი იყო. სერიალებში რაღაც არ მწყალობს ბედი და ვერ ვჯდები მათ მოთხოვნებში.

***— რატომ?***

— ეს ჩემი დიდი კომპლექსია, როცა ვჯდები სასაუბროდ, ვიწყებ დემაგოგობას, მოდი ეს ასე გავაკეთოთ, ის ასე-მეთქი და ეტყობა არ მოსწონთ და ყელში ამოუვედი.

***— რეჟისორებს ალბათ მორჩილი მსახიობები სჭირდებათ...***

— ახლა ვეჩვევი, რომ ვიყო ძალიან მორჩილი. პირდაპირ ვამბობ, რომ კინოში მსახიობი არის კიდევ ერთი რადიკალურად განსხვავებული ამპლუა. არც გიორგი შენგელაიასთან და არც ელდარ შენგელაიასთან არ მითამაშია დიდი ეპიზოდები, მაგრამ იმ ცოტა ხანშიც მივხვდი, რა კარგი რამ ყოფილა კინო. ამერიკელი მაგარი მსახიობები ძირითადად არიან ინგლისის თეატრის მსახიობები. მოლაპარაკებები მიდის და ჩვენთან სექტემბერში სპექტაკლს ითამაშებს ჯონ მალკოვიჩი. ჩვენ კი ვიცით, რომ ის კინოვარსკვლავია, მაგრამ მისი კარიერა ინგლისის თეატრიდან დაიწყო. ტიმ როტიც თეატრის მსახიობია. მეტწილად ასეთი მაგარი მსახიობები თეატრის მსახიობები არიან.

***— სხვადასხვა თეატრებში გიმუშავიათ?***

— თითქმის ყველა თეატრში მიმუშავია რუსთაველის თეატრის გარდა. მე სარდაფში დავიწყე მოღვაწეობა, ჩემი პედაგოგი ლევან წულაძე იყო და ერთად დავიწყეთ ყველაფერი. ორსულად ვიყავი, როცა სარდაფი შეიქმნა, მანამდე მიშა თუმანიშვილის თეატრშიც ვიყავი. თუკი ვინმე სადმე დგამდა, ყველგან ვიყავი, ბევრ რეჟისორთან მიმუშავია. ნამდვილად მქონდა ის ფუფუნება, რომ სხვადასხვა თეატრში მეთამაშა. მთავარია, საინტერესო სამუშაო მქონდეს და ერქვას თეატრი და ყველგან სამუშაოდ მზად ვარ. ბედნიერი ვარ, რომ მეტწილად ჩემი სამუშაო ყოველთვის საინტერესოა.

***— გაქვთ საოცნებო როლი?***

— განვსხვავდები სხვა მსახიობებისგან და არ მაქვს საოცნებო როლი. რასაც შემომთავაზებენ საინტერესოს, ყველგან ვიმუშავებ, თან იმდენია საინტერესო, ყველაფრის თამაში გინდა. ამის მიუხედავად, არსებობს როლები, რომელთა თამაშიც არ გინდა. ძალიან საინტერესო თანამედროვე დრამატურგიაც არის, რომელიც ასევე მხიბლავს. რაც კარგი იქნება, ყველაფერს ვითამაშებ. მართალია თეატრში არ მაქვს საყვარელი როლი, მაგრამ დიასახლისობა და ჩემს ოჯახზე ზრუნვა ჩემი უსაყვარლესი როლია.

***— რეჟისორების დაწუნება იცით?***

— მე ვინ მეკითხება, ვინ დავიწუნო და ვინ არა?!

***— დამწყებ რეჟისორებთანაც მუშაობთ?***

— რა თქმა უნდა. დამწყებ რეჟისორებთან მიმუშავია, სტუდენტებთანაც, ბოლო დროს დრო აღარ მაქვს, თორემ, აუცილებლად მათთანაც ვითამაშებდი. მსახიობი ცოტა იღლება. ყველაფრის მიუხედავად, ყველაზე მაგარია, როცა დილით რეპეტიცია გაქვს და საღამოს სპექტაკლი, მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ასეთი ფუფუნებები ცოტა ძნელია, იმიტომ, რომ იქ არის ოჯახი, სხვა პრობლემები, მილიონი რაღაც ხდება, ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ. როცა არის სერიოზული სამუშაო, ხანდახან უარსაც ამბობ, ეს კი მხოლოდ დროისა და შინაგანი ენერგიის დასაზოგად ხდება და არა იმიტომ, რომ არ გინდათ მათთან თამაში.

***— რა დროს უთმობთ ოჯახს?***

— თეატრსა და ოჯახს ერთმანეთისგან ვერც კი გავაცალკევებ. ჩემი მეუღლე — ზურა გაგლოშვილი თეატრში გავიცანი. ის ახლაც მარჯანიშვილის თეატრში მუშაობს და გამნათებელია. ჩემი შვილი ნიკოლოზი იმ წელს დაიბადა, როცა თეატრალური სარდაფი გაიხსნა და ამიტომ მას სარდაფა შეარქვეს. ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებას უკავშირდება, თეატრის გარშემო ტრიალებს. ბედნიერი ვარ, რომ ოჯახს ესმის ჩემი, ყველანაირად გვერდში მიდგას და მაქსიმალურად მგულშემატკივრობს.

***— მორჩილი მსახიობი ხართ?***

— არა. ხომ გითხარით, კინოში არ მიღებენ, იმიტომ, რომ არ ვარ მორჩილი. ადრე, ახალგაზრდობაში უფრო „ბუნტარი" ვიყავი, წლების შემდეგ თანდათან უფრო დავწყნარდი. გამოცდილება და ხელობა გიწყობს ხელს იმაში, რომ იზრდები, რაღაცაზე აღარ ნერვიულობ და გადაანაწილებ შენს გრძნობებს, ემოციას და როლზე მუშაობასაც ზუსტად გრძნობ. თუ ხვდები, რეჟისორი რას გთავაზობს, აქედან გამომდინარე, იცი, როგორ უნდა ითამაშო და იღებ კიდეც სამუშაოსგან სიამოვნებას. არის მომენტი, როცა ამბობენ, ვიტანჯებიო, მაგრამ მერე ხვდები, რომ ეს კარგი ტანჯვაა.

***— რაც უფრო იტანჯებით, მოგწონთ?***

— არა, ეს არ არის ტანჯვა ზუსტი გაგებით. ეს არის ბევრი ფიქრი და დამიჯერეთ, ეს ძალიან მაგარი რამეა. საერთოდ, რთული როლები მხიბლავს.

***— ამჟამად რაზე მუშაობთ?***

— წელს კოტე მარჯანიშვილის თეატრის იუბილეა. ეს არის გურამ ბათიაშვილის პიესა, რომელსაც ლევან წულაძე დგამს. სპექტაკლი არის კოტე მარჯანიშვილზე, რომლის პრემიერაც ალბათ ახალ თეატრალურ სეზონზე იქნება. ჩვენ, მსახიობებს კი დიდი მოლოდინი გვაქვს.

# ანტონიო ბანდერასი — ცოლის ერთგული „მაჩო“

**ესპანელი მსახიობი, რეჟისორი, პროდიუსერი და კომპოზიტორი ანტონიო ბანდერასი, ჰოლივუდში ისეთი ფილმებით არის ცნობილი, როგორიებიც არის: „ინტერვიუ ვამპირთან", „ოთხი ოთახი", „ზოროს ნიღაბი", „ერთხელ მექსიკაში" და სხვები.**

## ბავშვობა

ხოსე ანტონიო დომინგეს ბანდერასი 1960 წლის 10 ოქტომბერს დაიბადა ესპანეთის სამხრეთით მდებარე ქალაქ მალაგაში. მისი ოჯახი საშუალო შეძლების იყო — მამა პოლიციელი, დედა მასწავლებელი. ბავშვობაში ანტონიო ფეხბურთით იყო გატაცებული, მაგრამ მალევე მიიღო ტრავმა და სპორტს თავი დაანება.

14 წლის ასაკში ანტონიომ ერთ-ერთი მიუზიკლი ნახა და იმავე წამს გადაწყვიტა მსახიობობა. მალევე მალაგის სამსახიობო სკოლაში მოეწყო და იქაურ თეატრშიც უბრალო მუშად მოეწყო. თუმცა, „ტალანტი“ მოულოდნელი კუთხით ეწვია — ანტონიო ბავშვობიდანვე იპყრობდა ქალების ყურადღებას და ადვილად მოიპოვა საყვარლის როლი.

20 წლის ასაკში ბანდერასმა დრამატული ხელოვნების ნაციონალური სკოლა დაამთავრა და მადრიდში გადაბარგდა, სადაც უფასო, ექსპერიმენტულ დადგმებში იღებდა მონაწილეობას. თუმცა, მალევე, მალაგაში დაბრუნება



მოუწია და თეტრში დაიწყო მუშაობა.კინოკარიერის დასაწყისიმადრიდში ბანდერასმა ცნობილი რეჟისორი პედრო ალმადოვარი გაიცნო, რომელსაც თვალში მოუვიდა ყმაწვილის მამაკაცური თვისებები, ტემპერამენტი და კუნთებიანი მაჩო. ალმადოვარმა უკანვე გაიხმო ანტონიო და უკვე პირველივე ფილმმა „ვნების ლაბირინთები“ პირველი წარმატება მოუტანა. დამწყები მსახიობი ძალიან მოეწონა ალმადოვარს და უკვე მთავარ როლებსაც შეაჩვია.

ანტონიომ წარმატებით გააგრძელა ესპანურ ფილმებში გადაღება — „სენიორ გალინდესი“, „ესპანელი გლეხის რექვიემი“, „ფარაონის ეზოში“, „დახურული საქმე“, „27 საათი“... რა თქმა უნდა, ახალგაზრდა მსახიობს ძალიან გაუმართლა, რომ ალმადოვარის ხელში მოხვდა. მისმა ფილმებმა ბანდერასის პროფესიულ ზრდას ხელი ძალიან შეუწყო. 1986 წელს გამოსული ფილმი „მატადორი“ მორიგი ბიძგი იყო, ხოლო მომდევმო წელს „კანონის სურვილის“ გამოსვლის შემდეგ ბანდერასი პლანეტის ქალების ნახევრისთვის სასურველი მამაკაცი გახდა.

ბანდერასი თავისი პოპულარობით ნელ-ნელა მიიწევდა ჰოლივუდისკენ და მალე აღმოჩნდა კიდეც მსოფლიო კინოს ელიტაში.

## ჰოლივუდი

ლათინელის გამოხედვა, პლასტიკური მოძრაობა და კონცენტრაციის უნარი გახდა საბაბი იმისა, რომ ბანდერასი პირველი ესპანელი აღმოჩნდა ჰოლივუდში. ამერიკულ კინოში ბანდერასი პირველად გამოჩნდა ფილმში „საწოლში მადონასთან“, სადაც პარტნიორობას თვით ცნობილი მომღერალი მადონა უწევდა.

ერთია, ჰოლივუდს ანტონიო მალევე არ მიუღია. ამ დიდ ქალაქში ის არავინ იყო და მისი „ესპანური ვარსკვლავობა“ ბევრს არაფერს ნიშნავდა. არც ინგლისურ ენას ფლობდა სათანადოდ და მხოლოდ ეპიზოდური როლებით კმაყოფილდებოდა. ასე იყო 1992 წელს გადაღებული ფილმი „მამბოს მეფეები“.

არც მისი შემდეგი როლები იყო დატვირთული, ამასთან, არცთუ სასიამოვნო — „სულების სახლში“ ბისექსუალის როლი ითამაშა, ხოლო ფილმში ფილადელფია — იმპოტენტის მეგობრის როლი.

კიდევ ერთი წელი და ანტონიო უკვე სერიოზულად გამოჩნდა ფილმში „ინტერვიუ ვამპირთან“. მართალია ამ ფილმში მთავარი როლები ტომ კრუზმა და ბრედ პიტმა შეასრულეს, მაგრამ უკვე საკმაო ხანი ჩანდა ეკრანზე და მაყურებელმაც და კრიტიკოსებმაც დადებითად მიიღეს.

## აღიარება

ბანდერასისთვის მშველელად ისევ სამშობლო გამოდგა. ამის დამამტკიცებელია ესპანელი რეჟისორების ფილმები, სადაც ბანდერასთან ერთად ცნობილი კინოვარსკვლავებიც იყვნენ მიწვეული. „ორი ეს უკვე ბევრია“ — ამ ფილმში ანტონიოს პარტნიორობას მელანი გრიფიტი უწევდა, სილვესტერ სტალონესთან ერთად ითამაშა ფილმში „მკვლელები“, ხოლო კვენტინ ტარანტინოსთან ორჯერ მოუწია პარტნიორობა — „არასდროს ისაუბრო უცნობთან“ და „ოთხი ოთახი“.

ბანდერასი მუსიკალური ნიჭითაც გამოირჩეოდა, ამიტომ ამერიკაში არავის გაკვირვებია, როდესაც ფილმში „დესპერადო“ მთავარი როლის შემსრულებლად მიიწვიეს. სპეციალისტები ხშირად ამბობენ, რომ ანტონიოს თავისუფლად შეეძლო მომღერლის წარმატებული კარიერა ჰქონოდა, მაგრამ ის უფრო კინოსკენ გადაიხარა და მსახიობობა არჩია.

ანტონიოც ნელ-ნელა ხდებოდა კინოს ვარსკვლავი და წინადადებებიც მის მიმართ სულ უფრო და უფრო მატულობდა. ბანდერასმა ითამაშა მთავარი როლი პროდიუსერ სტივენ სპილბერგისა და რეჟისორ რობერტ როდრიგესის ფილმში „ზოროს ნიღაბი“, რომელიც მასშტაბური კლასიკური ავანტიურისტული სიუჟეტის გამოდგა.

მალევე გამოვიდა ფილმები მისი მონაწილეობით — „13 მებრძოლი“, „ბიჭი თეთრი მდინარის ნაპირებიდან“, „დაარტყი ძვლებში“, რომლებშიც პარტნიორობას ვუდი ჰარელსონი, ლოლიტა დავიდოვიჩი და ლუსი ლიუ უწევდნენ.

2000-იანი წლები

მუსიკისა და კინოს ერთად გამოყენების ოცნება ბანდერასს 2000 წელს აუხდა, როდესაც მიუზიკლში „ცხრა“ მიიწვიეს. ეს მიუზიკლი ფედერიკო ფელინის „რვანახევარის“ მიხედვით იქნა გადაღებული და ბანდერასსაც საშუალება მიეცა ორივე თავისი საქმე ერთდრულად გამოეცადა.

ბანდერასზე თანდათან მოთხოვნილება მატულობდა და უკვე ისეთი ვარსკვლავების გვერდით ჩნდებოდა, რომ ეს სტატუსი თავადაც გადაედო.

2001 წელს ანტონიომ ოლივერ უილიამსთან ერთად ითამაშა ფილმში „მღვდელი მეთ გუტიერესი“, ხოლო ანჯელინა ჯოლისთან ერთად — „მოხიბლე“.

და ისევ რობერტ როდრიგესი, რომელმაც მიიწვია მთავარ როლზე ტრილოგიაში „ჯაშუშის შვილები“. რასაც მოჰყვა უკვე პოპულარული ფილების გაგრძელება — „დესპერადო 2“ და „ზოროს ნიღაბი 2“. ამ უკანასკნელში ანტონიოს პარტნიორები კეტრინ ზეტა-ჯონსი და ენტონი ჰოპკინსი იყვნენ.

არანაკლებ პოპულარობით სარგებლობდა 2003 წელს გადაღებული ფილმი „ერთხელ მექსიკაში“ და „იოცნებე არგენტინაზე“. 2006 წელს გამოვიდა ფილმი „ქალაქი საზღვარზე“, ხოლო 2008-ში ბანდერასმა თავი მელოდრამაში „შიფრი“ და კომედიაში „სხვა მამაკაცი“ მოსინჯა. კიდევ ერთი კომედიური ფილმი „დედაჩემი ახალი საყვარელი“ ეკრანებზე 2009 წელს გამოჩნდა.

ანტონიო ბანდერასი მართლაც გამოირჩევა მრავალმხრივობით — მსახიობი, რეჟისორი, კომპოზიტორი, პროდიუსერი.

როდესაც ანტონიოს შესთავაზეს ჩექმებიანი კატის როლი გაეხმოვანებინა მულტფილმში „შრეკი 2“, ის დაუფიქრებლად დათანხმდა. ან გასაკვირიც რა იყო, იქაც მისი გმირი მაჩოს როლშია.

## პირადი ცხოვრება

1995 წელს ფილმის „ორი ეს უკვე ზედმეტია“ გადაღებისას გაჩაღდა რომანი ანტონიოსა და მელანი გრიფიტს შორის. ამ ყველაფერმა კი ორი ოჯახის გაყოფა გამოიწვია — მელანი მის ქმარს, ჯონ ჯონსონს გაშორდა, ხოლო ანტონიო — ცოლს. ერთი წლის შემდეგ წყვილი დაქორწინდა და გოგონა სტელა შეეძინათ. წყვილი ახლაც ლოს ანჟელესის კვარტალ ბრენტვუდში ცხოვრობს, რომელიც სულ რამდენიმე წუთის სავალზეა სანტა მონიკას პლაჟიდან.

## საინტერესო ფაქტები

ცხოვრებაში ანტონიო სულაც არ არის სექსუალური მაჩო და უფრო წყნარი ტიპაჟია.ანტონიომ უარი უთხრა მადონას მისი საყვარელი გამხდარიყო.

ანტონიოს და მელანის ერთობლივი კინოკომპანია აქვთ.

ანტონიო ბანდერასი მრავალი ქალის ოცნებაა, ჰოლივუდის სექს-სიმბოლო, მაგრამ თავისი ცოლის ერთგულია.

# ორნელა მუტი — ლამაზმანი მეღვინე

ფართო თვალები, მრგვალი ლოყები, სავსე ტუჩები და სუფთა იტალიური ფიგურა, როგორი პროპორციებიც თავის დროზე სოფი ლორენს ჰქონდა. ეს ყველაფერი ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ მსახიობად აღიარებულ ორნელა მუტის გააჩნია. მისი როლებიდან მაყურებელს განსაკუთრებით ახსოვს ფილმები „ჭირვეულის მორჯულება“, „უზომოდ შეყვარებული“, „ბონი და კლაიდი იტალიურად“, „სიყვარული და ფული“, „გრაფი მონტე კრისტო“.



## ბავშვობა

ფრანჩესკო რომანა რიველი — ასეთია ორნელას მუტის ნამდვილი სახელი და გვარი, რომელიც 1955 წლის 9 მარტს დაიბადა რომში. მამამისი ნეაპოლიტანელი იყო, ხოლო დედა ესტონელი, რომელიც ლენინგრადში (ახლანდელი სანკტ-პეტერბურგი) იყო დაბადებული.მამა ექიმი ჰყავდა, რომელიც ადრეულ ასაკში გარდაიცვალა, რის შემდეგ დედა მარტო ცდილობდა ორი გოგონას აღზრდას. უკვე 12 წლის ასაკში ორნელა ისეთი მომხიბვლელი დადგა, რომ მამაკაცთა თვალი არ შორდებოდა და სკოლიდან სახლში მიმავალს რომელიმე თაყვანისმცემელი უკან დაჰყვებოდა. დედას მისი სახლიდან გაშვებისაც კი ეშინოდა, იმდენად დიდი იყო თაყვანისმცემელთა რიცხვი.

ერთი წლის შემდეგ ორნელას სამხატვრო კოლეჯში მენატურეს ადგილი შესთავაზეს და საათობით იდგა ახალბედა მხატვრების წინ შიშველი. ისინი კი ხატვის ნაცვლად გოგონას თვალს ვერ აშორებდნენ.

ამის კვალდაკვალ გოგონას უკვე სხვა წინადადებებიც ბლომად ჰქონდა — ემუშავა მოდელად სხვადასხვა ჟურნალებში. გოგონაც დათანხმდა და ამ ყველაფერს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. სკოლაში ჟურნალებს შესვენებების დროს ყველა კუთხეში ათვალიერებდნენ, ხოლო მამაკაცებს ფრანჩესკა რიველის სურათები ტუალეტებში საღეჭი რეზინით ჰქონდათ გაკრული. მისი ცხოვრება მას შემდეგ შეიცვალა, როდესაც მისმა დამ, კლაუდიამ, რომელიც მსახიობობაზე ოცნებობდა, შესთავაზა წაყოლოდა კასტინგზე დამიანო დამიანის ფილმისთვის „ყველაზე ლამაზი ცოლი“. რეჟისორს სჭირდებოდა 16 წლის გოგონა, დები კი მხოლოდ 14-ის იყვნენ, მაგრამ 18 წლის ასაკის ქალებივით გამოიყურებოდნენ. ბედიის ირონიით, რეჟისორმა არა ის, ვინც მსახიობობაზე ოცნებობდა, არამედ ორნელა აირჩია. მისი ფიგურით მოხიბლული დამიანის ბრძანებით ორნელას უკვე ნახევარ საათში გრიმს უკეთებდნენ. ასე გახდა ორნელა მუტი ყველაზე ახალგაზრდა კინოდებიუტანტი სტეფანი სანდრელის შემდეგ.

## 70-იანი წლები

ამის შემდეგ ორნელას მიწვევა მცირებიუჯეტიან ეროტიკულ ფილმებში დაიწყეს და ასე გაგრძელდა რამდენიმე წლის მანძილზე, სანამ მის სამსახიობო ნიჭს დაინახავდნენ. პირველი ასეთი ფილმი იყო „სახალხო გმირი“, სადაც მისი პარტნიორი ჟერარ დეპარდიე იყო. მართალია, აქაც ეროტიკული როლი ერგო, მაგრამ მთლიანობაში ფილმი გაცილებით სხვა დატვირთვის იყო და მუტიმაც კარგად გაართვა თავი. სწორედ ამ როლმა გაუხსნა გზა უფრო სერიოზული კინემატოგრაფიისკენ.

1977 წელს ეკრანებზე ერთბაშად მისი 4 ფილმი გამოვიდა: ჟორჟ ლოტრენის კრიმინალური დრამა „არამზადას სიკვდილი“, სადაც თვით ალენ დელონის პარტნიორი იყო, მარიო მონიჩელის უნიკალური ალმანახი „ახალი საოცრებები“, სადაც საუკეთესო იტალიელ მსახიობებთან, ვიტორიო გასმანთან, ალბერტო სორდისთან და უგო ტონიაცისთან ერთად ითამაშა, დინო რიზის მელოდრამა „ეპისკოპოსის ოთახი“ და იმავე რეჟისორის „პირველი სიყვარული“. აღსანიშნავია, რომ „ახალი საოცრებები“ „ოსკარის“ ნომინაციაზეც კი იყო წარდგენილი.

## 80-იანი წლები

რეჟისორ მაიკ ჰოჯესის ფილმი „ფლეშ გორნი“, რომელიც 30-იანი წლების ფილმის კომიქსი იყო და ამერიკის 100 საუკეთესო ფილმის სიაშია შეყვანილი, მსახიობმა პრინცესა აურის როლი ითამაშა. იმავე წელს ეკრანებზე გამოჩნდა „ჭირვეულის მორჯულება“, სადაც პარტნიორობას ლეგენდარულ ადრიანო ჩელენტანოს უწევს.

კიდევ ერთი წლის შემდეგ მათი პარტნიორობა ისევ შედგა, ამჯერად ფილმში „უზომოდ შეყვარებული“. ეს ორი ფილმი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა მთელ ევროპაში და განსაკუთრებით მოსწონდა ქართველ მაყურებელს.

არანაკლებ წარმატებული გამოდგა ფილმები „ბონი და კლაიდი იტალიურად“ და „სიყვარული და ფული.

80-იანი წლების მეორე ნახევარში ორნელამ შესანიშნავი როლები ითამაშა ევროპულ პროექტებში: „სიკვდილის გამოცხადების ქრონიკა“, „უნივერმალი“, „მე და ჩემი და“...

## 90-იანი წლები

მომდევნო ათწლეული თეოფილ გოტიეს ფილმით „კაპიტან ფრაკასის თავგადასავალი“ დაიწყო. დიდებული დადგმისა და ხარისხის გამო ფილმი ყველაზე ფასეული კინემატოგრაფიის ოქროს ფონდში შევიდა.

მომდევნო ფილმი „ოსკარი“ კომედიური ჟანრის იყო და ამავე სახელწოდების 1967 წელს გადაღებული ფილმის რიმეიქი გახლდა. თუმცა, კრიტიკოსებმა საკმაოდ ცივად მიიღეს. არც მაყურებელი დარჩენილა აღფრთოვანებული და დახარჯული ბიუჯეტი, 35 მილიონი დოლარი ამოღებულიც არ იქნა.

გაცილებით წარმატებული გამოდგა იუჯინ ლევაის ფილმი „ერთხელ კანონს გადავაბიჯე“, სადაც ორნელას პარტნიორობას ჯეიმს ბელუში და სიბილ შეპარდი უწევდნენ. ამას მოჰყვა „ორენოვანი სიყვარული“ და „სასიყვარულო საქმე“, რის შემდეგ უკვე დიდებულად ითამაშა მომხიბვლელი მერსედესის როლი ფილმში „გრაფი მონტე კრისტო“.

## 2000-იანი წლები

ახალი საუკუნის დასაწყისს ვარსკვლავი ისევ წარმატებით შეხვდა. ხშირად იწვევდნენ გადასაღებ მოედნებზე სამშობლოსა თუ მის ფარგლებს გარეთ.2000წელს გამოვიდა „ბოევიკი ბოლო გაქცევა“, რასაც ორი კომედიური ფილმი მოჰყვა — „ბომონდი ლომები“ და „ოტელი“.

2002 წელს კი ორნელა მაყურებელმა ერთდროულად 4 ფილმში იხილა: „ამერიკელი ბიძა“, „გაქცევა“, „სიცოცხლის შემდეგ“ და „საოცარი წყვილი“. ხოლო ერთი წლის შემდეგ გამოჩნდა ფილმში „ლომი“.

ორნელა მუტის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია ფრანგი რეჟისორის, პატრის ლეკონტის ფილმი „მხიარულები და გარუჯულები“.

## პირადი ცხოვრება

თავისი შარმისა და სილამაზის წამლად მუტის საკუთარი რეცეპტი აქვს — არ სვამს, არ ეწევა, ბევრი სძინავს და გატაცებულია ტანვარჯიშით.

ორნელას 3 შვილი ჰყავს და თავს ბედნიერ დედად და ბებიად თვლის. სამივე შვილმა მსახიობის პროფესია აირჩია, ზოგი მოქმედია, ზოგიც კიდევ სწავლის პროცესში. უფროსი გოგონა, ნაიკე, ძალიან ჰგავს დედას, ის უკვე რამდენიმე ფილმშია გადაღებული და ზრდის ვაჟს. მეორე გოგონა, კარილინა სამსახიობო სკოლაში სწავლობს, ხოლო ყველაზე უმცროსი, მაგრამ უკვე ბიჭი, ანდრეა სკოლაშია და ისიც მსახიობობაზე ოცნებობს.

ორნელა ოფიციალურად ორჯერ იყო დაქორწინებული. მისი პირველი ქმარი მსახიობი ალესიო ორანო იყო, ნაიკეს მამა, ხოლო მეორე ქმარი საბირჟო მაკლერი — ორი მომდევნო შვილის მამა. თუმცა, მისი სილამაზით მარტო ეს ორი მამაკაცი არ ყოფილა აღფრთოვანებული. მისი საყვარლების სიაში ფიგურირებენ ადრიანო ჩელენტანო და მიკელე პლაჩიდო, მაგრამ იტალიური პრესის აზრით, ეს არასრული სიაა. ამბობენ იმასაც, რომ სწორედ ჩელენტანო გახდა მისი მეორე განქორწინების მიზეზი.

ამის შემდეგ ორნელა საცხოვრებლად პარიზში გადავიდა, სადაც სამოქალაქო წესით ცხოვრობს პლასტიკურ ქირურგ პიკოლოსთან.

მუტი დაკავებულია ბიზნესით — გაშენებული აქვს ყურძენი და ასხავს ღვინოს. 2008 წელს კი ხელი საიუველირო საქმესაც მოჰკიდა და ბუტიკები გახსნა რომში, მილანში, პარიზში, მოსკოვსა და ალმა ატაში. უძრავ ქონებას ფლობს იტალიაში, საფრანგეთსა და მონაკოში.

ორნელა მუტი ყოველწლიურად კანის საერთაშორისო ფესტივალის საპატიო სტუმარია.საერთოდ, მის პიროვნებას დადებითად ახასიათებენ და ბევრს წერენ მის სიკეთეზე. ბოლო წლებში აქტიურად არის დაკავებული ქველმოქმედებით.

# დირკ ნოვიცკი: ჩემი ცხოვრების მიზანი შევასრულე

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (ნბა) ტრიუმფატორი „დალას მავერიქსი“ გახდა, რომელმაც ფინალურ სერიაში ფავორიტად მიჩნეულ „მაიამი ჰითს“ 4:2 სძლია. ფინალის მთავარ მოქმედ პირად კი გერმანელი დირკ ნოვიცკი იქცა, რომელსაც უძვირფასესი მოთამაშის (მვპ) ტიტულიც ერგო. ევროპელი ვარსკვლავი მთელი სერიის განმავლობაში შეუდარებლად ირჯებოდა და ნანატრი ჯილდოც ემოციურად იზეიმა.

***— დირკ, გამოტყდით, გადამწყვეტი მატჩის დრო რომ ამოიწურა, რა გაიფიქრეთ?***

— ალბათ ის, რაც „დალასის“ გულშემატკივრებმა. თუკი მოკლედ ვიტყვით, დაახლოებით ასეთი რამ — ჩვენ ეს გავაკეთეთ! მართალი გითხრათ, დღემდე არ მჯერა, რომ ეს მოვახერხეთ. ალბათ, გარკვეული დრო დაგვჭირდება იმის გასააზრებლად, რაც მოხდა, ამჟამად კი, ჯერაც ემოციების ქვეშ ვიმყოფებით. ტიტულისკენ დიდი ხნის განმავლობაში მივდიოდით, ბევრს ვვარჯიშობდით, თავი არ დაგვიზოგავს და მიზანს მივაღწიეთ.

***— ახლა უკვე შეგიძლიათ განაცხადოთ, რომ თქვენი კარიერა შედგა?***

— ნაწილობრივ. ჯერ ყველა მწვერვალი არ დამილაშქრავს. ნბა-ში დიდი ხანია ვთამაშობ, ფლეიოფში ბევრჯერ მითამაშია, თუმცა, ფინალში არასოდეს მიმარჯვია. ვფიქრობ, სწორედ ჩემპიონობის უდიდესი სურვილი გახლდათ ის, რაც ამ წლების განმავლობაში მამოძრავებდა და მუდმივი განვითარებისკენ მიბიძგებდა. ოქროს ბეჭედი იგივე 2006 წელს რომ მომეგო, არა მგონია, ვარჯიში იგივე ჟინით გამეგრძელებინა. უფრო მშვიდად ვიქნებოდი და ალბათ, არც 38.3 გრადუსი ტემპერატურით სათამაშოდ გავიდოდი.

***— როდესაც გასახდელიდან მოედანზე დაბრუნდით, ყველაზე თბილად ჯეისონ კიდს მიესალმეთ.***

— ჯეისონის მაგივრადაც ძალიან გამიხარდა. იგი ნამდვილი მებრძოლია, რაშიც ალბათ, თავადაც დარწმუნდით. კიდი ფინალში ორჯერ იყო გასული, თუმცა, მიზანს მხოლოდ ახლა, 38 წლის ასაკში მიაღწია. მთელი სეზონის განმავლობაში ძალიან შეკრულად ვმოქმედებდით და ბევრი ოფლი დავღვარეთ. მინდა, თანაგუნდელებს, სამწვრთნელო შტაბსა და კლუბის მენეჯერებს მადლობა გადავუხადო. ყველა მათგანმა საკუთარი სამუშაო გააკეთა, თანაც ძალიან ხარისხიანად, რამაც მწვერვალზე ასვლის საშუალება მოგვცა.

***— ნბა-ს ერთ-ერთ სნაიპერად ითვლებით და 22 792 ქულა გაქვთ ჩაგდებული, თუმცა, საჩემპიონო ტიტული მხოლოდ ახლაღა მოიპოვეთ.***

— სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ძალიან მინდოდა მოგება. ეს მთელი ჩემი ცხოვრების მიზანი გახლდათ. ნბა-ში ხომ იმიტომ ვთამაშობთ, რომ როდესღაც ფინალში გავიდეთ და იქ ჩემპიონობა მოვიპოვოთ. სხვა



კი, მათ შორის, ქულების რაოდენობა, მეორეხარისხოვანი ხდება. მაგალითად, გუნდში ტაისონ ჩენდლერის გამოჩენამ ძალიან გაგვაძლიერა. მან დაცვაში ფანტასტიკურად ითამაშა და ეს განსაკუთრებით კარგად ფინალურ სერიაში გამოჩნდა. პეჟა სტოიაკოვიჩი შეტევაში ძალიან სარგებლიანი გახლდათ. ერთი სიტყვით, გამოჩნდა, რომ გასულ ზაფხულს „დალასთან“ ხელშეკრულების გაგრძელებით, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ამ სეზონში ჩვენ საუკეთესო გუნდი ვიყავით!

***— ხედავდით, მაიამიში თქვენს მხარდასაჭერად რამდენი ადამიანი ჩამოვიდა?***

— დიახ და ამან ძალიან იმოქმედა. მათ უდიდეს მადლობას ვუხდი. ისინი ჩვენ გვერდით იდგნენ როგორ სიხარულში, ასევე გასაჭირში და ჩემპიონობაში დიდი წვლილი დაიდეს. დალასში, გადაჭედილ დარბაზში თამაში ნამდვილი სიამოვნება იყო და ეს არასოდეს დამავიწყდება.

***— ხუთი წლის წინ, თქვენი გუნდი ფინალურ სერიას 2:0-ს იგებდა და მესამე მატჩშიც სოლიდური უპირატესობა ჰქონდა, თუმცა, მარცხი განიცადა და შემდეგ ფინალიც დათმო. 2011 წლის „რიმეიქის“ დროს თითქმის იგივე მოხდა, იმ განსხვავებით, რომ „მაიამი“ 2:1 გახლდათ წინ.***

— იმის გაგება გსურთ, ეს როგორ მოხდა? ყველაფერი მარტივადაა: ხასიათი გამოვავლინეთ, რთულ მომენტში არ დავნებდით და ბრძოლა გავაგრძელეთ. გამარჯვების დათმობა არ გვსურდა და ისიც კარგად გვესმოდა, რომ კიდევ ერთი შანსი არ გვექნებოდა. თავი დავდეთ და ფლორიდაში დაბრუნების წინ, ფსიქოლოგიური უპირატესობა უკვე ჩვენს მხარეს გახლდათ.

***— ისეთ „მონსტრებს“, როგორებიც ჯეიმსი, უეიდი და ბოში არიან, როგორ გაუმკლავდით?***

— ჩვენმა „ზონამ“ მათ თავსატეხი გაუჩინა. მუდმივად ვცდილობდით, „დიდი ტრიო“ ფარქვეშიდან განგვედევნა, სივრცეები შეგვეზღუდა და გვეიძულებინა, რომ მათ შორი დისტანციიდან შეეტიათ. ცხადია, მათთან თამაშისას პირველიდან ბოლო წუთამდე კონცენტრაციის შენარჩუნება ძალიან მძიმე გახლდათ. აღნიშნულთან შესაგუებლად გარკვეული დრო დაგვჭირდა და ვფიქრობ, ბოლოსკენ ამოცანას კარგად ვუმკლავდებოდით. პრინციპში, თამაში არც მეტოქის ნახევარზე გვიჭირდა.

***— თუკი შეტევაზე ვისაუბრებთ, ბოლო მატჩში თამაში მაინცდამაინც არ წაგივიდათ.***

— მართალია, პროცენტული მაჩვენებელი კარგი ნამდვილად არ მქონია. თამაშიდან, 27-დან მხოლოდ 9 ტყორცნა ჩავაგდე. თუმცა, თამაში ჯეისონ ტერის წაუვიდა და მოვიგეთ. ახლა, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია.

***— თქვენც შეგექმნათ შთაბეჭდილება, რომ მატჩის ბოლოსკენ „ჰითი“ ფსიქოლოგიურად გატეხილი იყო?***

— მართალი გითხრათ, მთელი აქცენტი უპირატესობის შენარჩუნებაზე მქონდა გადატანილი. როდესაც მეტოქე გვიახლოვდებოდა, ძალიან ვნერვიულობდი. „მაიამი“ კი ზუსტად ისე თამაშობდა, როგორც წინა მატჩებში. მათ რომ რამდენიმე შორეული ტყორცნა გამოეყენებინათ, არავინ იცის, საქმე როგორ წავიდოდა.

***— თქვენს მშობლიურ ქალაქ ვიურცბურგში, ალბათ, ახლა სახალხო ზეიმია.***

— არა მგონია. გერმანელები მშვიდი ხალხია, თანაც, როდესაც თამაში დასრულდა, ჩვენთან ორშაბათი თენდებოდა და ხალხი სამსახურში უნდა წასულიყო. ცხადია, სამშობლოში ძალიან მგულშემატკივრობდნენ და ასე რომ არ ყოფილიყო, გასაკვირი ის იქნებოდა. გერმანიაში „მავერიქსს“ ყველაზე მეტი ქომაგი ჰყავს, ნამდვილი „მავს-მანიაა“. ჯერ კიდევ ნბა-ში არ ვთამაშობდი, როდესაც ჩემს ქალაქში ყველანაირად გვერდში მედგნენ. ერთი სული მაქვს, სამშობლოში როდის ჩავალ და თანამემამულეებს ნანატრ ჯილდოს როდის წარვუდგენ. ვფიქრობ, ეს წარმოუდგენელი სანახაობა იქნება!

***— იმ მომენტში, როდესა დევიდ შტერნი საჩემპიონო თასით გაჯილდოვებდათ, თქვენ კადრში არ იყავით და მოგვიანებით გამოჩნდით.***

— უკან ვიდექი, შემდეგ ბიჭებმა დამიძახეს და ჯილდო გადმომცეს. მესმოდა, რომ ის მომენტი დგებოდა, რისკენაც მთელი კარიერა მივისწრაფოდი. ამიტომაცი იყო, სიხარულის ცრემლების შეკავება რომ ვერ მოვახერხე. ამის გადმოცემა შეუძლებელია. ფანტასტიკაა. ახლა, ერთადერთი, რაც მჭირდება, დასვენება და მომხდარის გააზრებაა. თუმცა, ვფიქრობ, ესეც კი არც ისე იოლი იქნება, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

# „დინამო“ და „ატლეტიკო“ დამეგობრდნენ

დასაწყისი მე-16 გვერდზე

საქართველოს ელჩს, ბატონ ნიკოლოზს. ჩემი ჩამოსვლის მიზეზი ამ ორი ქვეყნის სამომავლო ურთიერთობაზე ხელშეკრულების გაფორმებაა. ხელშეკრულება გაფორმდება ესპანეთის საგარეო სამინისტროსა და „ატლეტიკოს“ ფონდის დახმარებით, ასევე — მადრიდის თვითმმართველობის მხარდაჭერით.

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:**

— დიდი მადლობა ბატონ პრეზიდენტსა და გენერალურ მდივანს სტუმრობისთვის. მას შემდეგ, რაც ბატონ რომანთან ერთად კლუბში მოღვაწეობა დავიწყე, ენრიკე სერესოსგან მხარდაჭერას ვგრძნობდით და შეგვპირდა, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ საქართველოში გვეწვეოდა, რათა ჩვენს კლუბსა და ქვეყანას გასცნობოდა. საკუთარ კლუბში მოღვაწეობიდან გამომდინარე, კარგად ვიცი, თუ როგორი გადატვირთული გრაფიკი აქვს ამ ორ ადამიანს. ამიტომ, მინდა, მადლობა გადავუხადო, რომ დრო გამონახეს და გვეწვივნენ. გარდა ოფიციალური ვიზიტისა, ესპანეთი ჩემი მეორე სამშობლოა და ეს ქვეყანა იმისთვის მიყვარს, რომ მყავს ასეთი დიდი მეგობრები. დღევანდელი დღე სწორედ ჩვენს კლუბებს შორის მეგობრობის ოფიციალური დასტურია. ხელშეკრულებაში არის რამდენიმე საინტერესო პუნქტი — ვხსნით ესპანეთის ფანჯარას ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისთვის, რომ მათ კვალიფიკაცია აიმაღლონ. ბატონი ენრიკე რომ არა, ეს შეუძლებელი იქნებოდა. არ მოვყვები, თუ როგორი ტიტულოვანი კლუბია „ატლეტიკო“. იმედია, ჩვენი მეგობრობა დიდხანს გაგრძელდება. იმედი მაქვს, სტუმრებს ჩვენი ქვეყანა და ქალაქი მოეწონებათ და საქართველოს კიდევ ეწვევიან.

მემორანდუმის გაფორმების შემდეგ სერესოსა და ვალვერდეს „დინამოს“ 30-ნომრიანი მაისურები გადასცეს. თავის მხრივ, ესპანელებმა ფიფიას „ატლეტიკოს“ 2-ნომრიანი მაისური მისცეს, ხოლო პოლოლიკაშვილს — 5-ნომრიანი. 7-ნომრიანი მაისური მიიღო ესპანეთში საქართველოს ელჩმა ნიკოლოზ ნათბილაძემ. გარდა ამისა, სერესომ ქართველებს ის სამი გერბი უსახსოვრა, რომლებიც „ატლეტიკომ“ დაარსების დღიდან, 1909 წლიდან გამოიცვალა.

სერესომ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში „დინამოსა“ და „ატლეტიკოს“ შორის ამხანაგური თამაში არ იგეგმება, რადგან ესპანელებს აგვისტოში ევროპის ლიგის შესარჩევ ტურნირში უწევთ მონაწილეობა. „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა ეროვნული სტადიონი მოიწონა და აღნიშნა, რომ „დინამო“ ძალიან კარგი გუნდია.

ფიფიამ განაცხადა, რომ „დინამო“ სხვა ესპანურ კლუბებთანაც ითანამშრომლებს. მან ხაზი გაუსვა, რომ მსგავსი თანამშრომლობა ქართულ მხარეს უფრო სჭირდება, რათა მწვრთნელები და მოზარდი ფეხბურთელები ესპანეთში გავუშვათ. მისი განცხადებით, ქართული ფეხბურთი დიდი ხანია ჩაკეტილია და მსგავსი ხელშეკრულებების გაფორმება ტრამპლინი იქნება ევროპულ ფეხბურთში ინტეგრაციისთვის. „დინამოს“ მეპატრონემ განმარტა, რომ „ატლეტიკოსთან“ დადებული მემორანდუმის პუნქტების შესრულება სამ თვეში დაიწყება. ასევე ფიფიამ თქვა, რომ „დინამოს“ ფეხბურთელები ძალიან კმაყოფილნი არიან ახალი მთავარი მწვრთნელის, ალექს გარსიას მუშაობის მეთოდებით.

# საოცნებო და საზარელი დებიუტები

ფიფა-ს ოფიციალურმა საიტმა გამოჩხრიკა ყველაზე საინტერესო დებიუტები — ფეხბურთელებს ხომ არასოდეს ავიწყდებათ პირველი მატჩები კლუბისა თუ ნაკრების მაისურით. მათგან ზოგი წარმატებულია, ზოგიც უიღბლო, ზოგი დაუვიწყარი. დავიწყოთ მათით, ვინც წარუშლელი კვალი დატოვეს ფეხბურთში, რომელთა დიდებული კარიერის გამეორება ერთეულებს თუ ძალუძთ. ავიღოთ ზინედინ ზიდანი. მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი „ლე ბლეს“ შემადგენლობაში პირველად 1994 წლის აგვისტოში მიიწვიეს. მაშინ „ზიზუ“ „ბორდოს“ ახალბედა და ახალგაზრდა ნახევარმცველი იყო. ფრანგებმა ეს მატჩი ჩეხებთან 2:2 ითამაშეს, ხოლო ზიდანი შეცლაზე შევიდა 0:2-ზე და თამაშის გმირიც გახდა, თუმცა თავიდან...

— საშინლად დავიწყე. საჯარიმო დარტყმა შევასრულე და ძალიან არაზუსტად. მერე ორი-სამი ისეთი არაზუსტი პასი გავაკეთე, რომ 22 წლის ბიჭს კი არა, 80 წლის ბაბუას არ გაუჭირდებოდა, სწორად გაეკეთებინა, — იხსენებს ფრანგი.

შემდეგ კი დებიუტანტმა გმირობა ჩაიდინა — პირველი გოლი მარცხენით გაიტანა, მეორე კი — თავურით.

საოცარი დებიუტი ჰქონდა 1984 წლის თებერვალში „რეალის“ რიგებში ემილიო ბუტრაგენიოს. 20 წლის ფეხბურთელში დიდი მომავალი ალფრედო დი სტეფანომ შენიშნა. როცა ბუტრაგენიო მოედანზე გავიდა, „რეალი“ „კადისთან“ 0:2-ს აგებდა. თამაში „სამეფო კლუბმა“ 3:2 მოიგო — დებიუტანტის ანგარიშზე ორი გოლი და საგოლე პასი იყო! უეინ რუნის დებიუტს „მანჩესტერ იუნაიტედში“ კი საოცარზე მეტი ეთქმის — 18 წლის ფორვარდმა პირველად ჩემპიონთა ლიგის მატჩში ითამაშა „ფენერბაჰჩეს“ წინააღმდეგ და ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გახდა, რომელმაც ჰეთ თრიკი შეასრულა — „მანჩესტერმა“ ის თამაში 6:2 მოიგო.

დებიუტანტი რუნი ხავიერ სავიოლასთან შედარებით ვეტერანი გამოდის, რომელსაც „რივერ პლეიტში“ 1998 წლის ოქტომბერში ჰქონდა დებიუტი, როცა ის ჯერ კიდევ 16 წლის იყო. აქამდე „ელ კონეხოს“ სულ რამდენჯერმე ევარჯიშა „რივერის“ ძირითად გუნდთან ერთად, სულ ეს იყო. როცა „ბაჭიას“ უთხრეს, რომ სათადარიგო იქნებოდა, ყურებს არ უჯერებდა, თუმცა შევიდა და პირველივე მატჩში გოლი გაიტანა:

— სკამზე ჯდომაც კი საოცრება იყო. სამჯერ გადავამოწმე, მართლა შემიყვანეს თუ არა მატჩის ოქმში. იმ დღეს სახლში დავაგვიანე და შინ ინერვიულეს. არავინ ელოდა, რომ თამაში მომიწევდა, მაგრამ, რომ გამოვჩნდი, ყველას დიდებული ამბავი მოვუყევი და მთელი ოჯახი სიხარულისგან ვტიროდით.

თუკი სავიოლას გამოჩენას არავინ ელოდა, „ევერტონელი“ ტონი კოტის დებიუტი ყველას აინტერესებდა. 1988 წელს ის ბრიტანეთის ყველაზე ძვირადნაყიდი ფეხბურთელი იყო (ლივერპულელებმა მასში 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადეს). დღეს კოტი სატელევიზიო საფეხბურთო მიმომხილველია და იცით, რა ქნა კოტიმ პირველსავე მატჩში? „ნიუკასლს“ 34-ე წამზე გაუტანა, ის თამაში „ევერტონმა“ 4:0 მოიგო, კოტიმ კი ჰეთ თრიკი შეასრულა!

სულ ახალი ამბავიც გავიხსენოთ — ჯამპაოლო პაცინის სანაცვლოდ ამ სეზონში „ინტერმა“ 12 მილიონი გადაიხადა და პაცინიმ ტრანსფერიდან მეორე დღესვე დაიწყო ამ თანხის ანაზღაურება. „პალერმოსთან“ თამაშში ახლად გამომცხვარმა ინტერისტამ 2 გოლი გაიტანა და თამაშის მიწურულს პენალტი მოუპოვა გუნდს:

— ასეთ დებიუტზე არც კი მიოცნებია, — თქვა მან.

მაგრამ ვერავინ ვერასდროს გაიმეორებს 1934 წლის მუნდიალის მონაწილე ისიდრო ლანგარას დებიუტს. ესპანელი, რომელიც 1939 წელს სამოქალაქო ომს გაექცა და არგენტინაში წავიდა ემიგრაციაში — ამასთან, სამშობლოდან ნავით გაიქცა და ამ სატრანსპორტო საშუალებით მოუწია ოკეანის გადალახვა. მას ხეირიანად მიწაზე არ ჰქონდა ფეხი დადგმული, რომ „სან ლორენსოს“ წარმომადგენლები მივიდნენ და დაიყოლიეს, „რივერ პლეიტის“ წინააღმდეგ მათ გუნდში ეთამაშა... იმავე საღამოს! ლანგარამ 28 წუთის განმავლობაში „სან ლორენსოს“ ოთხივე გოლი გაიტანა, გუნდმა კი ეს მატჩი 4:2 მოიგო!

ზოგიერთი ფეხბურთელი ვერასდროს დაივიწყებს თავის დებიუტს არა კარგი თამაშის გამო, არამედ სულ სხვა მიზეზით — მარკო ვან ბასტენმა „აიაქსში“ იოჰან კრუიფი შეცვალა, ეიდურ გუდიონსენმა კი ისლანდიის ნაკრებში მამა — არნორ გუდიონსენი.

სხვა საინტერესო დებიუტებიც გავიხსენოთ: ჯიმი გრივსს „ჩელსიში“, „ტოტენჰემში“, „მილანში“, „ვესტ ჰემში“ და ინგლისის ნაკრებში უთამაშია და ყველა სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა. ალან შირერმა „საუთჰემპტონში“ სადებიუტო მატჩში ჰეთ თრიკი შეასრულა და ინგლისურ ფეხბურთში ჰეთ თრიკის ყველაზე ახალგაზრდა ავტორი გახდა და გრივსის რეკორდი დაამხო. მანვე გაიტანა სადებიუტო მატჩებში, როგორც „ბლექბერნში“ ასევე — ინგლისის ნაკრებში.

თუმცა, ყველა საოცარ დებიუტს კარგი გაგრძელება არ მოჰყოლია. იტალიელმა ფაბრიციო რავანელიმ „მიდლსბროს“ რიგებში დებიუტი „ლივერპულის“ კარში ჰეთ თრიკით აღნიშნა, მაგრამ იმ სეზონში „ბორო“ გავარდა, იტალიელი კი გუნდიდან გაუშვეს. ურუგვაელმა ალვარო რეკობამ „ინტერში“ სადებიუტო შეხვედრაში დუბლი შეასრულა და „ბრეშიასთან“ მოაგებინა თავის ახალ გუნდს. ამის შემდეგ კარგა ხანს ელოდნენ რეკობას გაბრწყინებას მილანში, ამაოდ...

საოცნებოდან კოშმარულ დებიუტებზე გადავიდეთ, ისეთებზე, რომელთა შემდეგაც კარიერის გამოსწორება ძნელია. თითქმის ერთი წელი ელოდა ტრავმების გამო გატანჯული ჯონათან ვუდგეიტი დებიუტს „სამეფო კლუბში“ და პირველივე მატჩში თავი ავტოგოლითა და წითელი ბარათით „გამოიჩინა“. მიშელ პლატინის „შემცვლელად“ აღიარებულმა ალექსანდრ ზავაროვმა „იუვენტუსის“ მაისურით პირველ მატჩში ავტოგოლი შეაგდო, შემდეგ საკუთარ დრიბლინგში აიხლართა და თავი სერიოზულად დაიშავა.

ნათელი მაგალითი, როგორ შეიძლება გაუფუჭოს ფეხბურთელს კარიერა სადებიუტო კოშმარმა.

32 წლის ჯეისონ ქროუს ახლა ბევრი ვერ გაიხსენებს. ის რანგით მესამე ლიგის „ლეიტონ ორიენტში“ თამაშობს. არადა, მას ინგლისის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მარჯვენა მცველად მიიჩნევდნენ. „არსენალში“ მის პოზიციაზე ლი დიქსონი თამაშობდა, რის გამოც ახალგაზრდას დებიუტის საშუალება კარგა ხანს ვერ მიეცა და აი, 1997 წელს მას ლიგის თასზე „ბირმინგემ სიტის“ წინააღმდეგ უხმეს სათადარიგოთა სკამიდან — ქროუ შევიდა და 33 წამში სერიოზული ტრავმა მიაყენა მარტინ ოკონორს. ჯეისონი ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მალე გაძევებული დებიუტანტი გახდა და ალბათ ამ „ტიტულს“ მას ვერავინ ჩამოართმევს. ამის შემდეგ ქროუს „არსენალის“ ორ შეხვედრაში კიდევ გააგორებინეს ბურთი. ახლა სად არის ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი ტალანტი, უკვე მოგახსენეთ.

ახლა კიდევ უარეს ისტორიას მოვყვებით: როცა ახალგაზრდა მეკარე პირველად თამაშობს, ბუნებრივია, ის კარის მშრალად შენახვაზე ოცნებობს. ასეთი ოცნებით გავიდა 1934 წელს „ჰალიფაქსის“ გოლკიპერი სენტლი მილტონიც მოედანზე და... „სტოკპორტთან“ მატჩში 13 გოლი გაუშვა. 0:13 ახლაც ითვლება ინგლისური საფეხბურთო ლიგის ისტორიაში ყველაზე დიდ მარცხად. სხვათა შორის, მილტონს პირველ ტაიმში არა უშავდა, მხოლოდ 2 გოლი გაუშვა, მერე და მერე დაიწყო კოშმარული ამბები მის კართან... საბედნიეროდ, დებიუტი მნიშვნელოვანია, თუმცა არა განმსაზღვრელი ფეხბურთელის კარიერისთვის. ბევრი ისეთი შემთხვევაც გვახსოვს, როცა ცუდმა დებიუტმა ამა თუ იმ ფეხბურთელს ხელი ვერ შეუშალა ბრწყინვალე კარიერაში. ფრანგი პატრის ევრა პირველად მანჩესტერულ დერბიში საოცრად დაჩაგრა „სიტის“ ტრევორ სინკლერმა, თუმცა შემდეგში ევრამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი „იუნაიტედის“ დაცვის მარცხენა ფრთაზე. ცუდად დაიწყო „სელტიკში“ კარიერა შვედმა ჰენრიკ ლარსონმაც, „ჰიბერნიანის“ ფეხბურთელს გაატანინა და გლაზგოურმა კლუბმა წააგო. მაგრამ შემდეგი 7 სეზონი ლარსონმა ისე ითამაშა, რომ კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მოიპოვა.სასაცილო რამ დამართეს ახალგაზრდა ლილიან ტურამს, როცა ის პირველად თამაშობდა „მონაკოს“ რიგებში, „მეკარეს, მეკარეს მიეცი“, — ჩაესმა ტურამს და მანაც უკან დააბრუნა ბურთი, რომელიც „მეცის“ ფორვარდმა ფრანსუა კალდერარომ ჩაჭრა და გაიტანა. თურმე ტურამს სწორედ კალდერარო უყვიროდა.

დიად ფეხბურთელებსაც ჰქონიათ საშინელი დებიუტები: გავიხსენოთ იოჰან კრუიფის დებიუტი ჰოლანდიის ნაკრებში — „მფრინავი ჰოლანდიელი“ გააძევეს. ლეო მესიმ არგენტინის ნაკრების მაისურა მოირგო და... 40 წამში უნგრელ ვალმოშ ვანჩაკს სახეში იდაყვი მოსცხო, რისთვისაც „ლა პულგამ“ თვალწინ წითელი ბარათი იხილა.

— ეს ის თამაში არ არის, რომელზეც ვოცნებობდი, — იძახდა მესი მატჩის შემდეგ. თუმცა მესიმ და კრუიფმა დაამტკიცეს, რომ პირველი შთაბეჭდილება ზოგჯერ მცდარია.

# სტივ ჯერარდი: „ლივერპულთან“ ერთად პრემიერლიგის მოგება ჩემი ოცნებაა“



„ლივერპულის“ კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა სეზონის ბოლო ნაწილი ტრავმის გამო გამოტოვა. თუმცა, ენფილდელთა ლიდერმა „დეილი მეილის“ ჟურნალისტს განუცხადა, რომ ქირურგიული ოპერაციის შემდგომი აღდგენითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, ხოლო „ლივერპული“ პრემიერლიგაში მხოლოდ საჩემპიონთალიგო საგზურის მოსაპოვებლად იბრძოლებს.

***— სტივ, როგორი იმედით ელით ახალი სეზონის დაწყებას?***

— გულშემატკივრებს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა არ აწყობთ. ისინი დიდი სიხარულით შეხვდნენ „ლივერპულის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე კენი დალგლიშის დაბრუნებას. „კინგ კენის“ ადრეულ წლებში, როგორც მოთამაშის, ასევე ახალ რანგში გუნდისთვის ბევრი რამ გაუკეთებია და მისი იმედი ნებისმიერ ჩვენგანს ამჯერადაც აქვს. „ლივერპულის“ ტრადიციიდან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ მოწინავე პოზიციაზე ყოფნა დაგვაკმაყოფილებს, მაგრამ სადღეისოდ ერთგულ ქომაგებს კონკრეტულს ვერაფერს დავპირდები. მით უმეტეს, პრემიერლიგის ახალი სეზონის დაწყებამდე საკმაო დროა დარჩენილი და მოვლენები სხვადასხვანაირად შეიძლება განვითარდეს. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, დალგლიშს რამდენიმე მოთამაშის ტრანსფერის განხორციელება სურს, ამიტომაც დაველოდოთ გუნდის საბოლოო დაკომპლექტებას და უფრო კონკრეტულად შემდგომ ვისაუბროთ.

***— დარწმუნებული ვარ, ეს პასუხი მერსისაიდელ ფანებს არ დააკმაყოფილებთ. ისინი „ლივერპულის“ კაპიტნისგან უფრო კონკრეტულ დაპირებას ელიან.***

— ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება „ლივერპულის“ უმთავრესი ამოცანა იქნება. ეს ფინანსურადაც ძალიან მომგებიანი ტურნირია და, რაც მთავარია, ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო გათამაშებაში მონაწილეობის მიღება ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საოცნებო რამაა, მით უმეტეს, თუკი ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოხვალ... „ენფილდს“ არაერთი საჩემპიონთალიგო სპექტაკლი ახსოვს და ჩვენი მიზანია, ლივერპულში ასეთი დონის საფეხბურთო მატჩები დავაბრუნოთ. საამისოდ არაფერს დავიშურებთ, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პრემიერლიგის კლუბების უმრავლესობა ევროთასების ზონაში მოხვედრას ისახავს ამოცანად და მათთან კონკურენცია ურთულესი საქმეა.

***— შემადგენლობის გაძლიერება ახსენეთ. კიდევ რა აოტმ საჭირო „ლივერპულის“ ძველი დიდების დასაბრუნებლად?***

— სტაბილურობა. კენი დალგლიშის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ გუნდმა ამ მიმართულებით სასიკეთო ნაბიჯები უკვე გადადგა — გავიხსენოთ „ლივერპულის“ თამაში პრემიერლიგის მეორე ეტაპზე.

***— მარტში „მანჩესტერ იუნაიტედი“ 3:1 დაამარცხეთ, თქვენთვის კი ეს მატჩი ავად მოსაგონებლადაც გადაიქცა, რადგან მას შემდეგ მინდორზე გასვლას ვერ ახერხებთ. როგორ მიდის გამოჯანმრთელების პროცესი?***

— რთული ოპერაცია გადავიტანე და აღდგენითი პროცესი ბოლომდე მიყვანილი ჯერაც არაა. თუმცა, ექიმები მარწმუნებენ, რომ ყველაფერი კარგად მიდის და ივლისის დასაწყისში გუნდთან ერთად ახალი სეზონისთვის სრულფასოვან მზადებას შევუდგები. ვფიქრობ, აგვისტოს დასაწყისში ნორმალურ ფიზიკურ მდგომარეობაში ვიქნები.

***— პრემიერლიგის დაწყებამდე „ლივერპული“ რამდენიმე ტრანსფერს განახორციელებს, პირველი შენაძენი კი ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ჯორდან ჰ ენდერსონია.***

— ამ 20 წლის ნახევარმცველის ყიდვამ ძალიან გამახარა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მას ყურადღება უკვე ფაბიო კაპელომაც მიაქცია და ეროვნულ გუნდშიც გამოუძახა. თუკი ჰ ენდერსონი კარგად მოერგო „ლივერპულს“ და მონდომებით ივარჯიშა და ითამაშა, მოგვიანებით იგი ჩემ შემცვლელადაც კი შეგვიძლია განვიხილოთ.

***— ფეხბურთიდან წასვლაზე უკვე დაფიქრდით?***

— ჯერჯერობით არა, მაგრამ უკვე 31 წლისა ვარ, კიდევ ერთი სერიოზული ტრავმა და... მაგრამ, მოდით, ცუდზე ნუ ვიფიქრებთ, მით უმეტეს, ახალი სეზონის წინ.

***— რა აზრის ხართ შედარებით კიდევ ერთ ახალ ლივერპულელ ლუის სუარესზე?***

— ურუგვაელი ფორვარდი ჩვენთან გასული ზამთრში მოვიდა და მასთან ერთად მხოლოდ სამი მატჩის ჩატარება მოვასწარი. ამ შეხვედრებში დავრწმუნდი, რომ ლუისი მაღალი დონის ფორვარდია და მოუთმენლად ველი ამგვარ პარტნიორთან ერთად თამაშს. გარდა ოსტატობისა, სუარესი მებრძოლი სულის პატრონიცაა. გავიხსენოთ „ფულჰემთან“ მატჩი. 93-ე წუთზე 5:2-ს ვიგებდით, ლუისი კი მეტად უკმაყოფილო იყო იმით, არბიტრმა ლონდონელი მცველის მიერ ხელით თამაშის გამო პენალტი რომ არ დანიშნა.

***— სპორტული კარიერის საკვანძო მომენტად რომელი შეხვედრა მიგაჩნიათ?***

— ასეთი რამდენიმე მატჩი იყო, განსაკუთრებული კი მაინც ჩემპიონთა ლიგის ფინალში ჩრდილოიტალიური „მილანის“ დამარცხებაა. იმხანად 24 წლისა გახლდით და უკვე „ლივერპულის“ კაპიტნის სამკლავურს ვატარებდი. 2001 წლის მაისში ესპანურ „ალავესს“ უეფას თასის დრამატულ ფინალში 5:4 მოვუგეთ და კარგახნიანი პაუზის შემდეგ „ლივერპული“ ევროთასის მფლობელი გახდა. ასევე არასდროს დამავიწყდება „როსონერის“ წინააღმდეგ ჩატარებული კიდევ ერთი საჩემპიონთალიგო ფინალი. ოღონდ, რასაკვირველია, მისი დასრულების შემდეგ საპირისპირო ხასიათზე გახლდით.

***— თქვენი უმთავრესი საფეხბურთო ოცნება რა არის?***

— ფეხბურთში „ლივერპულთან“ ერთად პრემიერლიგის მოგება, ნაკრების რიგებში გამოსვლისას კი — ევროპის მომავალ პირველობაზე წარმატებით თამაში. პირად ცხოვრებას რაც შეეხება, სიგიჟემდე მიყვარს მეუღლე ალექს კურენი და ქალიშვილები, ლილი-ელა და ლექსი. მათთან ერთად მრავალი ბედნიერი წლის გატარება მსურს.

# ხავი: მესის დი სტეფანოზე, პელესა და მარადონაზე წინ ვაყენებ

„ბარსელონისა“ და ესპანეთის ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა, ხავი ერნანდესი, ამჟამად მადატეპერეში, მშობლების სახლში ატარებს შვებულებას, თუმცა ინტერვიუებს მაინც ხალისიანად იძლევა.

***— ფანტასტიკური სეზონი გქონდათ, რაც გულიანად დასვენების საშუალებას გაძლევთ.***

— გეთანხმებით, თუმცა, ესპანეთის თასის ფინალში დამარცხებამ გული დაგვწყვიტა. სეზონი ქვეყნის სუპერთასის მოგებით დავიწყეთ და ბრწყინვალე მატჩით დავასრულეთ. ჩემი აზრით, ლონდონის „უემბლიზე“ „ბარსელონამ“ თავისი ისტორიის განმავლობაში საუკეთესო თამაში აჩვენა. მინდორზე ყოფნისას ასეთი კმაყოფილი არასდროს ვყოფილვარ. მთლიანობაშიც, ამგვარი წარმატებული სეზონი არასდროს მქონია.

***— მადრიდის „რეალი“ ამდენი ხნით მეორე პლანზე ყოფნას შეეგუება? როგორ გგონიათ, რას მოგიმზადებთ ჟოზე მოურინიო?***

— პორტუგალიელს პოლემიკა უყვარს და ჰგონია, რომ მის გამონათქვამებს წონასწორობიდან გამოვყავართ. არადა, საწინააღმდეგო ეფექტს იღებს — მისი სიტყვები „ბარსას“ თამაშს მხოლოდ აძლიერებს.

***— ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა ლეო მესიმაც, რომელსაც გულშემატკივართა უმრავლესობა „ბარსელონას“ ტრიუმფების უმთავრეს შემოქმედად მიიჩნევს.***

— სიტყვები არ მყოფნის ლეოს თამაშის აღსაწერად. ჩემი აზრით, მესი პლანეტის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია და მას ალფრედო დი სტეფანოზე, პელესა და მარადონაზე წინ ვაყენებ. ლეო ნებისმიერ მატჩში საუკეთესოა. ყველა ჩვენგანი მას უნდა გავუფრთხილდეთ, რათა კიდევ ბევრი ტიტულის მოპოვებაში დაგვეხმაროს.

***— პეპ გვარდიოლას კლუბთან ხანგრძლივი კონტრაქტი ხელმოწერილი არ აქვს. არ გეშინიათ, რომ ერთ დღესაც იგი „კამპ ნოუს“ დატოვებს?***

— პეპი ძალიან ჭკვიანია. მან მშვენივრად იცის, რომ 4-5-წლიანი ხელშეკრულება რომ გააფორმოს, „დამშვიდდება“ და გარკვეულწილად ახალ-ახალი ტურნირების მოგების სტიმულს დაკარგავს. მისი სტრატეგია სავსებით სწორია. გვარდიოლა თითოწლიან კონტრაქტებს აფორმებს და ახალ შეთანხმებას „გამოიმუშავებს“. ჩემი აზრით, გონიერი და პრაქტიკული მიდგომაა.

***— თუმცა, რამდენიმე ხნის წინ გვარდიოლამ განაცხადა, შესაძლოა, მალე წავიდეო.***

— ეს მეც გავიგე. პეპი მთავარ მწვრთნელობას გულისხმობდა.

***— თუკი ასე მოხდა, რომელ პოსტზე ისურვებდით გვარდიოლას? პრეზიდენტად?***

— პეპს ნებისმიერ თანამდებობაზე მყოფს შეუძლია, დიდი სარგებლობა მოუტანოს ჩვენ გუნდს.

***— მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ მაისური უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ გთხოვათ. ლონდონური შეხვედრის დასრულების შემდეგ მან ანალოგიური თხოვნით არ მოგმართათ?***

— არა. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ფინალის წინ მაისურს ჩემს მეგობარ ჟუსტრის დავპირდი. პლატინიმ კი წარმატება მომილოცა და მითხრა, რომ მინდორზე



ფანტასტიკურად გამოვიყურებოდი. მიშელი კასტილიურ ენაზე დამელაპარაკა, თუმცა, ეს ენა არც ჩემთვისაა მშობლიური და არც პლატინისთვის. უმჯობესი იქნებოდა, ინგლისურად მოემართა.

***— შარშანდელი სეზონის დაწყების წინ დაჯერებით აცხადებდით, რომ სესკ ფაბრეგასი „კამპ ნოუზე“ გადმოვიდოდა. შარშან შეცდით, რას იტყვით ამჯერად?***

— შარშან სესკი აცხადებდა, რომ „არსენალს“ დატოვებდა და კატალონიაში დაბრუნდებოდა. წელსაც ახალი არაფერია — ფაბრეგასს „ბარსაში“ თამაში სურს. ერთადერთი ხელისშემშლელი ფაქტორი ფულია. არსენ ვენგერი სესკის სანაცვლოდ დიდძალ თანხას ითხოვს. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, სადღეისოდ „ბარსელონას“ ეკონომიკური ასპექტით არ ულხინს.

***— საუბრობენ ჯუზეპე როსის ტრანსფერზეც.***

— იგი ძალიან კარგი ფეხბურთელია.

***— როსის პირადად იცნობთ?***

— არა, მაგრამ კაპდევილამ ძალიან კარგად დამიხასიათა. იტალიელის ფეხბურთელობას რაც შეეხება, უძლიერესი და ზუსტი დარტყმა აქვს, ახალგაზრდაა და წინ ბრწყინვალე კარიერა ელის.

***— თქვენს რიგებში პირველი სეზონი ჩაატარა დავიდ ვილიამ.***

— „ელ გუახესთან“ მეგობრული ურთიერთობა მაქვს. მას ნამდვილი ოქროს გული აქვს. ვილია თავმდაბალი, შრომისმოყვარე, ეგოიზმისგან დაცლილი ფეხბურთელია. მას „ბარსელონასთან“ ადაპტირებისთვის დრო არც კი დასჭირვებია. იყო პერიოდი, როცა მას გოლის გატანა უჭირდა. ფორვარდისთვის ეს მძიმე რამაა. ამიტომაც, როცა დავიდმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვან დერ სარს აუღებელი დაურტყა, საკუთარ წარმატებაზე მეტად გამიხარდა.

***— გასულ სეზონში ყველაზე მეტად „რეალის“ დამარცხება გაგიჭირდათ?***

— არა, „ვილიარეალის“, „კამპ ნოუზე“. მადრიდელებს რაც შეეხება, ცხადია, მათი ძლევა იოლი არ იყო, მით უმეტეს, „რეალს“ ფეხბურთის თამაში არ სურდა. ანალოგიური სტილით გვეთამაშა „ვალენსიაც“. ამგვარი განწყობით მოთამაშე გუნდის წინააღმდეგ მოედანზე ყოფნა ძნელიცაა და არასასიამოვნოც. ჩემი აზრით, „ბარსელონას“ სათამაშო სტილთან ყველა ახლოს „ვილიარეალია“. კასორლას, ბრუნოს, ბორხა ვალეროს, ნილმარს, როსისა და მათ პარტნიორებს ლა ლიგის მოგებისთვის ბრძოლა შეუძლიათ.

***— სეზონის პირველ შეხვედრას ესპანეთის სუპერთასზე „რეალთან“ ჩაატარებთ.***

— უკვე მოუთმენლად ველი მოურინიოს გუნდთან მორიგ ჯახს. გარწმუნებთ, მადრიდელებთან სათამაშოდ მინდორზე დიდი ადრენალინით გავალთ.

# ანატოლი პისკოვეცი: „გაგრა“ შეკრული კოლექტივია

საქართველოს პირველ ლიგაში და ქვეყნის თასზე „გაგრის“ წარმატებას დიდწილად გუნდის მთავარ მწვრთნელს ანატოლი პისკოვეცს დამსახურებულად მიაწერენ. უკრაინელ სპეციალისტს სულ ერთი წელი დასჭირდა, მანამდე დიდად არაფრით გამორჩეული გუნდი რომ სეზონის უმთავრეს აღმოჩენად ეღიარებინათ. რაც მთავარია, მის წარმატებას ღიად აღნიშნავენ უკრაინაში, სადაც მძიმე სეზონის შემდეგ ანატოლი პისკოვეცი იმყოფება და მასთან ინტერვიუ „სპორტ ექსპრესის“ უკრაინულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

***— შეიძლება თუ არა, საზღვარგარეთ დასაქმებულ უკრაინელ მწვრთნელთაგან ყველაზე წარმატებულად თქვენ მიგიჩნიოთ?***

— ვფიქრობ, საკუთარი ნაშრომის შეფასება ჩემგან მთლად კორექტული არ იქნება. თუმცა, მაინც სასიამოვნოა, როცა ამბობენ, რომ გუნდს მედლები და თასი უკრაინელმა მოუტანა.

***— თქვენს კარიერაში ყველაზე შთამბეჭდავი საქართველოში გატარებული პერიოდია?***

— მედლებისა და თასის მოგება 1997 წელსაც შევძელი, თუმცა, მაშინ ეს ქალთა ნაკრებთან ერთად გავაკეთე. მართალია, ეს უფრო დაბალი დონეა და „გაგრასთან“ მიღწეული წარმატება გაცილებით მნიშვნელოვანია, თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ უპირველესი მოვლენაა. მთლიანმა სამწვრთნელო მოღვაწეობამ დიდი გამოცდილება შემძინა, რის გარეშეც დღეს ვერაფერს მივაღწევდი. თანაც, ფეხბურთიდან წასვლას ჯერ არ ვაპირებ და მიღწეული შედეგების შეჯამება ჯერ ნაადრევია. კიდევ რამდენ ხანს ვიმუშავებ „გაგრასთან“, ამის თქმა გამიჭირდება. ყველაფერი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, თუმცა, არ დაგიმალავთ, რომ სამშობლოში დაბრუნების ვარიანტსაც განვიხილავდი.

***— როგორ ფიქრობთ, წარმატებაში გარკვეულ როლს გამართლებაც ასრულებს?***

— რა თქმა უნდა. შეიძლებოდა, თასის ფინალში, დამატებით დროში „ტორპედოს“ მცველს ბურთი საკუთარ კარში არ ჩაეჭრა, პენალტების სერიაში კი ვინ იხეირებდა, არავინ იცის... ხდება ზოგჯერ, რომ გუნდი უამინდობის გამო შეკრებას წარუმატებლად ატარებს. მაგალითად, ბათუმში ჩვენი მომზადება გამოდგება, სადაც დიდთოვლობის გამო სავარჯიშო პროგრამის შეცვლა მოგვიხდა. ესეც ხომ ის ვითარებაა, რომელიც ჩვენზე არაა დამოკიდებული. არიან ისეთი იღბლიანი მოთამაშეებიც, რომლებიც ძირითადში თამაშს ვერ იმსახურებენ, მაგრამ, როდესაც შეცვლაზე შემოდიან, მატჩის ბედს წყვეტენ. როდესაც ბურთი კარში ძელიდან შედის, ესეც ხომ გამართლების შედეგია და არა — ოსტატობის.

***— ევროპის ლიგაზე სავარაუდო მეტოქეებზე რას იტყვით?***

— აი, გამართლების კიდევ ერთი მაგალითი — კენჭისყრა. მეტოქის ვინაობას 20-ში შევიტყობთ. შესაძლოა, „ფულჰემს“ გადავეყაროთ, შესაძლოა — საპირისპირო პოლუსის გუნდს. თეორიულად შეიძლება „ვორსკლასთანაც“ დუელი მოგვიხდეს, რომელსაც სათავეში ჩემი მეგობარი ნიკოლაი პავლოვი უდგას. პირობა დავდეთ, რომ ერთმანეთს ძალიან არ დავამწუხრებთ, მაგრამ ნამდვილი ბრძოლის გადატანა აუცილებლად მოგვიწევს.

***— პოლტაველებთან დაპირისპირებას ისურვებდით?***

— რა თქმა უნდა. უკრაინელი გუნდთან ერთად თავის სამშობლოში ჩავა და ეს საინტერესო იქნება. შემდეგ ეტაპზე მხოლოდ ერთ-ერთი ჩვენგანი რომ გააღწევს, რა თქმა უნდა, სასიამოვნო არაა, მაგრამ ამის გამო ერთმანეთს ნამდვილად არ გადავემტერებით.

***— „გაგრა“ და „ვორსკლა“ სხვადასხვა დონის გუნდებია?***

— არ მახსოვს, პავლოვის გუნდი ბოლოს როდის ვნახე, თუმცა, ვაღიარებ, რომ უკრაინული ჩემპიონატის დონე გაცილებით მაღალია... ოსტატობის, კომპლექტაციისა და ფინანსური თვალსაზრისით პოლტავური კლუბი „გაგრას“ სჯობია.

***— ქართულ ფეხბურთში კორუფცია არსებობს?***

— გააჩნია, ამ სიტყვაში რას ვიგულისხმებთ. მსაჯობა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ნორმალურ დონეზეა. არ მახსენდება ისეთი თამაში, მსაჯებს „გავეწირე“. არბიტრები, რა თქმა უნდა, ზოგჯერ ცდებიან, მაგრამ განზრახ დაჩაგვრა მათგან არასდროს მიგრძვნია. არცთუ დიდი ხნის წინ სკანდალი სამი ქართული კლუბის კაპიტნის გარშემო ატყდა, რომლებიც ბუქმეკერულ საქმიანობაში ამხილეს. ეს ინფორმაცია ტელევიზიით გაცხადდა. საბოლოოდ, სკანდალი ქვეყნის ფედერაციამ უეფასთან ერთად გამჭვირვალედ და წარმატებით აღმოფხვრა.

***— თქვენს გუნდში ორი უკრაინელია — მიკოლა ნაკონეჩნი და ვლადიმირ ორდინსკი. რა როლი აკისრიათ მათ „გაგრაში“?***

— ისინი უფრო იდეისთვის თამაშობენ, ვიდრე ფულისთვის. ნამდვილი ვაჟკაცები არიან! მიკოლა ოდესლაც ჭაბუკთა ნაკრებში ვერცხლის პრიზიორი იყო, კიევის „არსენალში“ მაღალი და სტაბილური დაფინანსებით თამაშობდა, თუმცა შემდეგ პრობლემები შეექმნა. ყველას არ ძალუძს ბედის უკუღმართობის უმტკივნეულოდ გადატანა. რა თქმა უნდა, მას პრობლემები აქვს რეჟიმთან, თუმცა, ეს მას ხელს არ უშლის, იყოს ძალიან მოწესრიგებული და ავტორიტეტული გუნდში. თუკი საჭიროა, შესვენებაზე, მწვრთნელების ჩაურევლად, ძალიან მკაცრადაც ელაპარაკება ბიჭებს. მას ყველა უსმენს. ორდინსკის მაღალი დონის ფეხბურთი არ უთამაშია, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან დისციპლინირებული და რეჟიმის მიმდევარია. ამ მხრივ ის და ნაკონეჩნი ორი სრულიად საპირისპირო ტიპაჟია, მაგრამ ეს მათ მეგობრობაში ხელს არ უშლით.

***— დაგვისახელეთ სამი მთავარი შემადგენელი, რის გარეშეც „გაგრა“ გასული სეზონის აღმოჩენა ვერ გახდებოდა.***

— პირველ რიგში, ჩვენ შეკრული კოლექტივი გვყავს. მსოფლიოში უამრავი მაგალითია, როდესაც ვარსკლავებით გადატენილ გუნდებსაც ვერაფრისთვის მიუღწევიათ. გუნდში მოთამაშეების ერთმანეთთან შეთავსება ძალიან მნიშვნელოვანია. მეორე ფაქტორი გამოცდილებაა, მესამე კი — მხარდაჭერა, რომელიც გუნდს მიზნისკენ მიმავალ გზაზე ძალას მატებდა. პირველ რიგში კლუბის პრეზიდენტის, რეზო ჩიხრაძის მადლობელი ვარ, რომელმაც ნდობა გამომიცხადა. ჩემზე ასევე დიდად იმოქმედა საფეხბურთო სამყაროში ჩემი უკრაინელი მეგობრებისა და თქვენი გაზეთის ყურადღებამ. როდესაც იცი, რომ შენს საქმიანობას თვალს სამშობლოშიც ადევნებენ, უფლება არ გაქვს, საქმეს არაკეთილსინდისიერად მოეკიდო.

# ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა თანამდებობა დატოვა



საქართველოს ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა თანამდებობა დატოვა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა პარასკევს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ბაინდურაშვილმა ასეთი გადაწყვეტილება საკუთარი სურვილით მიიღო.

მისი თქმით, ყოფილი მინისტრი პირველ ეტაპზე „საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნება. მას ასევე აქვს სხვა გეგმები, რომლებზეც მოგვიანებით ისაუბრა.ნიკა გილაურმა კახა ბაინდურაშვილს მინისტრის თანამდებობაზე შესრულებული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა.

მისი თქმით, 2009 წელი მსოფლიოსათვის ყველაზე რთული იყო. საქართველომ ეს კრიზისი ყველაზე სწრაფად დაძლია, რაშიც ერთ-ერთი მთავარი წვლილი სწორედ კახა ბაინდურაშვილმა შეიტანა. ასევე ბაინდურაშვილის მინისტრობის დროს განხორციელდა ფისკალური სტიმულირების პაკეტი, რამაც ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანას და 2010 წელს ეკონომიკის ზრდას შეუწყო ხელი.

გილაურის განცხადებით, კახა ბაინდურაშვილის დამსახურებებს შორისაა საგარეო ვალის წარმატებული მენეჯმენტი, ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება, საბაჟო პრობლემების გაქრობა, ახალი სერვისების დანერგვა, ელექტრონული მომსახურების ამოქმედება და სხვა.

კახა ბაინდურაშვილს მისი მოადგილე დიმიტრი გვინდაძე შეცვლის, რომელიც ფინანსთა სამინისტროში ექვს წელზე მეტ ხანს მუშაობდა.

გილაურის თქმით, იგი საგარეო ვალის საკითხს კურირებდა და ამ მხრივ მიღწეული წარმატებები სწორედ მისი დამსახურებაა.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი მიმდინარე წელს ახალი ევრობონდების გამოშვებას გაუსვა, რაც ერთ-ერთ წარმატებულ ტრანზაქციად შეფასდა.

გილაურის თქმით, დიმიტრი გვინდაძის დამსახურებაა ისიც, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გამართულ ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე ქვეყანის დასახმარებლად 4,5 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფა გახდა შესაძლებელი.

**მედიანიუსი**

# დიმიტრი მედვედევი: რუსეთი წელს მსო-ს წევრი აუცილებლად გახდება

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის განცხადებით, ის წელს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას სრულიად რეალურად მიიჩნევს, თუკი ისევ გარკვეული პოლიტიკური თამაშები არ დაიწყება.

— ჩვენ უკვე დიდი ხანია მზად ვართ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესასვლელად, უფრო მეტად, ვიდრე სხვა დიდი თუ არც თუ ისე დიდი ქვეყნები, მაგრამ ჩვენგან ცდილობენ რაც შეიძლება მეტი დათმობის მიღებას. ასეთი მიდგომა მიუღებელია, რუსეთისათვის არახელსაყრელ გადაწყვეტილებებზე ჩვენ არასოდეს წავალთ, — განაცხადა მედვედევმა პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლისას.

მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორები მზად არ აღმოჩნდებიან რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში სამართლიანი მიღებისათვის, ეს იქნება ცუდი სცენარი და ეს თავიდან უნდა ავიცილოთ.

— ამ შემთხვევაში საკუთარ პრობლემებს სხვა ხერხებით, ყველა კონტრაგენტთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გადავწყვეტთ. ცალკეულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ინტერესებმა რუსეთის წარმატებით განვითარებას ხელი არ უნდა შეუშალოს, — განაცხადა მედვედევმა.

უკვე მესამე წელია რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა, პეტერბურგის ფორუმის ერთ-ერთი მთავარი თემაა.

**მედიანიუსი**

# საგანელიძე მძღოლებისთვის დაწესებულ მოთხოვნებს აპროტესტებს

„ახალი მემარჯვენეების“ გენერალური მდივანი, თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ჩვენი თბილისის“ თავმჯდომარე დავით საგანელიძე კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ მხრიდან სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისთვის დაწესებულ მოთხოვნებს საქალაქო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში მერიის მიერ დამკვიდრებულ მონოპოლიებს უკავშირებს.

— როგორც ჩანს, თბილისის მერიას მონოპოლიების და სხვა რეგულაციების დამკვიდრების გზით, საწვავზე, ხორცზე, სხვა საკვებ პროდუქტებზე, ტრანსპორტზე, მედიკამენტებზე ფასების კატასტროფული ზრდა თავის მოსახლეობაზე „ზრუნვად“ მიაჩნია, — ვარაუდობს საგანელიძე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მისთვის გაუგებარია, რატომ ამკვიდრებს თავად მერია მონოპოლიებს სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ტრანსპორტზე; რატომ არ აპროტესებს პარლამენტის და სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ ხორცის დამზადებასა და რელიზაციაში შექმნილ ხელოვნურ რეგულაციებს, კარტელურ შეთანხმებებს საწვავზე, მედიკამენტებზე, რომლებიც ფასების მასშტაბურ ზრდას და მოსახლეობის სოციალური პირობების დღითიდღე გაუარესებას იწვევს.

მისივე თქმით, საქალაქო ტრანსპორტით დედაქალაქის მომსახურების ტენდერი კომპანიებს შორის ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ღიად და გამჭვირვალედ რომ ჩატარებულიყო, დღეს „თბილისის მიკროავტობუსი“ ასეთი პოზიციიდან ვერ ისაუბრებდა.

საგანელიძის განცხადებით, ეს თემა აუცილებლად საკრებულოს განსჯის საგანი უნდა გახდეს.

**ინტერპრესნიუსი**

# მერია და „თბილისის წყალი“ მოსახლეობას მრიცხველების დამონტაჟებაში ფულს სძალავენ



თბილისის საკრებულოს რესპუბლიკელი წევრი თინა ხიდაშელი თბილისის მერიას და კომპანია ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს„ („თბილისის წყალი)“ მოსახლეობის მოტყუებაში ადანაშაულებს და წყლის მრიცხველების უფასოდ დამონტაჟებას მოითხოვს.

როგორც პარასკევს საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე ხიდაშელმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად „თბილისის წყალი“ ვალდებულია ყოველგვარი დამატებითი გადასახადის გარეშე დაამონტაჟოს მრიცხველები, მოსახლეობას დამონტაჟებაში ფულს ახდევინებს.

— იმავე ხელშეკრულების შესაბამისად, გამრიცხველიანების პროცესის პირველი ეტაპი უკვე დასრულებული უნდა იყოს. მერია კი რეაგირებას არ ახდენს, არც მოსახლეობისგან ფულის გამოძალვის ფაქტზე და არც გამრიცხველიანების პროცესის გაჭიანურების ფაქტზე. რესპუბლიკური პარტია თბილისის მერიისაგან მოითხოვს, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება და უზრუნველყოს მრიცხველების უფასოდ დამონტაჟება თბილისის ტერიტორიაზე, — განაცხადა პრესკონფერენციაზე თინა ხიდაშელმა.

**მედიანიუსი**

# „თავისუფალი საქართველო“ ხელისუფლებას მცირე მეწარმეებზე ზეწოლაში ადანაშაულებს

პარტია „თავისუფალი საქართველო“ საგადასახადო კოდექსში დაგეგმილ ცვლილებას აპროტესტებს და ამ ინიციატივას ხელისუფლების მხრიდან მცირე ბიზნესზე ზეწოლად აფასებს.

როგორც პარასკევს პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ მიმი გაბრიჩიძემ განაცხადა, საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივით საგადასახადო კოდექსში ცვლილება შედის, რომლის თანახმადაც, ტურიზმის სექტორში დასაქმებულ მეწარმეებს ერთ კვადრატულ მეტრ ფართზე 10 ლარის ოდენობის ფიქსირებული გადასახადი დაეკისრებათ.

— ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც ხელისუფლება ამბობს, რომ ტურიზმი უნდა გახდეს ქვეყნის აყვავების და ეკონომიკური აღმავლობის გარანტი. აღნიშნული ინიციატივა არათუ ხელს შეუწყობს, არამედ მთლიანად მოსპობს მეწარმეების არსებობას. ამ ინიციატივას „თავისუფალი საქართველო“ აფასებს, როგორც ხელისუფლებისგან ზეწოლას მცირე მეწარმეებზე, ტურისტულ ბიზნესზე, რადგან მეპატრონეები ვერ შეძლებენ ამ თანხის გადახდას, — განაცხადა გაბრიჩიძემ და დასძინა, რომ აღნიშნული ინიციატივის დამტკიცება საოჯახო და კერძო სასტუმროებში გასაქირავებელი ფართების გაძვირებას გამოიწვევს.

„თავისუფალი საქართველო“ მცირე მეწარმეებსა და საზოგადოებას მეტი აქტიურობისაკენ მოუწოდებს, რათა ხელისუფლებას არ მიეცეს საშუალება ზეწოლა განახორციელოს კერძო ბიზნესზე.

ცნობისთვის: დღევანდელი ნორმით ფიქსირებული გადასახადი სასტუმროში ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება.

**მედიანიუსი**

# საქართველოში ევროპიდან საქონლის ხორცი არ შემოდის

საქართველოში ევროპიდან საქონლის ხორცი არ შემოდის. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა ვერიკო გულუამ განუცხადა, საქართველოში ევროპიდან საქონლის ხორცი არ შემოდის და აქედან გამომდინარე, ეკოლის ნაწლავური ინფექციის გავრცელების საშიშროება საქართველოში არ არსებობს. ვერიკო გულუას ინფორმაციით, საქართველოში გაყინული საქონლის ხორცის იმპორტი ძირითადად ინდოეთიდან ხორციელდება.

იმპორტირებული სურსათის კონტროლს საზღვარზე შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ორგანოები ახორციელებენ, ხოლო ქსელში სარეალიზაციოდ გამოტანილი სურსათის კონტროლი მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი მოხელეების მიერ ხორციელდება.

**ინტერპრესნიუსი**


# ი ყ ი დ ე ბ ა

**შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 312.0 კვ.მ და მასზედ არსებული შენობა-ნაგებობები სასარგებლო ფართით 36,7 კვ.მ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ოსტროვის ქუჩა №103.**

**ფასი შეთანხმებით.**

მსურველები დაგვიკავშირდით მისამართზე:

**თბილისი, 0194, ბურძგლას ქუჩა №56, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“, ტელ.: (995 32) 243 97 57, ფაქსი: (995 32) 243 97 67, მობილური: (995 77) 222 545, ვებ-გვერდი: www.SPG.ge; ელ-ფოსტა: info SPG.ge.**

საკონტაქტო პირი: **არჩილ ფირცხალავა — იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი, მთავარი იურისტი.**


# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# განცხადებები


- ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, შიშები, აკვიატებები, დეპრესია, აგრესია, ყურებში შუილები, კლიმაქსური ფონი, ციკლის მოწესრიგება, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 858-21-77-93; 234-02-38 ფატი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.
- იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 73-35-63. 893 93 40 36 ლიკა.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.
- შევაკეთებთ ნებისმიერი სირთულის სარეცხ მანქანებს გარანტიით, ინდმეწარმე გოდერძი ადამია. ტელ: 899-63-62-32; 890-63-62-32.
- ქირავდება სასაწყობე და საწარმოო ფართი ქვემო ფონიჭალაში 2000 კვ.მ. შენობა, შენობის სიმაღლე 8 მ. ტერიტორიაზე შედის რკინიგზის ჩიხი. ტელ: 899-51-28-44 ან 899-73-75-73.

## ორშაბათი 20 ივნისი

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **14.00** აქცენტები **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** სილამაზის ფორმულა **18.30** მედ-ინფო **19.05** უძველესი დაკარგული ქალაქები **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** აუდიტორია **23.00** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **00.15** ღამის საუბრები **01.15** მხ.ფ.**"ალფი"** (**18**) (ჯ. ლოუ) **03.05** მოამბე **03.25** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **"ფერაპლე"** **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** რეგიონის დროით **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ.ფ."მეორე მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **20.00** მხ. ფილმი **"რეიგანების ოჯახი"** **1-2** ს. **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"შემოდგომის ლეგენდები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 05.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** შუა დღე (გან.) **03.00** პატრული **03.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** შეგირდი (გან.) **23.00** მუს. ლიგა (გან.) **00.00** მხ. ფილმი **"დაბრუნება ბრაიდსჰედში"** (**12**) (ე. ტომპსონი) (სუბტ.) **02.55** მხ. ფილმი **"აგვისტო"** (**15**) (ჯ. ჰარტნეტი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ.**"დიდი ტურინი"** **12.50, 19.30** სერ. **"ამანდა ო"** **14.15, 17.15** ინგლისურის გაკვეთილი **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **18.00** დოკ. ფილმი **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება 0830

დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05** მხ.ფ.**"ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა"** **13.35** კონცერტი – ანს. "რუსთავი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.05** სპექტაკლი **"ბაკულას ლორები"** **16.40** დოკ. ფ."ველური ბუნება" **17.05** ფილმი-ზღაპარი "წელიწადის დრონი" **17.30** მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მხ. ფილმი **"იავნანა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დრო და ტრადიციები **22.20** დოკ. ფილმი "ჯიხეთი – დედათა მონასტერი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დრო და ტრადიციები **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** პერსპექტივა

## სამშაბათი 21 ივნისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "დინოზავრების კვალდაკვალ" **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 01.20** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** მხ. ფილმი **"ბედის წინააღმდეგ"** (მ. რაიანი) (სუბტ.) **01.00** მოამბე **02.20** აუდიტორია **03.20** მხ. ფილმი **"თავისუფლების მწვერვალები"** (**12**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ.ფ."მეორე მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **20.00** მხ. ფ.**"რეიგანების ოჯახი"** **01.00** მხ. ფილმი **"ალფი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** ვის უნდა **20** ათასი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მუს. ლიგა (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.00** პოკერ რინგი **02.25** მხ. ფილმი **"რა სურთ ქალებს"** (მ. გიბსონი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.20** იმედის ფსონი (პირდ.) **16.10** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.00, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.50, 21.00** სერ.**"დიდი ტურინი"** **12.50, 19.30** სერ. **"ამანდა ო"** **14.15, 17.15** ინგლისურის გაკვეთილი **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **18.00** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება 0830

დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "ჯიხეთი – დედათა მონასტერი" **11.00** საქართველოს ისტორია **11.25** დრო და ტრადიციები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"იავნანა"** **13.30** კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"დაგვიანებული სასიძო"** **16.40** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.15** ფილმი-ზღაპარი "ბოროტი ობობა" **17.30** მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სადვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი **01.20** დოკ. ფილმი "მათ სიცოცხლე სურდათ" **01.35** კონცერტი – მარტა არგერიში

## ოთხშაბათი 22 ივნისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია (გან.) **13.30** მეხსიერება **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი სამართალი **18.30** სილამაზის ფორმულა **19.05** დოკ. ფილმი "ღვთაებრივი მიქელანჯელო" **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.30** აივანი **00.00** მხ. ფილმი **"ობობის ნიღაბი"** (**12**) (მ. ფრიმენი) **02.10** მოამბე **02.30** ევროპული არჩევანი **03.40** ჩვენი ეზო

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფ. "მეორე მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **20.00** მხ.ფ.**"ხმაურიანი გაძევება"** **01.00** მხ. ფილმი **"ბედის წინააღმდეგ"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **23.00** რა? სად? როდის? **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **00.00** პოკერ რინგი **01.00** მხ.ფ.**"საქორწინო წვეულება"** (მ. დუგლასი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი **"წერილები ჯულიეტასთვის"** (ა. საიფრიდი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** ფარული კამერა **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.00, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50** სერ. **"დიდი ტურინი"** **12.50, 19.30** სერ. **"ამანდა ო"** **14.15, 17.15** ინგლისურის გაკვეთილი **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **21.00** სერ.**"ხსოვნა და მიტევება"** **23.00** სცენა **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება 0830

დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სადვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"სანამ წვიმა გადივლიდეს"** **13.30** კონცერტი – ანდრე რიე **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.20** მხ. ფილმი **"ნინო"** **16.40** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"მე ვხედავ მზეს"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** დოკ. ფილმი "კირილე ალექსანდრიელი" **22.35** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პერსპექტივა **00.55** განთიადის სტუმარი **01.20** კონცერტი – "შვიდკაცა"

## ხუთშაბათი 23 ივნისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** მედ-ინფო **18.30** ჩვენი ფერმა **19.05** დოკ. ფ. "ოკეანის ფსკერი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 03.30** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** სი ბემოლი **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"საზღვრებს მიღმა"** (**12**) (ა.ჯოლი) **04.30** მხ. ფილმი **"ნამდვილი დამნაშავე"** (**12**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "მეორე მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **20.00** მხ. ფილმი **"ორმაგი შეცდომა"** **1-2** ს. **01.00** მხ. ფილმი **"ობობის ნიღაბი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"ავრორა"** **22.00** პროფილი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** შეგირდი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **1**-ლი ს. **22.00** "გოლდენ ტალანტ **2011**" (პირდ.) **00.00** რემონტი (გან.) **00.30** მხ. ფილმი **"საბედისწერო ნიშნები"** (ნ. კეიჯი) (სუბტ.) **03.10** მხ. ფილმი **"კეთილი ჯონი"** (ჩ. ტატუმი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **02.00** ფარული კამერა **02.30** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.00, 23.40** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **10.40** სცენა **11.20, 14.15, 17.15** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"ხსოვნა და მიტევება"** **12.50, 19.30** სერ. **"ამანდა ო"** **14.15, 17.15** ინგლისურის გაკვეთილი **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება 0830

დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დოკ. ფილმი "სვეტიცხოველი" **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მე ვხედავ მზეს"** **13.30** კონცერტი – "შავნაბადა" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"ბაში-აჩუკი"** **16.55** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.20** მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **18.05** სადვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** მოკ. ფილმი **"სერენადა"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.20** კონცერტი – ანასოფია მუთერი

## პარასკევი 24 ივნისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30** **წყალბურთი**. საერთ. ტურნირი. საქართველო-საქართველო-**2** **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 02.15** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ.ფ. **"პეიზაჟი ნისლში"** **02.35** მოამბე **02.55** მხ. ფილმი **"როზმარის ბავშვი"** (**15**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "მეორე მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **20.00** მხ. ფილმი **"ორმაგი შეცდომა"** **3-4** ს. **01.00** მხ.ფ.**"საზღვრებს მიღმა"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** პროფილი **18.45** სერ. **"ავრორა"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ.**"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** ღამის შოუ **00.00** მხ. ფილმი **"შარადა"** (ო. ჰეპბერნი) **02.20** ფლეიბოი იმედზე **03.15** მხ. ფილმი **"განდგომილები"** (**15**) (ლ. დიკაპრიო) **07.15** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.20** ფარული კამერა **16.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.20, 14.15, 17.15** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"ხსოვნა და მიტევება"** **12.50, 19.30** სერ. **"ამანდა ო"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30

დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** მოკ. ფილმი "სერენადა" **11.00** ჟურნალისტის დღიური **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ"** **13.30** კონცერტი – კონსტანტინე პევზნერი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"სიბრძნე სიცრუისა"** **17.00** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.30** მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"არასერიოზული კაცი"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ.ფ."ორშაბათ საღამოს" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## შაბათი 25 ივნისი

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** პლანეტა ბასტიბუბუ **10.00** სერ. **"გარდასახვის ოსტატი"** **11.30** "ბავშვობანა" **12.00, 16.00, 20.00, 03.30** მოამბე **12.15** მხ. ფილმი **"ნიანგი დანდი 2"** **14.10** სპექტაკლი **"ვალი"** **16.15** ქართული დოკუმენტალისტიკა **17.00** ქართ. მხ. ფილმი **"სინათლე ჩვენს ფანჯრებში"** **18.30** **წყალბურთი**. საერთ. ტურნირი. საქართველო- ბელორუსი **20.00** მოამბე **21.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **22.00** საჯარო პოლიტიკა **23.00** პილოტი **00.00** მხ. ფილმი **"ოცნებების გოგონები"** (**12**) (ბ. ნოულზი) **02.30** წითელი ზონა **03.30** მხ. ფ.**"პეიზაჟი ნისლში"**

**08.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯ.ენებზე) **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** ბრიფინგის დროით **17.00** ბრიფინგის დროით **17.30** ჩვენი სამართალი **18.00** დოკ. ფილმი "მეორე მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **19.00** რეგიონის დროით **19.30** საუკუნის პორტრეტები **20.00** მხ. ფ. **"ნიანგი დანდი 2"** **21.40** კონცერტი: კ. საკანდელიძის ვარსკვლავის გახსნა **22.30** წითელი ზონა **23.30** მხ. ფილმი **"პეიზაჟი ნისლში"**

**08.00** კურიერი **08.30** მულტსერ. "ნარუტო" **10.00** გუნდი **11.00** ეკი-ვოკი (გან.) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **13.00** ქართ. ფილმი **15.30** თქვენი შოუ (გან.) **17.30** ავტომარიაჟი **18.30** სიცილის ზონა **18.45** სერ. **"ავრორა"** **21.00** პ. ს. კურიერი **23.00** სერ. **"დეტექტივები"** **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00, 09.00** ქრონიკა **08.15** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **08.40** ქართ. ფილმი **"წარსულის აჩრდილები"** **1**-ლი ს. **10.30** თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან. ფილმი "ვინი ჰუპის თავგადასავალი" **1**-ლი ს. **11.45** სერ. **"შუა ქალაქში"** **12.35** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **14.30** რემონტი **15.00** თბილისი ლაივი **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **20.30** სპეც. რეპორტაჟი **21.00** სერ.**"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **00.15** ყოფილი ცოლების კლუბი **01.30** ფლეიბოი იმედზე **02.00** სერ. **"შუამავალი"** მე-**15**ს. **03.25** მხ. ფილმი **"სახის გარეშე"** (**15**) (ნ. კეიჯი) (სუბტ.) **07.15** სერ. **"ბოშები"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** ფარული კამერა **11.30** პულსი **12.00** გუნდი **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.10** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **17.30** მხ. ფილმი **19.30** მხ. ფილმი **21.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **09.00, 22.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **09.30** ესტაფეტა **10.00** დილის ტალღა **12.00** ფერისცვალება **12.30, 21.00** სერ. **"ხსოვნა და მიტევება"** **13.15, 19.30** სერ. **"ამანდა ო"** **14.30** დროის ვექტორი **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** დოკ. ფილმი **18.00** დოკ. ფილმი **21.00** სერ. **"დიდი ტურინი"** **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება 0820

ჩვენი ფონდი **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "ორშაბათ საღამოს" **10.50** კვირიაკე **12.15** მხ. ფილმი **"არასერიოზული კაცი"** **13.30** მულტფილმი **15.20** ოპერა – **"ნორმა"** **18.05** სატ. არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** ქართული ალბომი **19.35** მხ. ფილმი **"გლახის ნაამბობი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** კარაბადინი **22.20** თბილისის ტაძრები **22.30** დოკ. ფილმი "ღირსი მამა ისიდორე სამთავნელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "სათავეებთან" **00.30** სატ. არქივიდან – ტალანტები და თაყვანისმცემლები **01.20** დოკ. ფილმი "ლაზეთის ბულბული" **1**-ლი ნ.

## კვირა 26 ივნისი

**08.00** პლანეტა ბასტიბუბუ **10.00** საბ. კონცერტი "ლაპრები" **10.30** **წყალბურთი**. საერთ. ტურნირი. საქართველო-ყაზახეთი **12.00, 16.00, 20.00, 03.25** მოამბე **12.15** მხ. ფილმი **"მკვლელობა 101"** **14.00** ჩვენი ფერმა **14.30** სი ბემოლი **15.30** დოკ. ფ. "ხეების პლანეტა" **16.15** ჩვენი ეზო **17.30** ვაშინგტონი დღეს **18.00** ტელეფილმი **"ზღარბი"** **18.30** ნ. მესხის შემ. საღამო **20.00** აქცენტები **21.00** ცხოვრება მშვენიერია **22.00** დოკ. ფილმი "ევროვიზია **2011**" მე-**2**ნ. **23.00** პილოტი **00.00** "კავკასუს ლაივი" **01.00** მხ. ფ.**"ბრალდებული"** (**18**) (ჯ. ფოსტერი) **03.10** აქცენტები **04.10** ვ. სანაიას რეპორტაჟი

**08.00** დოკ. ფ. "მილიონერები" **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **15.00** სპექტაკლი **"მამა"** **17.00** ისტორია **18.00** დოკ. ფილმი "იმპერატორი ჰიროჰიტო" **19.00** საუკუნის პორტრეტები **20.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **21.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **21.30** მხ. ფ. **"ამერიკის დღე"** **23.40** კონცერტი: ე. ვირსალაძე **00.35** მხ. ფილმი **"ოცნებების გოგონები"**

**08.00** "კურიერი პ.ს." დაიჯესტი **08.30** მულტსერ. "ნარუტო" **11.00** გუნდი **11.30** მულტფილმი "მხიარული ფერმა" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ვაკანსია **13.00** მხ. ფილმი **15.20** სერ. **"სიამაყე"** **17.25** ავტომარიაჟი **18.30** ჰპპ-ს გათამაშება **19.00** ეკი-ვოკი **20.00** ეთამაშე ვარსკვლავს **21.00** კომედი შოუ **23.00** ქართ. სერ. **"დეტექტივები"** **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **02.20** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00, 09.00** ქრონიკა **08.15** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **09.15** ან. ფილმი "პუმბა და ტიმონი" **1**-ლი ს. **09.40** ქართ. ფილმი **"წარსულის აჩრდილები"** მე-**2** ს. **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ან. ფილმი "ვინი ჰუპის თავგადასავალი" მე-**2**ს. **12.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **12.35** სერ.**"ჰანა მონტანა"** **21-22**ს. **14.30** სპეცრეპორტაჟი **15.00** საბ. გადაცემა "თავდაყირა" **17.45** ეტალონი **19.05** სერ.**"გოგონა გარეუბნიდან"** **20.15** იმედის გმირები **20.30** მუსიკალური ლიგა **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** ღამის შოუ **00.15** სერ. **"შუამავალი"** მე-**16**ს. **01.40** მხ. ფილმი **"მელოტი ქიქა"** (ვ. დიზელი) (სუბტ.) **05.15** მხ. ფილმი **"ქალები"** (**12**) (მ. რაიანი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **11.30** პულსი **12.00** გუნდი **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.10** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** მხ. ფილმი **18.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **19.00** ფარული კამერა **20.00** მზის კინოკლუბი. მხ. ფილმი **23.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **05.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **09.00, 22.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.00** დილის ტალღა **12.00** ესტაფეტა **12.40** სერ. **"ხსოვნა და მიტევება"** **13.00** დოკ. ფილმი **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **18.00** დოკ. ფილმი **19.30** სერ. **"ამანდა ო"** **21.00** სერ. **"ორმაგი ცხოვრება"** **23.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება 0830

დოკ. ფილმი "ღირსი მამა ისიდორე სამთავნელი" **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "ლაზეთის ბულბული" **1**-ლი ნ. **11.25** თბილისის ტაძრები **11.35** ქართული ალბომი **12.15** მხ. ფილმი **"გლახის ნაამბობი"** **13.30** ქართული მულტფილმები **13.45** დოკ. ფილმი "ანთიმოზ ივერიელი" **14.30** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.35** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** სუფთა დაფა **16.50** დრო და ტრადიციები **17.15** სადვთისმეტყველო საუბრები **18.00** პატრიარქის ქადაგება **18.25** დროის ჩანაწერები **19.05** დოკ. ფილმი "პეტრე ბაგრატიონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** კვირიაკე **22.40** დოკ. ფილმი "ანთიმოზ ივერიელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** კინოკლასიკა **"ჩემი ბებია"** **00.05** პატრიარქის ქადაგება **00.40** ოპერა

# მშობლები რჩეულთან ერთად დასასვენებლად არ მიშვებენ



სალომეს მშობლებთან პრობლემები აქვს. მას ზაფხულის გატარება საყვარელ ადამიანთან ერთად სურს, თუმცა მისი მშობლები ამის კატეგორიული წინააღმდეგები არიან. სალომე უჭირს მათ გაუგოს და იმუქრება, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, ის დასასვენებლად თავის რჩეულთან ერთად აუცილებლად გაემგზავრება.

სალომე:

— გაოგნებული ვარ, ჩემი მშობლების საქციელი და ჩემდამი მიდგომა მაცოფებს. XXI საუკუნეა და მათ ვერ შევაგნებინე, რომ უფლება მაქვს როგორც მინდა, ისე მოვიქცე და ჩემს შეყვარებულთან ერთად დასასვენებლად წავიდე. ჩემთვის აღარც ქალიშვილობის ინსტიტუტია მთავარი და არც ის, რომ სიცოცხლის ბოლომდე მამაკაცთან ურთიერთობის გარეშე იცხოვრო. მომწონს, გელფრენდის და ბოიფრენდის ტენდენციები თანდათან რომ მკვიდრდება ჩვენში. ბევრს არ უყვარს ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ თუ დავაკვირდებით, დღეს ოჯახების უმეტესობა იმიტომაც ინგრევა, რომ წყვილებს სექსუალური შეუთავსებლობა აქვთ. ამ თემაზე დედაჩემთანაც ხშირად ვსაუბრობ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემს შეყვარებულს რაიმე ზედმეტს ვაკადრებინებ, უბრალოდ, მე ასე ვთვლი და მორჩა.

ნამდვილად არ ვამბობ, რომ ჩემს შეყვარებულთან აუცილებლად მექნება სექსი, ვიდრე მისი ცოლი გავხდები, მაგრამ გამოცდილება მაინც თავისას შვება — ცნობილია, რომ ოჯახი გაცილებით მყარია, თუკი წყვილი კარგად იცნობდა ერთმანეთს. მინდა ასეთივე მყარი ოჯახი მქონდეს, თუმცა ეს უახლოეს მომავალში დაგეგმილი არ მაქვს. ამ ეტაპზე მინდა, ჩემს შეყვარებულთან ერთად დასასვენებლად წავიდე. ჩემი მშობლები კი ამის უფლებას არ მაძლევენ.

ნიკუშა უკვე ორი წელია მიყვარს. ზუსტად ვიცი, რომ მასაც ვუყვარვარ. ბევრ რამეში გამოვცადე და დავრწმუნდი, რომ მისთვის სულერთი არა ვარ. პატარა ნამდვილად აღარ ვარ. 26 წლის ვხდები შემოდგომაზე. ჩემს ასაკში გოგონებს უკვე ლამის 10 წლის შვილები ჰყავთ. მე კი ჯერ წესიერად შეყვარებულიც არ ვყოფილვარ და არც არასოდეს მიფიქრია ოჯახის შექმნაზე.

ჩემი მშობლები ყოველთვის მკაცრად მზრდიდნენ. ჩემი ძმა ჩემზე ბევრად უმცროსია, თან ეტყობა ბიჭი რომ არის, მისთვის არანაირი აკრძალვა არ არსებობს. ჩემი მშობლები ბექას ყოველთვის ზედმეტად ათამამებდნენ. რამეს თუ ვიტყოდი, ეგრევე პირში მეცემოდნენ, ნუ გშურს შენი ძმისო. როგორ შეიძლება ჩემი ძმის მშურდეს, როცა მის მეტი დედმამიშვილი არ გამაჩნია. თუმცა სიმართლის თქმა ყოველთვის მიყვარდა — ბექა ზედმეტად გათამამებული ბავშვია და ამას მალე ჩემი მშობლებიც იგრძნობენ, თუმცა მერე უკვე გვიანი იქნება. მასზე უკვე მესმის არასასიამოვნო რაღაც-რაღაცეები, არც მასწავლებლები აქებენ სკოლაში, მაგრამ ჩემს მშობლებს არაფრის გაგონება არ უნდათ.

ნიკუშამდე ორი შეყვარებული მყავდა. მაშინ ორივეზე ვამბობდი, სიგიჟემდე მიყვარს და თუ მათთან ურთიერთობას დამიშლით, თავს მოვიკლავ-მეთქი. ისეთ სისულელეებს ჩავდიოდი მათ გულისთვის — სახლთან ვხვდებოდი, ყოველ დაბადების დღეზე ინკოგნიტოდ ძვირფას საჩუქრებს ვუგზავნიდი, მათი თითოეული ნაბიჯი ვიცოდი და ყოველ ღამეს მათზე ოცნებასა და ტირილში ვატარებდი. ახლა რომ მახსენდება, სიცილით ვკვდები, განა ის ორი შემთხვევა სიყვარული იყო? არაფერიც. ეს იყო უბრალოდ გატაცება, სკოლის მოსწავლისა, რომელსაც ყველაფერი ზედმეტად ვარდისფერ ფერებში ესახებოდა. ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ ნიკუშა სერიოზულად მიყვარს და მასთან ერთად სიცოცხლის ბოლომდე მინდა ყოფნა.

***— თქვენი მშობლები ნიკუშას იწუნებენ?***

— მამაჩემმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ შეყვარებული ვარ. მასთან ერთად ამ თემაზე ვერასოდეს ვილაპარაკებ, ზედმეტად მკაცრი ადამიანია. დედაჩემისთვის კი თითქმის არასოდეს არაფერი დამიმალავს. ყოველთვის ყველაფერს ვუყვებოდი და მჯეროდა, რომ დედაზე ახლობელი და მიმნდობი ადამიანი ამქვეყნად არავინ მყავდა. სკოლის პერიოდში როცა ვიყავი შეყვარებული, მაშინ დედაჩემი მარტო ერთ რამეს მეუბნებოდა, კარგად დაფიქრდი, არ აჩქარდე, თუ მართლა უყვარხარ და შენც გიყვარს, აუცილებლად ერთად იქნებითო. აღმოჩნდა ისე, რომ დედა მართალი გამოდგა. პირველ ორ შეყვარებულს დავშორდი, საკმაოდ მტკივნეულადაც, მაგრამ დღეს ის პერიოდი მხოლოდ ღიმილით მახსენდება.

***— სად გაიცანით ნიკუშა?***

— ჩვენი სკოლის დამამთავრებელ ბანკეტზე მოვიდა ჩემს კლასელთან ერთად. ჩვენ ქარაფშუტა ბავშვები ვიყავით, ის კი უკვე დადინჯებული, დიდი ადამიანი გვეგონა, რადგან 22 წლის იყო. ნიკუშა ჩვენს უბანში ახალი გადმოსული იყო და მეზობლებისა და უბნის გაცნობას მხოლოდ მაშინ იწყებდა. ბანკეტზე დიდხანს არ გაჩერებულა, ერთი ჭიქა დალია, დაგვლოცა და წავიდა. იმ დღის შემდეგ ნიკუშა აღარავის გვინახავს. როგორც გავიგეთ, რუსეთში წასულა საცხოვრებლად, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ. საქართველოში მხოლოდ ორი წლის წინ დაბრუნდა. იმ პერიოდში ძალიან დავახლოვდით, უახლოესი მეგობრები ვიყავით, მართლა არ ვიცი, ჩვენი მეგობრობა როდის გადაიქცა სიყვარულად, ერთმანეთს არაფერს ვუმალავდით, ყოველთვის გულწრფელები ვიყავით და ახლაც მგონია, რომ ალბათ თავიდანვე გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ვერ ვაცნობიერებდით.

დედაჩემს ნიკუშა მალევე გავაცანი. ვუთხარი, რომ ეს ადამიანი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე სერიოზულ გრძნობასთან იყო დაკავშირებული და ვთხოვე, ჩვენთვის ხელი არ შეეშალა. მამაჩემს ვერ ვუბედავ ნიკუშა გავაცნო, მისი რეაქციის მეშინია. ისიც კარგად მესმის, რომ მოვა დრო, როცა მამაჩემთან ჩემი შეყვარებულის წარდგენა მომიწევს. ნიკუშას მშობლები ისევ რუსეთში არიან, დედამისი უფრო ხშირად ჩამოდის, მამამისს არ ვიცნობ. ძალიან კარგი დედა ჰყავს და ჩვენი ურთიერთობის საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

***— სად გინდათ დასასვენებლად წასვლა?***

— ჩვენ ძალიან დიდი სამეგობრო წრე გვყავს. გადავწყვიტეთ, ორი კვირით ყველანი ერთად ზღვაზე წავიდეთ დასასვენებლად. პირველად ამის შესახებ, რა თქმა უნდა, დედაჩემს ვუთხარი და ვთხოვე, მამაჩემთან ჩემთვის საქმეები ჩაეწყო. კი დამპირდა, მაქსიმალურად ვეცდებიო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამისთვის არაფერს აკეთებს და უნდა, ყველაფერი მე ვუთხრა მამას. იცის, რომ ამის გაკეთება არ შემიძლია. ორი დღის წინ რომ ვუთხარი, რა გადაწყვიტეთ-მეთქი, მითხრა, ჩვენ დავილაპარაკეთ და კატეგორიული წინააღმდეგები ვართ, რომ შენ და ნიკუშა ერთად დასასვენებლად წახვიდეთო. არადა, არ ესმით, რომ მარტო არ მივდივართ, ჩვენთან ერთად კიდევ ათი ადამიანი მოდის, ყველანი ჩვენი ახლობლები და მეგობრები არიან. დედაჩემმა მითხრა, მამაშენს არ მოსწონს, შეყვარებულთან ერთად დასასვენებლად მარტო მიდიხარო. არ ვიცი, რატომ არ მენდობიან. თუ იმის ეშინიათ, რომ ჩვენს შორის რამე მოხდება, ამისთვის სულაც არ არის საჭირო სადმე შორს, ან თუნდაც ზღვაზე დასასვენებლად წასვლა. თუ გადავწყვეტ, რომ ჩემს შეყვარებულს უნდა დავნებდე, ამას თბილისშიც კარგად მოვახერხებთ და თან ისე, რომ ჩემი მშობლები საერთოდ ვერაფერს გაიგებენ.

არ ვიცი, როგორ გავამართლო ჩემი მშობლების საქციელი. მინდა მათთან მაქსიმალურად ღია ურთიერთობა მქონდეს, არაფერს ვუმალავდე და მათგანაც სწორ რჩევებს ვიღებდე. ისინი კი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მათ წინააღმდეგ წავიდე, მაინც ჩემი ჩანაფიქრი განვახორციელო და გული ვატკინო. მინდა დედაჩემს კიდევ ერთხულ დაველაპარაკო და ვუთხრა, რომ გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებ, არც ისეთი პატარა ვარ, რომ მათ ნათქვამზე ვიარო და თუკი მაინც უარს მეტყვიან, ჩემს შეყვარებულთან ერთად დასასვენებლად მათი ნებართვის გარეშე მაინც წავალ.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასარგებლო რჩევები

*hfptvtn.dtkt,csmdtybcf[ t*

ადამიანის სახე და მისი თითოეული ნაკვთი ამა თუ იმ დაავადების შესახებ უტყუარ სიგნალს იძლევა. როგორია ნებისმიერი პიროვნების სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა, ამას სახეზე დაკვირვებით გაიგებთ. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც თქვენი სახის კანზე თუ სხვადასხვა ორგანიზმზე აღიბეჭდება, თქვენგან მაქსიმალურ ყურადღებას მოითხოვს.

დააკვირდით თქვენი სახის კანს და სხვადასხვა ორგანოებს და გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები:

**ყელი** — თუკი თქვენი ლიმფური ჯირკვლები გადიდდა, ე.ი. რაიმე ინფექციის მატარებელი ხართ. ყველაზე ხშირად ამ ინფექციის გამომწვევი მიზეზი კი დაზიანებული ცხვირი, ყელი ან უყურადღებოდ დატოვებული კბილები და პირის ღრუა.

**თმები** — ყველაზე ხშირად ალერგიის მსხვერპლი წითური ან ქერა ადამიანები ხდებიან. მშრალი თმა ა ვიტამინის ნაკლებობის შედეგია, ადრეული გაჭაღარავება კი თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულისკენ მიდრეკილების ნიშანია. ადრეული გამელოტება ავადმყოფობას სულაც არ ნიშნავს. ის მამაკაცის სასქესო ჰორმონების მოჭარბებული რაოდენობის ბრალია. ყველაზე ხშირად კი გამელოტება მამაკაცებისთვის შთამომავლობით მიღებული „ძვირფასი“ საჩუქარია.

**პირი** — ხშირად ადამიანებს პირის კუთხეებში ნაკაწრი ჭრილობები უჩნდებათ. ეს ბე ვიტამინის ნაკლელობის დამსახურებაა. რაც შეეხება ნაადრევ ნაოჭებს, ამას უკვე სიგარეტის წევა აჩენს.

**თვალის ქუთუთოები** — იმისათვის, რომ თვალის ქუთუთოების სიჯანსაღეში დარწმუნდეთ, რამდენიმე რჩევას გთავაზობთ: ჩამოიწიეთ ქვედა ქუთუთო, თუ ქუთუთოს შიგა ზედაპირი ვარდისფერია, ე.ი. არაფერი გაწუხებთ. ძალიან ღია ფერი სისხლის ნაკლებობაზე მიანიშნებს. ამ შემთხვევაში ადამიანს ჰემოგლობინი აქვს დაბალი და რკინისშემცველი პრეპარატები სჭირდება, თუმცა მანამდე რეკომენდებულია სისხლის ანალიზის გაკეთება, რომ ანემიის მიზეზი დადგინდეს. თუ თვალების გასწვრივ ჩირქისმაგვარი ნივთიერება გროვდება და დილით თვალის გახელა გიჭირთ, ეს კონიუქტივიტის ნიშანია. ამ დროს ადამიანმა აუცილებლად უნდა მიმართოს თვალის ექიმს. ქუთუთოების შეშუპება თირკმლების ცუდი მუშაობის შედეგია. ადამიანებს, რომლებსაც შავი რგოლები უჩნდებათ თვალებთან, სტრესი და გადაღლილობა აწუხებთ.

**ტუჩები** — თუკი ტუჩები გეფხანებათ და გეწვით, ე.ი. ჰერპესი გაქვთ. ის, როგორც წესი, თავისით გადის, მაგრამ თუ ხშირად მეორდება, საჭიროა ექიმთან კონსულტაცია, რათა სათანადო მკურნალობა ჩაიტაროთ. თუ ტუჩები გილურჯდებათ, ეს თქვენს ორგანიზმში სისხლის ცუდი მიმოქცევის მანიშნებელია. არ არის გამორიცხული, ასეთ დროს გულის ან ფილტვების პრობლემებიც გქონდეთ.

**კბილები** — კბილები ადამიანის ჯანმრთელობისთვის ერთ-ერთი უმთავრესი რამ არის. ამიტომ მისი მოვლა ყველა ადამიანს განსაკუთრებულად მართებს. თუ კბილის წაწვეტებულ ადგილზე მინანქარი გაგიცვდათ, ეს იმის ნიშანია, რომ თქვენ ნერვიულობთ და კბილებს ხშირად აჭერთ ერთმანეთს. თუკი კბილი გაგიშავდათ, ის უკვე სიცოცხლისუნარიანი აღარ არის, ხოლო თუ სიშავეს ტკივილიც ახლავს თან, ასეთი კბილის გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელია.

**ყურები** — ყურების კანზე ადამიანებს პატარა, მოყვითალო ბორცვაკები უჩნდებათ. ეს იმის მანიშნებელია, რომ სისხლში ქოლესტერინი გაქვთ მაღალი. ამ დროს საჭიროა თქვენი ყოველდღიური მენიუ გადაიხედოს, რათა შეზღუდოთ ცხოველური საკვები. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ექიმს ესტუმროთ და თქვენს ჯანმრთელობას დროულად მიხედოთ.

**ცხვირი** — ცხვირის ინტენსიური გაწითლება ვარდისფერი ფერიმჭამელების ბრალია. ისინი შეიძლება კანთან ახლოს განლაგებულმა კაპილარებმა გააჩინოს. ისინი განსაკუთრებით მაშინ ფართოვდებიან, როცა ადამიანი ალკოჰოლს, ცხარე და ცხელ კერძებს მიიღებს.

**თვალები** — თუკი თვალები გეწვით და თან გიწითლდებათ, ეს ალერგიის ან გაციების ბრალია. ასეთივე სიმპტომები ახასიათებს კონტაქტური ლინზების არასწორად ხმარებას. თვალების სიწითლე და წვა იცის გამოუძინებლობამ, გადაღლამ, წინა დღეს ალკოჰოლის დიდი რაოდენობით



მიღებამ. რაც შეეხება ზედმეტად გადმოკარკლულ თვალებს, ის ჩიყვის ნიშანია. მბრწყინავი თვალები კი სიგამხდრესთან, აჩქარებულ გულისცემასა და ოფლიანობასთან ერთად უკვე ჩიყვის მანიშნებელია. ასეთ დროს აუცილებელია ენდოკრინოლოგს მიმართოთ.

**ღრძილები** — თქვენი კბილების სიჯანსაღისთვის აუცილებელია ჯანმრთელი ღრძილები. თუ თქვენი ღრძილები სრულიად ჯანმრთელია, ისინი უნდა იყოს ვარდისფერი და მჭიდროდ ეკვროდეს კბილებს. თუ ისინი გაღიზიანებულია და სისხლდენაც შეინიშნება, თქვენი ღრძილები გინგივიტით არის დაავადებული და სტომატოლოგთან ვიზიტი ყველაზე სწორი არჩევანია. თუ არ იმკურნალებთ, შესაძლებელია პირში ცუდი სუნი გაგიჩნდეთ და კბილებთან დაკავშირებითაც პრობლემები შეგექმნათ.

**კანი** — თუ თქვენ ჩინელი არ ხართ და კანი მაინც ყვითელი გაქვთ, ეს იმის ნიშანია, რომ დიდი რაოდენობით მიირთმევთ სტაფილოს, გოგრას, ფორთოხალსა და მანდარინს. ყველა ამ პროდუქტში კაროტინი დიდი რაოდენობით შედის და სწორედ ის იძლევა კანის გაყვითლების ეფექტს. თუკი თვალის გუგებიც გიყვითლდებათ, ის უკვე თქვენი ღვიძლის ცუდად მუშაობის ბრალია. ყურადღება მიაქციეთ თქვენი სახის კანს — თუ იგი ხშირად გიწითლდებათ, ეს მაღალი წნევის დამსახურებაა. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო სახეზე განლაგებულ მეჭეჭებთან დაკავშირებით. მამაკაცებს სახის პარსვის დროს დიდი ყურადღება მართებთ. თუ მეჭეჭი გაიზარდა ან ფერი შეიცვალა, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

## ijrjkflbuekbcsdbc cfcfhut,kjf

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში შოკოლადს ექიმები დასუსტებულ პაციენტებს წონაში მოსამატებლად უნიშნავდნენ. იმ პერიოდის ექიმები შოკოლადს ნიშნავდნენ ყველაფრისთვის — აპათიიდან დაწყებული, საჭმლის მონელებით დამთავრებული. ცნობილია, რომ შოკოლადი სასარგებლო მცენარეული წარმოშობის ნივთიერებების წყაროა.

ახლახან კი ინგლისელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ შოკოლადი გულისთვის ერთ-ერთი სასარგებლო პროდუქტი ყოფილა. ის არა მხოლოდ განწყობას აუმჯობესებს, არამედ ადამიანის ჯანმრთელობაზეც აქტიურად ზრუნავს. მკვლევარების განცხადებით, მთავარია მისი მიღებისას არ დაივიწყოთ აუცილებელი პირობა — ზომიერება. დიდი დოზით შოკოლადის მიღება აუცილებლად უკუშედეგს მოგცემთ.



შოკოლადი დადებითად მოქმედებს კარდიოვასკულარულ სისტემაზე, მთავარია შოკოლადი დიეტის ნაწილად ჩაითვალოს და მისი დოზირება განისაზღვროს. მიუხედავად იმისა, რომ შოკოლადის ჭარბი მიღებისას გამოვლენილი გვერდითი მოვლენები ჯერ კიდევ ცნობილი არ არის, მკვლევარები მასთან სიფრთხილეს ყველას ურჩევენ.

უკვე დადგენილია, რომ თეთრი შოკოლადი გაცილებით არაეფექტურია, ვიდრე ჩვეულებრივი. ჩვეულებრივ შოკოლადს შეუძლია სისხლის შემადგენლობისა და მისი ფორმიანი ელემენტების ფუნქციონირების გაუმჯობესება, რაც გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის უმნიშვნელოვანესია. ის შეიცავს ფლავინოიდების დიდ რაოდენობას, რომელიც თრომბოციდების აქტივობას თრგუნავს და აუმჯობესებს ორგანიზმში სისხლის მიმოქცევას.

მკვლევართა მტკიცებით, შოკოლადს ასპირინის მსგავსი მოქმედება გააჩნია, თუმცა მისი გავლენა არ არის ისეთი ძლიერი, როგორიც ასპირინის. მკვლევარებმა შოკოლადის სარგებლობასთან დაკავშირებით ცდა ჩაატარეს — ექსპერიმენტში მონაწილეებს ერთ ფინჯან კაკაოს ერთ სუფრის კოვზ შაქართან ერთად აძლევდნენ. 6 საათის შემდეგ თრომბოციტების აქტივობა მცირდებოდა. ეს გამოკვლევა 25-დან 40 წლამდე ასაკის 50-მდე ადამიანს ჩაუტარდა. ცდამ აჩვენა, რომ ქალებსაც და მამაკაცებსაც კაკაოზე ერთნაირი რეაქცია ჰქონდათ.

კვლევების თანახმად, შოკოლადს სხვა მნიშვნელოვანი თვისებებიც აქვს — ის ზრდის სისხლის ანტიოქსიდანტურ უნარს, არც გულის დაავადებების პროგრესირებას უშლის ხელს. მიუხედავად იმისა, რომ შოკოლადის გამოყენება მედიცინაში სულაც არ არის სიახლე, ამ ცდამ აჩვენა, რომ ბევრისთვის საყვარელი სასუსნავი მათ ჯანმრთელობის შენარჩუნებაში აქტიურად ეხმარება.

# „აფბა“ ხელისუფლებას ანტიმონოპოლიური უწყების აღდგენისაკენ მოუწოდებს

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია ხელისუფლებას ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და უწყების აღდგენისაკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს.

„ძველ მეტეხში“ გამართულ ბრიფინგზე ასოციაციის ხელმძღვანელმა მერაბ ჯანიაშვილმა განაცხადა, მთავრობა მიუტევებელ უმოქმედებას იჩენს და სათანადო საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში არ შედის.

მისი თქმით, უკვე ერთ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს სახელი შეეცვალა და ანტიმონოპოლიური სამსახური ეწოდა. მას შემდეგ მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან არაერთხელ გაკეთდა განცხადებები იმაზე, რომ ამ უწყების საქმიანობა შესაბამისი კანონმდებლობითაც გამყარდებოდა. მაგრამ კანონპროექტში პარლამენტში განსახილველად დღემდე არ შესულა.

— ხელისუფლება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არ აღდგენით აჭიანურებს დასავლეთთან საქართველოს დაახლოების პროცესს, მეორე მხრივ, იგი საშუალებას აძლევს ქვეყანაში არსებულ მონოპოლიებსა და ოლიგოპოლიებს, გააგრძელონ ხალხის ძარცვა, — აღნიშნა მერაბ ჯანიაშვილმა.

მან სახელმწიფოს მიერ შექმნილი მონოპოლიების თვალსაჩინო მაგალითებად საქართველოს ლატარიის კომპანია დაასახელა, რომელსაც ხელისუფლებამ რატომღაც ქვეყნის მასშტაბით გათამაშების ჩატარების ექსკლუზიური უფლება მისცა. ასევე მონოპოლიზებულია თბილისის სამარშრუტო ტაქსების ტენდერი და სხვა. ამას ხორცის ბაზარზე განვითარებული მოვლენებიც ემატება, როცა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პირუტყვის დაკვლის ექსკლუზიური უფლება გარკვეულ ჯგუფს მისცა.

— პარლამენტის ბოლო სხდომაზე უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა ხორცის მნიშვნელოვანი გაძვირება სურსათის უვნებლობის მიზნით გატარებული ღონისძიებებით ახსნა. აფბა მკაფიოდ აცხადებს, რომ სურსათის უვნებლობის პრინციპებისა და მეთოდების დანერგვა ფასების მატებაზე არ აისახება. საქონლის ხორცის გაძვირება ამ სფეროში მონოპოლისტის ჩამოყალიბებით და ხორცის იმპორტიორების შორის მიმავალი ზრახვებით არის განპირობებული, რომლის არსიც იაფფასიანი ინდური და მისი მსგავსი ქვეყნებიდან შემოტანილი ხორცით ჩანაცვლებას გულისხმობს, — აღნიშნა მერაბ ჯანიაშვილმა.

მისი მოსაზრებით, ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს.

როგორც პრესკონფერენციაზე იურისტმა არჩილ კაიკაციშვილმა აღნიშნა, ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენის შედეგად საქართველო არა მხოლოდ ევროკავშირის მიერ გათვალისწინებულ შესაბამის მოთხოვნას დააკმაყოფილებს, არამედ მომხმარებელთა უფლებებიც გაცილებით უკეთ იქნება დაცული.

მისი თქმით, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებისა და ევროკავშირის სტანდარტების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და სამსახურის შექმნა სახელმწიფოს უშუალო მოვალეობაა.

**მედიანიუსი**

# კოკოითი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს



სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ხალხს მოუწოდებს, თავი შეიკავონ მისი მხარდამჭერი აქციებისგან. ამის შესახებ „ოსინფორმი“ იუწყება.

— გთხოვთ, თავი შეიკავოთ ჩემი მხარდამჭერი აქციებისა და ინიციატივებისგან. თქვენი დახმარება მე არჩევნების შემდეგაც დამჭირდება, რადგან მე პოლიტიკიდან წასვლას არ ვაპირებ. მე აქ, თქვენთან ერთად დავრჩები, — ნათქვამია კოკოითის მიმართვაში. ამასთან, მიმართვაში არაფერია ნათქვამი, რა ფორმით აპირებს კოკოითი პოლიტიკაში დარჩენას.

კოკოითის თქმით, ყველაფერს გააკეთებს, რათა მის მიერ დაწყებული პოლიტიკური კურსი ახალმა პრეზიდენტმა შეინარჩუნოს და გააგრძელოს.

— თუკი ჩვენ გვსურს, რომ ჩვენს ახალ რესპუბლიკას პატივისცემით ექცეოდნენ, რომ აღიარების პროცესი შეუქცევადი იყოს, ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ მსოფლიოს, რომ ჩვენ ვართ თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფო, — წერს კოკოითი.

კოკოითის შეიარაღებული მომხრეები დე ფაქტო პარლამენტის შენობაში შეცვივდნენ. ისინი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ, რომელმაც კოკოითს მესამე ვადით კენჭისყრის და ამ თემაზე რეფერენდუმის გამართვის უფლება არ მისცა.

რეფერენდუმის ჩატარების წინადადებით სამხრეთ ოსეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე იბრაგიმ გასეევი გამოდიოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ვანუატუს ახალმა მთავრობამ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა

ვანუატუს ახალმა მთავრობამ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე ძველი მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის დეპარტამენტის დირექტორმა ზურაბ ალექსიძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, 17 ივნისს ვანუატუს ახალმა მთავრობამ გაავრცელა პრესრელიზი, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ახალი მთავრობა უკან იწვევს და აუქმებს წინა ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარების შესახებ.

— შესაბამისად, ეს ფაქტი ადასტურებს ვანუატუს დღევანდელი მთავრობის პოზიციას, რომ მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და რომ წინა მთავრობის გადაწყვეტილება იყო შეცდომა და გაუგებრობა, — აღნიშნა ზურაბ ალექსიძემ.

მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებით ვანუატუ იმ ქვეყნების რიცხვს შეუერთდა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს უჭერენ მხარს.

**მედიანიუსი**

# აქციების მსვლელობისას ჟურნალისტების დაცვა კანონით იქნება უზრუნველყოფილი

საქართველოში აქციების მსვლელობისას ჟურნალისტების დაცვა კანონით იქნება უზრუნველყოფილი. შესაბამისი ჩანაწერი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში გაჩნდება.

ჟურნალისტებისთვის დაცვის მექანიზმის უზრუნველყოფა დღეს, პარლამენტში არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრაზე ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენელმა ჰამლეტ გეგიამ დასვა.

გეგიას პოზიცია საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმაც გაიზიარეს და როგორც იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, ჟურნალისტებს მუშაობის საშუალება აქციის მსვლელობის დროსაც უნდა ჰქონდეთ და მის დაშლის დროსაც.

—აქციის მიმდინარეობისას, მის შემდეგ და მანამდე, ყველგან, ადმინისტრაციულმა ორგანომ და ასევე აქციის ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ ჟურნალისტებისთვის სრული შესაძლებლობა, რომ იმუშაონ, — დასძინა პავლე კუბლაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები

მერაბ დგებუაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს ნანა ძაძუას, როლანდ ასათიანს მამისა და სიმამრის

**აკაკი ამბროსის ძე ძაძუას**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ლეიბორისტული პარტია მწუხარებას გამოთქვამს პარტიის ნაძალადევის რაიონის ზონის კოორდინატორის, ვაჟა ლომიაშვილის დედის

**რუიზან ლომიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

პარტია თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## გაქვთ თუ არა დროის შეგრძნება




***1. შინ მისულმა შეიტყვეთ, რომ თქვენი საყვარელი გადაცემა 5 წუთში იწყება, თქვენ კი საქმე გაქვთ დასამთავრებელი.***

ა. საქმეს დაამთავრებთ და ტელევიზორს მიუჯდებით.(3) ბ. ყველაფერს მიატოვებთ და ტელევიზორს მიუჯდებით (0) გ. საქმეს დაიწყებთ თან ტელევიზორს ჩართავთ (2). დ. ტელევიზორს გამორთავთ და არც საქმეს გააკეთებთ (1)

***2. წარმოიდგინეთ, რომ მოხსენება გაქვთ მოსამზადებელი. მისთვის მზადების დროს შეეცდებით:***

ა. მოხსენება საინტერესო იყოს აუდიტორიისათვის, დროს ყურადღებას არ მიაქცევთ (1).ბ. შეეცდებით, მკაცრად განსაზღვრულ დროში ჩაეტიოთ (3)) გ. ცოტა უმჯობესია (2). დ. ვითარების მიხედვით იმოქმედებთ. (0)

***3. შინ დაბრუნდით და დაღლილობისგან ფეხზე ვერ დგებით, მაგრამ დაუმთავრებელი საქმე დაგრჩათ.***

ა. საქმეს დაამთავრებთ. (3). ბ. ხვალისთვის გადადებთ (1). გ. გააკეთებთ იმდენს, რამდენსაც შეძლებთ, დანარჩენს ხვალისთვის გადადებთ (2). დ. დასაძინებლად წახვალთ (0)

***4. შრომისუნარიანი ხართ:***

ა. დილით (1), ბ სადილის შემდეგ (2), გ. საღამოს (0), დ. თქვენი შრომისუნარიანობა დროზე არ არის დამოკიდებული (3)

***5. დილით, როგორც წესი:***

ა. მაღვიძარა გაღვიძებთ (2) ბ. თავად იღვიძებთ (3). გ. ახლობლების დახმარება გჭირდებათ (0). დ. თავად იღვიძებთ, მაგრამ ნებივრობა გიყვართ (1)

***6. სტუმრად მისული, მაგალითად, დაბადების დღეზე:***

ა. წინასწარ დათქვამთ, როდის აპირებთ წასვლას.(3) ბ. ელოდებით, სანამ ვინმე გამოთქვამს დაშლის იდეას.(1) გ. ცდილობთ, სიტუაციის მიხედვით იმოქმედოთ (2). დ. ამაზე არ ფიქრობთ (0)

***7. კვების რაიმე რეჟიმს თუ იცავთ?***

ა. აუცილებლად (3). ბ. გსურთ, მაგრამ ვერ ახერხებთ (2). გ.არ გინდათ, მაგრამ გიხდებათ (1). დ. ჭამთ, როდესაც გინდათ (0)

***8. დანიშნულ შეხვედრაზე დაგაგვიანდათ და არ დაგელოდნენ.***

ა. მოძებნით, თუნდაც ძალიან დაგაგვიანდეთ. (3). ბ. საკუთარ თავს დაჰპირდებით, რომ მეორედ არ დაიგვიანებთ (2). გ. შეეცდებით, რაც შეიძლება დიდხანს არსად გადაეყაროთ იმ ადამიანს (1). დ. ყურადღებას არ მიაქცევთ. (0)

***9. დაგვიანებას აუხსნით:***

ა. აბსოლუტურად გულახდილად, თუნდაც ეს არ მოგიწონონ. (3). ბ. მიგაჩნიათ, რომ ტყუილი თავის მართლების შესანიშნავი საშუალებაა (1). გ. ვითარების მიხედვით იმოქმედებთ (0). დ. თავის მართლებას არ დაიწყებთ (2).

***10. როდესაც ვინმე თქვენთან შეხვედრაზე იგვიანებს:***

ა. აღარ სცემთ მას პატივს (2). ბ. მეტს აღარ შეხვდებით (3). გ. გესმით მისი, რადგან თავადაც მოხვედრილხართ მსგავს სიტუაციაში. (1) დ. არ განაღვლებთ ეს (0).

***11. თავისუფალ დროს, როგორც წესი:***

ა. ისვენებთ (2). ბ. ჰობის უთმობთ (0). გ. ამჯობინებთ სამომავლოდ დაგეგმილი საქმეების კეთებას (1). დ. თავისუფალი დრო, უბრალოდ, არ გაქვთ (3)

***12. გაქვთ თუ არა უბის წიგნაკი, სადაც სასწრაფო საქმეების შესახებ შენიშვნები შეგაქვთ?***

ა. აუცილებლად (3). ბ. მაქვს, მაგრამ მავიწყდება შევსება.(1) გ. არა, ისედაც კარგად მახსოვს ყველაფერი (2). არა, ყიდვა დამავიწყდა. (0)

### პასუხები

***0-9 ქულა:*** თქვენი მეგობრები და ახლობლები თქვენგან გაწამებული არიან, საახალწლო წვეულების ნაცვლად თავისუფლად შეგიძლიათ, საშობაო წვეულებაზე აღმოჩნდეთ. დროულად პაემანზე, ალბათ, მხოლოდ ერთი-ორჯერ თუ მისულხართ. გამორიცხული არ არის, რომ თქვენი სახელი მეგობრების წრეში დაგვიანების სიმბოლოდ იქცეს.

***10-18 ქულა:*** პუნქტუალობა თქვენთვის დამახასიათებელი არ არის, მაგრამ არც მთლად წყალწაღებული ხართ ამ თვალსაზრისით. ყოველ შემთხვევაში, ცდილობთ, რომ არსად დაიგვიანოთ. თუ ასე მაინც ხდება, ახერხებთ მნიშვნელოვანი მიზეზის მოძებნას.

***19-27 ქულა:*** იმ მცირერიცხოვანი ადამიანების რიცხვს განეკუთვნებით, რომლებსაც თითქმის არაფერი ავიწყდებათ, ამიტომაც პრობლემებს არ უქმნიან არც საკუთარ თავს და არც სხვებს. დროს იდეალურად ვერ ანაწილებთ, მაგრამ არც სირცხვილით გასაწითლებლად გაქვთ საქმე.

***28-36 ქულა:*** თუ სიზუსტე მეფეთა თავაზიანობად არის აღიარებული, თქვენ ნამდვილი იმპერატორი ხართ. ალბათ, მხოლოდ ერთხელ დაიგვიანეთ — მესამე კლასში, ლიტერატურის გაკვეთილზე, რადგან კინაღამ მანქანამ გაგიტანათ და მზრუნველმა დეიდებმა და ბიძიებმა საავადმყოფოში გაგაქანეს. ცოტა მოეშვით, მაინც ყველგან და ყველაფერს მოასწრებთ.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პიანინოების, როიალების მწარმოებელი გერმანული ფირმა; 2. ფრანგული საავტომობილო კომპანია; 3. ქართველი მხატვარი ქალი; 4. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. სამხაზველო ხელსაწყო; 8. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 9. რაიმეს ნაწილობრივი შეცვლა ან შესწორება; 12. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საფრანგეთში; 14. მდინარე სვანეთში; 16. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

**თარაზულად:** 1. აეროპორტი კიევში; 6. პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 7. საზეიმო სვლა, პროცესია; 9. ზღვისპირა კურორტი ოჩამჩირეს რაიონში; 10. ძველი ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 11. მონასტერი დუშეთის რაიონში; 13. მომღერალი მუსიკოსი შუა-აზიაში; 15. საქართველოს დედოფალი მე-XI საუკუნეში, ბაგრატ VI-ის მეუღლე; 17. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 18. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 19. ამერიკული ავია-კოსმოსური კონცერნი; 20. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პრესტო; 2. „ოლიმპი“; 3. კოქტო; 5. დოლი; 6. კიკეთი; 8. სიესტა; 11. ანჩისხატი; 13. კნესეტი; 14. იოკასტე; 15. „ფილიპსი“; 19. თუნი.

**თარაზულად:** 1. პინაკოთეკა; 4. ბოტდეკი; 7. ექსორია; 9. ტაპიორი; 10. კასპი; 12. ვესტერნი; 16. ჰამბურგი; 17. ვერსალი; 18. პალეოლითი; 20. ტალანტი; 21. მილი; 22. პრეფიქსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „როგანი“; 2. საკი; 3. ბაქტრიანი; 4. რანდი; 5. მალხაზი; 8. ნაზუქი; 9. ბურგუნდია; 12. ხოხობი; 14. მიკოზი; 16. ომარი.

**თარაზულად:** 1. რასმუსენი; 6. მადაფათა; 7. „გურნიკი“; 9. ბასტია; 10. ვილა; 11. „გუდიარი“; 13. რამლი; 15. დომინო; 17. კიშლაკი; 18. რონოდა; 19. ზარზმა; 20. ლივადია.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**18 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6583
- ევრო — 2,4216
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208
- რუსული რუბლი — 0,0597

## ამინდის პროგნოზი 18 ივნისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-28, ღამით — 16-17

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-28, ღამით — 16-17

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-23, ღამით — 19-15








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## „დინამო“ და „ატლეტიკო“ დამეგობრდნენ




საფეხბურთო კლუბებმა თბილისის „დინამომ“ და მადრიდის „ატლეტიკომ“ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს. ქართული მხრიდან დოკუმენტს ხელი დინამოელთა მეპატრონე რომან ფიფიამ, ხოლო ესპანელთაგან მადრიდელთა პრეზიდენტმა ენრიკე სერესომ მოაწერეს. ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მათ გვერდით ხსენებული კლუბების გენერალური დირექტორები ზურაბ პოლოლიკაშვილი და კლემენტე ვალვერდე ისხდნენ.

**რომან ფიფია:**

— მინდა გითხრათ, რომ ჩვენთან უნიკალური ადამიანი იმყოფება. ჩამოსული არიან ტიტულოვანი კლუბის მეპატრონე და გენერალური დირექტორი. მნიშვნელოვანია, რომ ურთიერთპარტნიორობის მემორანდუმი გავაფორმეთ, რომელიც, უპირველესად, ჩვენი კლუბის პროგრესს ემსახურება. უნდა გადამზადდნენ მწვრთნელები და უნდა დავამყაროთ ურთიერთობა ბავშვთა საფეხბურთო აკადემიებს შორის. რა თქმა უნდა, ჩატარდება საინტერესო ამხანაგური თამაშები. დიდი მადლობა ბატონ ენრიკეს, რომ დრო ნახა და ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის სანახავად, „დინამოს“ გასაცნობად.

**ენრიკე სერესო:**

— საქართველოში ყოფნით უაღრესად კმაყოფილი ვარ. მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ რომანს, ბატონ ზურაბსა და ესპანეთში


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 18 ივნისი — შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — საკუთარი თავის რეალიზება ადვილად გამოგივათ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **კირჩხიბი** — შერკინების დრო არ არის, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ლომი** — არ აღელდეთ, საქმეს ადვილად გაართმევთ თავს. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — ახალი საქმე დაგაინტერესებთ, აქტიურობთ. **ღრიანკალი** — დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დაასრულებთ. **მშვილდოსანი** — საკუთარ თავს უფრო კრიტიკულად შეხედეთ. **თხის რქა** — ოპონენტებს ადვილად დაამარცხებთ, საკმარისად ხართ მომზადებული. **მერწყული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, უტყუარია. **თევზები** — გელით კარგი ახალი ამბავი და ძვირფასი შენაძენი.

### 19 ივნისი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — ზედმეტი აქტიურობა დღეს არ გარგებთ. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — რისკი არ არის გამართლებული, თქვენთვის მშვიდად იყავით. **კირჩხიბი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** — სახლში დიდი სიხარული გელით, ბედი გწყალობთ. **ქალწული** — არ ღირს ჩაფიქრება, ეს დღე მსუბუქად გაატარეთ. **სასწორი** — ახალი საქმე დღეს არ წამოიწყოთ, არ ღირს. **ღრიანკალი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მშვილდოსანი** — წარსული თავს არ განებებთ, არ აყვეთ ფიქრებს. **თხის რქა** — დღეს დიდი გამარჯვება გელით. **მერწყული** — ახალი პროექტი გაამართლებს, მთავარია არ მოდუნდეთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 15 ივნისიდან

## იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

## სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 7

მარკესი




გაზეთი და წიგნი ერთად
8 ლარი


## იუმორი



— ხელფასის დატოვება ლუდის ბარში სჯობს და არა აფთიაქში...

***

— ცოლი იმდენს უნდა ხარჯავდეს, რომ ქმარს საყვარლის შესანახი ფული აღარ დარჩეს...

***

ორი ზღარბი ერმანეთს შეხვდა. ერთს თათი აქვს შებინტული.

— რა დაგემართა?

— არაფერი, ყური მოვიფხანე...

***

მდივანი უფროსთან შევიდა:

— თქვენთან ვიღაც კაცი მოვიდა, ამბობს, რომ თქვენი ნათესავია.

— ალბათ, ვიღაც იდიოტია.

— რა თქმა უნდა, თუმცა, ამბობს, რომ სხვა დამამტკიცებელი საბუთებიც აქვს...

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კორეული გემთმშენებელი კომპანია; 2. კანის ანთებითი დაავადება; 3. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 6. ჩაის ფოთლის დამგრეხი მანქანა; 5. უდაბნო ჩინეთსა და მონღოლეთში; 8. ბოშათა წინამძღოლი; 11. სასტუმრო „თბილისი-მარიოტის“ ძველი სახელწოდება; 13. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 14. ფრანგი კომიკოსი; 15. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 19. ბატკნის მოგების პერიოდი.

**თარაზულად:** 1. აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, ეროვნული ოპერის ფუძემდებელი; 4. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 7. ცენტრალური ნერვიული სისტემის დაავადება; 9. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 10. მუსლიმანთა სულიერი წინამძღოლი, მოძღვარი; 12. ღონისძიების დამფინანსებელი; 16. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 17. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 20. ზღვის თევზი, რომელსაც თვალები მხოლოდ ერთ მხარეს აქვს; 21. ცარიელი, თაფლგამოცლილი ფიჭა; 22. კომედიური ჟანრის მუსიკალური სცენური წარმოდგენა.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა





ლურჯი წითელი ყვითელი შავი